ლელო

№078
(12 148)

4 აპრილი სამშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილანი-ბაიერნი 2:2
მიუნხენელმა დანიელ ვან ბუიტენმა ანგარიში 93-ე წუთზე გაათანაბრა.
ასპ-ლივერპული 0:3

ლიგა განახლდა, კალაძე დაბრუნდა 15

დღეს: ჩელსი-ვალენსია
რომა-მანჩესტერი

EURO 2007
CHESS EUROPEAN CHAMPIONSHIP
DRESDEN

ბაბილ-მნარე დასაწყისი
ჭადრაკი. ევროპის ჩემპიონატი 11

ნოვაკ ჯოკოვიჩი, ჩვენი მეტოქე დევისის თასზე 15

ინტერვიუ **კლაუს ტოპმიოლერთან**

დღეს რომ კონტრაქტის გაგრძელების დღე იყოს

დაუყოვნებლივ გავაგრძელებდი!



✔ საქართველოში თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე, როცა "კიოლნსა" და "ჰოფენჰაიმს" საქართველოში ჩამოსვლა ვამჯობინე. რაც დრო გადის, მოტივაცია უფრო და უფრო მემატება. ეს იმას ნიშნავს, რომ კონტრაქტის გაგრძელებაზე უპრობლემოდ დავთანხმდები...

✔ მოვა დრო, როცა ნაკრების ძირითადი ბირთვი იმ ფეხბურთელებით იქნება დაკომპლექტებული, რომლებიც დღეს "დინამოში", "ამერში", "ზესტაფონში", "ოლიმპში", "ვიტ ჯორჯიაში" და სხვა კლუბებში თამაშობენ. პროგრესი აშკარაა, თუმცა, სასურველია, საქართველოს ჩემპიონატში უფრო მაღალი დონე იყოს...

✔ რატი წინამძღვრიშვილი, სანდრო იაშვილი, ნიკა გელაშვილი - მათ ნამდვილად აქვთ იმის პოტენციალი, რომ თავის დროზე შოთა არველაძე შეცვალონ...

✔ გეთანხმებით, რომ შოტლანდიასთან ცვლილებებმა არ გაამართლა, მაგრამ... გოგუას ერთმა მოძრაობამ თურქეთთან ისეთი თამაში მოგვაგებინა, ამხანაგური ნაკლებად რომ ეთქმოდა. იმედი მქონდა, რომ გოგიტა გლაზგოშიც გამოიჩენდა თავს, თამაშს გააძლიერებდა. თურქებს გოგუა-სირაძის იმ ერთი ულამაზესი კომბინაციით მოვუგეთ. სამწუხაროდ, დათო შოტლანდიასთან თამაშში მართლაც ვერ ჩაერთო კარგად...

✔ კალაძის ტრავმაში ეჭვს ვერ შევიტან, მაგრამ სჯობდა, გლაზგოში გუნდთან ერთად ყოფილიყო. ის გუნდში მნიშვნელოვანი ფიგურა და ახალგაზრდებისთვის მისაბაძი მაგალითია...

✔ მიხარია, რომ მეკარეზე აღარავინ საუბრობს. გახსოვთ, მუდმივად ისმოდა კითხვა, რატომ არ ჩამოგვყავს უცხოელი მეკარეო. მე ვამბობდი, რომ მეკარის პრობლემა არ გვაქვს. დიდი ხანია, ეს თემა აღარავის წამოუჭრია - ლომაია ძალიან კარგი გოლკიპერია და ამას კიდევ ბევრჯერ დაამტკიცებს...

სპორტის სასახლის საიდუმლო რეკონსტრუქცია 13

ერიჰაა!

LIVE
სპორტული საინფორმაციო ცენტრი
272-272
ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებული შეხვედრების შესახებ
LIVE

www.kazbegi.com

გაზეთი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ინტერვიუ კლაუს ტოპმიოლერთან

კონტრაქტის გაგრძელებას უპრობლემოდ დავთანხმდები

კლაუს ტოპმიოლერს კვირას დაკუკავშირდით, მაგრამ გზაში იყო, ინტერვიუსთვის ვერ მოიცალა და გვთხოვა, ორშაბათს დამირეკეთო. გუშინწინ საქართველოს ნაკრების მწვრთნელთან დაკავშირება ვერ მოხერხდა - მთელი საღამო ტოპი ჩვენს ზარებს არ პასუხობდა. სამაგიეროდ, გუშინ გვიპასუხა და ვრცელი საუბარიც გამოგვივიდა. შოტლანდიაში განცდილი მარცხისა და ფარერებთან მოპოვებული აუცილებელი გამარჯვების შემდეგ, ტოპმიოლერთან საკმაოდ ბევრი კითხვა დაგვიგროვდა და შევეცადეთ, გულშემატკივრების ინტერესი მაქსიმალურად დაგვეკმაყოფილებინა. იმ კითხვებზე, რაც ამ ორი თამაშის შემდეგ გაჩნდა, მწვრთნელმა მაქსიმალურად ამომწურავად გვიპასუხა. საუბარი კი, მისალმების შემდეგ, თვითონვე დაიწყო ამასწინანდელ ინტერვიუზე, რომელსაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

ისე გამოვიდა, თითქოს საქართველოს ჩემპიონატს არანაირ მნიშვნელობას არ ვანიჭებ და ჩემთვის სულერთია, რა ხდება ქვეყნის პირველობაზე. ეს კი დიდი შეცდომაა. არავისთვის მითქვამს, რომ საქართველოს ჩემპიონატი ჩემთვის უმნიშვნელო და უაზროა. ასეც რომ იყოს, ამას მაინც არ ვიტყოდი, რადგან ეს ჩემი მხრიდან არაკორექტული და ქართული ფეხბურთის შეურაცხმყოფელი განცხადება იქნებოდა. შესაძლოა, თარგმნაშია შეცდომა დაშვებული, ჩემი ნათქვამი არასწორად გაიგეს, ან, უბრალოდ, სულ სხვა, სკანდალური ინტერპრეტაცია მისცეს. თუმცა ეს ჩემთვის სიახლეს არ წარმოადგენს. ასეთი რამ გერმანულ პრესაშიც ხშირად ხდება ხოლმე. მაგალითად, ჩვენ გვაქვს გაზეთი "ბილდი", რომელიც ყველაზე პოპულარული გამოცემაა და რომელზეც ხუმრობით ამბობენ, როცა კითხულობ, საპირისპირო უნდა იგულისხმო ან ნახევარზე მეტი არ უნდა დაიჯეროო. მოხარული ვარ, რომ საქართველოში ასეთი გაზეთი არ არსებობს.

- მაშინ გვითხარით, რამდენად მნიშვნელოვანი და საინტერესოა თქვენთვის ეროვნული პირველობა და როგორ ფიქრობთ, რამდენად კარგად იცნობთ მას?

- საქართველოს ჩემპიონატს ყველა ასაკის ნაკრებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მათ შორის, ეროვნული გუნდისთვისაც. მართალია, ეროვნული ნაკრების მოთამაშეების უდიდესი ნაწილი ლეგიონერები არიან, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ კობიაშვილმა, კალაძემ, არველაძემ, ასათიანმა, ხიზანიშვილმა და სხვებმა სწორედ აქ აიდგეს ფეხი და ნაკრების მომამავალი ფეხბურთელებიც პირველ საფეხბურთო განათლებას ქვეყნის ჩემპიონატში მიიღებენ. მოვა დრო, როცა ნაკრების ძირითადი ბირთვი იმ ფეხბურთელებით იქნება დაკომპლექტებული, რომლებიც დღეს "დინამოში", "ამერში", "ზესტაფონში", "ოლიმპში", "ვიტ ჯორჯიაში" და სხვა კლუბებში თამაშობენ. ადრეც არაერთხელ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ სასურველია, საქართველოს ჩემპიონატში უფრო მაღალი დონე იყოს. თუმცა თვალშისაცემია, რომ ამ ერთი წლის განმავლობაში დონე ამაღლდა და ამის შესახებაც ბევრჯერ მისაუბრია. მივიჩნევ, რომ ქვეყნის პირველობას და იქ მოასპარეზე ფეხბურთელებს კარგად ვიცნობ.

- არიან თუ არა ჩვენს ჩემპიონატში თქვენთვის საინტერესო ფეხბურთელები?

- რა თქმა უნდა, არიან. განა ვინმე საპირისპიროს ამბობს? დააკვირდით 21, 19 და 17 წლამდელთა ნაკრებ გუნდებს - განა ეს გუნდები საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე ფეხბურთელებით არ არიან დაკომპლექტებულები? სწორად გამიგეთ, მე ვამბობ, რომ დონე არ მაკმაყოფილებს, მაგრამ ვიმეორებ, შარშანდელთან შედარებით პროგრესი აშკარაა. მაგალითად, "დინამოსა" და "ამერის" სათასო მატჩის შემდეგ, ბუბა ტყავაძეს შევხვდი და მივულოცე - პირველ წრესთან შედარებით "დინამომ" დიდი პროგრესი განიცადა. სატრანსფერო პოლიტიკაც სწორად წარმართეს: გააძლიერეს დაცვა - კრშკო და ზელიჩი ყველასათვის გადაულახავი ზღუდეა. "ვიტ ჯორჯიიდან" წამოიყვანეს დიღმელაშვილი, რომელმაც ნახევარდაცვის სტაბილურობა უზრუნველყო და ფეიქრიშვილი, რომელიც მარჯვენა ფლანგზე თამაშობს და ამ პოზიციაზე, ერთ-ერთი საუკეთესოა. ვიცი, რომ დიდი პოტენციალი აქვს ოდიკაძეს - ესეც კიდევ ერთი გამორჩეული მოთამაშე საქართველოს ჩემპიონატიდან.

- პირველი ფეხბურთელი, რომელიც მომდევნო ციკლში ნამდვილად აღარ გვეყოლება, შოთა არველაძეა. საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე რომელ თავდამსხმელებს აქვთ შანსი, შოთას შემცვლელები გახდნენ?

- რატი წინამძღვრიშვილი, სანდრო იაშვილი, ნიკა გელაშვილი - მათ ნამდვილად აქვთ იმის პოტენციალი, რომ მომავალში საქართველოს ნაკრების ძირითადი ფორვარდები გახდნენ. აგრეთვე ემპოლელი ლევან მჭედლიძე, რომელსაც ასევე შეუძლია, დიდი ფეხბურთი ითამაშოს. მაგრამ ხომ იცით, პოტენციალს გამოყენება უნდა. დღესდღეობით, შოთას შეცვლასთან ყველაზე ახლოს დავით სირაძეა. სწორად გამიგეთ, არველაძის სრულფასოვანი შემცვლელი ჩვენ არ გვყავს. შოთა მსოფლიო დონის, ტოპ-თავდამსხმელია, მაგრამ ნელ-ნელა უნდა შევეგუოთ იმ აზრს, რომ მალე კარიერას დაამთავრებს.

- შოტლანდიურ გაზეთთან საუბრისას განაცხადეთ, რომ კონტრაქტის გაგრძელებაზე მოლაპარაკებები დაიწყო. ეს ნოდარ ახალკაცმაც დაადასტურა...

- მოლაპარაკებებს ვერ დავარქმევ. ნოდარმა მართლაც ჩამომიგდო სიტყვა კონტრაქტის გაგრძელებაზე. რა დასამალია, ამაზე ვისაუბრეთ.

- ახალი კონტრაქტის გაფორმება დღესვე რომ დადგეს დღის წესრიგში, თანახმა იქნებოდით?

- საქართველოში თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. ამ ერთი წლის მანძილზე საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე, როცა "კიოლნსა" და "ჰოფენჰაიმის" მილიონებით აფუებულ პერსპექტივას, საქართველოში ჩამოსვლა ვამჯობინე. რაც დრო გადის, მოტივაცია უფრო და უფრო მემატება. ეს იმას ნიშნავს, რომ კონტრაქტის გაგრძელებაზე უპრობლემოდ დავთანხმდები.

- ცოტა ხნის წინ თქვით, რომ რამდენიმე წინადადება მიიღეთ. შემოთავაზებები გაქვთ?

- იყო შემოთავაზებები, მაგრამ არცერთი მათგანი აღარ არის სერიოზული. ვინც დამირეკა, ყველას ვუთხარი, რომ საქართველოს ნაკრებში თავს კარგად ვგრძნობ და რომ კონტრაქტი ჯერ არ ამოწურულა.

- იქნებ დაგვიკონკრეტოთ, რომელი გუნდებიდან დაგიკავშირდნენ?

- დაკონკრეტება ჩემი მხრიდან გაუმართლებელი და არაკორექტული იქნება, რადგან იმ გუნდებს მწვრთნელები ჰყავთ.

- ბუნდესლიგიდან იყო შემოთავაზებები?

- დიახ.

- გლაზგოს მატჩის შემდეგ ფეხბურთელები ამბობდნენ, რომ თამაშის მინურულს ძალიან დაღლილები იყვნენ და თქვენც იგივე გაიმეორეთ. გამოდის, რომ ფიზმომზადების პრობლემა ჯერ კიდევ გვაქვს...

- დიახ, მატჩის მინურულს ბიჭებს არაქათი გამოეცალათ, მაგრამ ყველას არა. დემეტრაძეს, გოგუას, მენთეშაშვილსა და სირაძეს სათამაშო პრაქტიკა აკლდათ. მაგალითად, დემე მთელი მატჩის განმავლობაში არ გაჩერებულა, სირბილი და მოძრაობა ერთი წამითაც არ შეუწყვეტია. თუმცა სათამაშო პრაქტიკის უქონლობამ მასზე მაინც იქონია გავლენა - ბოლოს დაიღალა.

- თუკი ნაკრების ფეხბურთელებს სათამაშო პრაქტიკა აკლიათ, მათი შეცვლა ხომ შეიძლება? თუნდაც საქართველოს ჩემპიონატიდან.

- დემეტრაძის შეცვლა ძალიან ძნელია. თუნდაც უთამაშებელი, ბევრს აჯობებს, რადგან გიორგი ყოველთვის მონდომებული და ძალიან მოტივირებულია ხოლმე, თავს არასდროს ზოგავს. ზემოთ ის ფეხბურთელები დაგისახელეთ, რომლებსაც ნაკრებში მოხვედრის კარგი შანსი აქვთ, მაგრამ კიდევ უნდა მოუმატონ. იაშვილი, კობახიძე, დიღმელაშვილი, წინამძღვრიშვილი, ფეიქრიშვილი, გელაშვილი... მათთან ერთად, თავი სხვებმაც უფრო მეტად უნდა წარმოაჩინონ. ფაქტი ის არის, რომ "ოლიმპს", "დინამოს", "ამერს", "ზესტაფონს", "ვიტ ჯორჯიასა" და მოქმედ ჩემპიონ "სიონს", ნაკრებისთვის კადრების მიწოდება შეუძლიათ. ადრეც არაერთხელ მითქვამს, რომ ფეხბურთელმა ეროვნული ნაკრებისკენ გზა ეტაპობრივად უნდა გაიკვლიოს. კარგი იქნება, თუ ნიჭიერი მოთამაშეები გარკვეული ზღვარის მიღწევის შემდეგ, უცხოეთში, მაღალი დონის კლუბებში გადავლენ, რადგან ამით უფრო დიდ გამოცდილებას მიიღებენ და ნაკრების სრულფასოვან წევრებად იქცევიან. ოღონდ, მე არ ვგულისხმობ რუსეთის ან უკრაინის მაჩანჩალა კლუბებს, სადაც ფეხბურთელს პროგრესი ძალიან გაუჭირდება. მაგალითად, რუსეთის მეორე ლიგაში თამაშს, უმჯობესია, მოთამაშე აქ დარჩეს და ისევ ქართულ კლუბს მიეხმაროს, თუნდაც ევროტურნირებზე. დროა, ქართულმა კლუბებმა უეფას თასზე ან ჩემპიონთა ლიგაში მინიმუმ ერთი საფეხურით წინ მაინც წაიწიონ. მაგალითად, თუ წლეულს საქართველოს ჩემპიონი ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპამდე მიაღწევს, ეს უკვე სერიოზული მიღწევა იქნება.

- შოტლანდიასთან თამაშს დავუბრუნდეთ. თქვენმა ცვლილებებმა არ გაამართლა, გვეთანხმებით?

- გეთანხმებით. მოდით, დეტალურად განვიხილოთ: გოგუას ერთმა მოძრაობამ თურქეთთან ისეთი თამაში მოგვაგებინა, ამხანაგური ნაკლებად რომ ეთქმოდა. ვიცი, ყველა შეხვედრაში იმავეს ვერ გაიმეორებს, მაგრამ იმედი მქონდა, რომ გოგიტა გლაზგოშიც გამოიჩენდა თავს - ანუ, თამაშს გააძლიერებდა. სირაძემ თურქეთთან ძალიან კარგად ითამაშა და თავისი ოსტატობა გოლის დროს გამოავლინა. როგორც ხედავთ, თურქებს გოგუა-სირაძის იმ ერთი ულამაზესი კომბინაციით მოვუგეთ. სამწუხაროდ, დათო შოტლანდიასთან თამაშში მართლაც ვერ ჩაერთო კარგად, თუმცა ეს იმის ბრალიც იყო, რომ მეორე ტაიმში ვეღარ ვუტევდით, სირაძეს კი პასები სჭირდება. ის კარგად თამაშობს მეორე სართულზე, მაგრამ ფლანგებიდან ბურთს ვერ ვაწვდიდით. იმის თქმა მინდა, რომ დათო თანაგუნდელებს გადაცემებით უნდა მოემარაგებინათ, რასაც თავი ვერ გაართვეს.

- შოტლანდიასთან მეორე ტაიმი წავაგეთ, ფარერებთან კი ფრედ დავასრულეთ. რატომ გაგვიჭირდა მეორე ტაიმებში?

- გლაზგოში ძალიან ახლოს ვიყავით ფრესთან. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე ჩემი სიტყვები დამავიწყდა - შოტლანდიაში სამი ქულისთვის ჩავედით და ვფიქრობ, იმ თამაშის მოგება შეიძლებოდა. 89-ე წუთზე გოლის გაშვება ძალიან გულდასაწყვეტია. სამაგიეროდ, თურქეთთან და ურუგვაისთან მეორე ტაიმები მოვიგეთ. ფარერებთან მატჩი კი საერთოდ, ცალკე საუბრის თემაა...

- მაშინ ვისაუბროთ ამ შეხვედრაზე. გაშვებული გოლის შემდეგ ბიჭები ძალიან შეშინდნენ და ანერვიულდნენ, თანაც ისეთ გუნდთან, როგორიც ფარერებია. ანუ, ფსიქოლოგიური პრობლემაც გვაქვს...

- როცა ფარერების დარ გუნდთან პირველ ტაიმს 2:0-ს იგებ, ძალაუნებურად კონცენტრაციას კარგავ და გგონია, რომ მატჩს უპრობლემოდ მოიგებ. გაშვებული გოლი ჩვენთვის ცივი შხაპივით იყო. მერეც ვუტევდით, მაგრამ ლომაიას კართან მაინც შეიქმნა ორი ძალიან სახიფათო მომენტი, რაც სწორედ ნერვიულობის ბრალი იყო. ფსიქოლოგიური პრობლემა არ გვაქვს, უბრალოდ, იმ გოლმა ბიჭები ძალიან აანერვიულა. კიდევ კარგი, რომ თამაში მოვიგეთ. სხვათა შორის, ფარერები კარგი გაკვეთილი უნდა გამოდგეს და ეს ასეც იქნება. ამის შემდეგ თითოეულ ფეხბურთელს ეცოდინება, რომ იოლი მეტოქე და იოლი თამაში არ არსებობს. პირველი შეხვედრა 6:0 იმიტომ მოვიგეთ, რომ მაშინ გუნდი პირველიდან ბოლო წუთამდე 100 პროცენტით მობილიზებული იყო.

- არსებობს მოსაზრება, რომ ჩვენი ნახევარდაცვა ზანტია...

- მე ვერ ვიტყოდი, რომ ზანტი ნახევარმცველები გვყავს. თუმცა ამ მოსაზრებას ნანილობრივ მაინც დავეთანხმები. ნახევარდაცვა გუნდის უმთავრესი რგოლია. თავდამსხმელს ან მცველს გაჩერება კიდევ ეპატიება, ნახევარმცველებს კი არასოდეს.

- ეთანხმებით თუ არა იმ მოსაზრებას, რომ კლუბში ტრავმირებული ფეხბურთელი ნაკრების ექიმმა უნდა შეამოწმოს?

- დიახ, ვეთანხმები. მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ამ მხრივ პრობლემას ვერ ვხედავ. მაგალითად, ასათიანი სექტემბრიდან ტრავმირებულია და რა აზრი ჰქონდა, მის ჩამოყვანას და შემოწმებას?

- კალაძე?

- კახასაც 3 თვეა, ტრავმა აქვს. არ შეიძლება ეჭვის შეტანა იმაში, რომ კალაძე ტრავმირებული იყო და გუნდისთვის დახმარება მართლაც არ შეეძლო.

- და მაინც, განა ჩვენი ნაკრებისთვის უმჯობესი არ იქნებოდა, რომ თუნდაც ტრავმირებული კაპიტანი შოტლანდიაში გუნდთან ერთად ყოფილიყო?

- დიახ, რადგან კალა გუნდში მნიშვნელოვანი ფიგურა და ახალგაზრდებისთვის მისაბაძი მაგალითია.

- მეორე ნაკრებთან, ე.წ. მომავლის გუნდთან დაკავშირებით რა ხდება?

- ზაფხულიდან ინტენსიური მუშაობა დაიწყება და მომავლის გუნდიც მალე შეიქმნება.

- დაბოლოს, იქნებ რამის დამატება გსურთ...

- იმედი მაქვს, რომ ლიტვასა და საფრანგეთთან მატჩებისთვის საუკეთესო შემადგენლობით მოვემზადებით და არავინ დაგვაკლდება. არცერთ შეხვედრაში ერთი და იმავე სასტარტო შემადგენლობით არ გვითამაშია, ეს კი არ არის სახარბიელო. ძალიან მიხარია, რომ მეკარეზე აღარავინ საუბრობს. გახსოვთ, მუდმივად ისმოდა კითხვა, რატომ არ ჩამოგვყავს უცხოელი მეკარეო. მე ვამბობდი, რომ მეკარის პრობლემა არ გვაქვს. დიდი ხანია, ეს თემა აღარავის წამოუჭრია, რაც ძალიან სასიხარულოა - ლომაია ძალიან კარგი გოლკიპერია და ამას კიდევ ბევრჯერ დაამტკიცებს.

ამასთან, უნდა გითხრათ, რომ ერთი წლის წინანდელთან შედარებით, უფრო ფრთხილი გავხდი, რადგან ბევრ რამეში გავერკვიე და ბევრ რამეს მივხვდი... აქაურ სიტუაციას ვგულისხმობ...

გოტფრიდ ლენცი

www.kazbegi.com

გაზეთი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ინტერვიუ ჰერბერტ ცანკერთან

პორტუგალიაში მოგება გვინდა

ჰერბერტ ცანკერი (წინა პლანზე) და მისი ახალი თანაშემწე გელა შეყილაძე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

წელიწადზე მეტია, ჰერბერტ ცანკერი საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებს წვრთნის. ამ ასაკის ნაკრების გარდა, ცანკერი მთელი ქვეყნის მასშტაბით აწარმოებს ნიჭიერი ჭაბუკების მოძიებას. ამჯერად, ცანკერს მეორედ უწევს 17-წლამდელთა ნაკრების ჩამოყალიბება. მან უკვე გამოაცხადა იმ 18 მოთამაშის ვინაობა, ვინც პორტუგალიაში გასამართ საერთაშორისო ტურნირზე საქართველოს ღირსებას დაცავს.

სხვადასხვა სახის ჩანაწერი გერმანულ და ქართულ ენებზე, საქართველოს რუკა, რომელზეც აღნიშნულია ის სკოლები, რომლებთანაც სამწვრთნელო შტაბი თანამშრომლობს. საქართველოსა და გერმანიის დროშები... ასეთი ვიხილეთ ცანკერის კაბინეტი გუშინ სტუმრობისას. მასპინძელი დამტვრეული ქართულით მოგვესალმა. საუბრის დასაწყისშივე გვითხრა, ქართულ ენას ვსწავლობ. იმედია წლის ბოლოს უკვე იმდენად მეცოდინება ქართული, რომ გაზეთებსაც თავადვე წავიკითხავ და ინტერვიუსას თარჯიმანიც აღარ დაგვჭირდებაო... თარჯიმნობა ამჯერადაც მისმა თანაშემწემ ლევან ხომერიკმა გაგვინია.

- სელექციის პირველი რაუნდი მარტის დასაწყისში დაასრულეთ და კონტინგენტი, რომელშიც რამდენიმე ათეული ფეხბურთელი იყო, 33 მოთამაშემდე დაიყვანეთ. რამდენად რთული იყო ეს პროცესი?

- ამ გუნდის ჩამოყალიბება ჯერ კიდევ შარშან დავიწყეთ. გენერალურ მდივან უწა უგულავას 1 დეკემბერს გავაცანი ჩემი კონცეფცია, რომელიც შემდეგ ყველა რეგიონული ფედერაციის თავკაცს წარვუდგინეთ. სულ 8 რეგიონი იყო წარმოდგენილი. დასავლეთიდან აჭარა, გურია, იმერეთი და სამეგრელო. ხოლო აღმოსავლეთიდან კახეთი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი და თბილისი. ჩვენ უმთავრესად 1991 წელს დაბადებული თაობა გვაინტერესებდა, მაგრამ პარალელურად, 1992 წელს დაბადებულებიც ვნახეთ, რომელთაგან საუკეთესოები აღმოსავლეთის რეგიონის კრებულს შევუერთეთ. 16 მარტს ხონში დასავლეთისა და აღმოსავლეთის ნაკრებები ვათამაშეთ ერთმანეთთან, რის შედეგადაც 33 საუკეთესო ფეხბურთელი შევარჩიეთ. გარდა ამისა, ჩვენ ცალკე ვაკვირდებოდით უცხოეთში მოასპარეზე ქართველ ლეგიონერებს.

- ურეკში მოსამზადებელ შეკრებაზე 33 ფეხბურთელი გყავდათ. ამ კონტინგენტიდან 18 მოთამაშე შეარჩიეთ. რა პრინციპით მოხდა ეს შერჩევა?

- ფეხბურთელებს ურეკში რამდენიმე ტესტი ჩავუტარეთ - ნახტომებში, სირბილში სხვადასხვა დისტანციაზე, გამძლეობაში, დრიბლინგში, სწრაფ აზროვნებაში, ტექნიკურობაში და ა. შ. ტესტებისას უცხოეთიდან ჩამოტანილ სპეციალურ აპარატურას ვიყენებდით. შეკრების ბოლოს სამედიცინო შემონმებაც ჩავატარეთ. სხვათა შორის, ამ შეკრებაზე ჩვენს გუნდს თან ახლდა ფსიქოლოგი, რომელმაც ამ ბიჭებს დიდი სარგებელი მოუტანა. ყოველდღე 5-6 საათის განმავლობაში ჩვენ მოედანზე ვმუშაობდით. მთლიანობაში, ამ შეკრებისას 9 მატჩი ჩავატარეთ და საბოლოოდ 18 ფეხბურთელი შევარჩიეთ.

- შესარჩევი ეტაპი შემოდგომაზე იწყება. გუნდის ჩამოყალიბებისთვის საკმაო დრო გაქვთ. ბუნებრივია, ნაკრების ჩამოყალიბების პროცესში, მხოლოდ ამ 18 მოთამაშით არ შემოიფარგლებით...

- რა თქმა უნდა. არც მხოლოდ 33 ფეხბურთელით შემოვიფარგლებით. ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა ამ ასაკის 55 ფეხბურთელს მოიცავს. პორტუგალიის ტურნირი მზადების პირველი უცხოური რაუნდია და ამ ეტაპზე ეს 18 მოთამაშე მინდა, რომ საქმეში ვნახო.

- ამჯერად მეორედ აყალიბებთ 17-წლამდელთა ნაკრებს. შარშანაც მზადების ამ ფაზაში იყავით. ეს უკეთესი კონტინგენტია, თუ შარშანდელი?

- მართალი გითხრათ, წლეულს უკეთეს მდგომარეობაში ვართ. იმ გაგებით, რომ შარშან გუნდის ჩამოყალიბებისთვის 3 თვე გვქონდა. წლეულს კი ორჯერ მეტი დრო გვაქვს. რაც შეეხება კითხვას, თუ რომელი გუნდია უკეთესი, ამაზე გადაჭრით ვერაფერს გეტყვით. ვნახოთ, წლეულს თუ რა შედეგები გვექნება. ერთი შეხედვით კი შემიძლია გითხრათ, რომ კარგი კონტინგენტი გვყავს. სასიხარულო ისაა, რომ პორტუგალიაში გამოსაცდელად 1992 წელს დაბადებული 4 ფეხბურთელი მიგვყავს.

მზადების პროცესში დიდად წაგვადგება რუსეთის ნაკრებთან გასამართი ოთხი მატჩი. აქედან ორი ივლისის ბოლოს სოჭში შედგება, ნოემბერში კი კი უკვე თბილისში ვითამაშებთ.

- საქართველოში ყოველთვის პრობლემა იყო ჭაბუკთა ნაკრებებში ასაკის გადაკეთება. ამ პრობლემას თუ წააწყდით და საერთოდ როგორ ებრძვით ამ სენს?

- მართალი გითხრათ, ამ პრობლემას არ წავწყდომივარ. საერთოდ კი ამას ფედერაცია საკმაოდ ეფექტურად ებრძვის ფეხბურთელთა საბუთების ძირეული შემონმებით.

- შემოდგომაზე შესარჩევი ციკლი გველის. მეტოქეებსა და შანსებზე რას იტყოდით?

- პირველ საკვალიფიკაციო ეტაპს სექტემბრის ბოლოს ბულგარეთი უმასპინძლებს. ბულგარელთა გარდა, მეტოქეებად უნგრეთი და ხორვატია გვყავს. შარშანდელის დარად ჩვენს ჯგუფში აღარაა გერმანია და რუსეთი, რომლებიც ფავორიტებად იყვნენ მიჩნეულნი. ალბათ, ნახეთ ჩვენი ჯგუფიდან გასული გერმანიის შედეგები ელიტრაუნდში. გერმანელებმა სამივე მატჩი მოიგეს, ირლანდია და საბერძნეთი ერთნაირი ანგარიშით 4:1 დაამარცხეს, შოტლანდიას კი 3:0 მოუგეს.

რაც შეეხება ჯგუფიდან გასვლის შანსებს, ვფიქრობ, ჩვენ, ბულგარეთს, უნგრეთსა და ხორვატიას ის თანაბარი გვაქვს.

- პორტუგალიის საერთაშორისო ტურნირზე რა იქნება ჩვენი მიზანი?

- ეს ბიჭებისთვის საერთაშორისო დებიუტი და პირველი დიდი გამოცდა იქნება. ბუნებრივია, ჭაბუკები გამოცდილებას გაიმდიდრებენ. თუმცა პორტუგალიაში ჩვენ მხოლოდ გამოცდილების გასამდიდრებლად კი არა, მოსაგებად მივემგზავრებით.

- დაბოლოს, თქვენს სამწვრთნელო შტაბს ახალი წევრი გელა შეყილაძე შეემატა. მასზე რისი თქმა შეგიძლიათ?

- ნოდარ ახალკაცისა და მთლიანად ფედერაციის ხელმძღვანელობის ერთ-ერთი პრიორიტეტი ახალგაზრდა ქართველი მწვრთნელების დასაქმება და მათთვის გამოცდილების მიცემაა. რამდენიმე თვის წინათ, ჩვენს შტაბში გამოჩნდა ლევან ხომერიკი, ამჯერად კი გელა შეყილაძე შემოგვიერთდა. ხომერიკის მსგავსად მასაც უცხოეთში უთამაშია, გარკვეული გამოცდილება გააჩნია და მჯერა, წაგვადგება. ამასთან, თავად შეყილაძეც საკმაო გამოცდილებას შეიძენს. სხვათა შორის, გელა შეყილაძე პეტარ სეგრტის გუნდსაც ახლდა თურქულ შეკრებაზე.

დავით ცაბაძე

ჩიხურა-ზესტაფონის შემდეგ

ვინ გათხარა ქართლი?

გადათამაშების შემთხვევაში, ჩიხურა ჩემპიონატს დატოვებს

ასეთი სურათი დახვდათ „ქართლის“ სტადიონზე მისულ „ზესტაფონის“ წარმომადგენლებს. როგორც ხედავთ, კარის ძელებს შორის მინა რამდენიმე სანტიმეტრზეა ამოთხრილი.

ქართლის სტადიონი გუშინ

„ძალიან კარგია, რომ სტადიონისა თუ კლუბის მესვეურები კარის სიმაღლის საერთაშორისო სტანდარტებში მოყვანას ცდილობენ, მაგრამ უმჯობესი იქნებოდა, ამაზე ადრე ეზრუნათ. ჩვენ მიერ გადაღებულ ფოტოსურათებზე ნათლად ჩანს, რომ მინა ახალი ამოთხრილია, თან მხოლოდ ერთ ვიწრო ზოლად, რაც თვალისთვის იოლი შესამჩნევია.“, - ამბობს „ზესტაფონის“ პრესსამსახურის უფროსი **სერგო ფუტკარაძე**.

შეგახსენებთ, ეროვნული ჩემპიონატის გასული ტურის კალენდარული შეხვედრის შემდეგ, „ზესტაფონის“ წარმომადგენლებმა „ქართლის“ სტადიონის კარების ძელები გაზომეს, რომლებიც დასაშვებზე რამდენიმე სანტიმეტრით მოკლე აღმოჩნდა. კლუბმა უკვე შეიტანა პროტესტი ფეხბურთის ფედერაციაში „ჩიხურასთან“ მატჩში დაფიქსირებული შედეგის ანულირებისა და გადათამაშების მოთხოვნით. პროფლიგაში ეჭვობენ, რომ ზესტაფონელთა პროტესტი შედეგს არ გამოიღებს, მაგრამ ფეროელები იმედს არ კარგავენ.

„ფეხბურთის ისტორიას მსგავსი შემთხვევების გამო გადათამაშებების არაერთი პრეცენდენტი ახსოვს. ვიტოვებთ იმედს, რომ სამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებენ და „ჩიხურასთან“ ხელმეორედ ვითამაშებთ“, - აცხადებს ფუტკარაძე.

ამის შემდეგ „ჩიხურას“ გუნდის უფროსს, **ბადრი ბრეგვაძეს** დავუკავშირდით, რომელმაც ამ საქმეში თავისი კლუბის მონაწილეობა კატეგორიულად უარყო: *„შეთანხმების საფუძველზე, სტადიონს მისი ადმინისტრაცია უვლის, რაშიც „ჩიხურა“ ფულს იხდის. ვერ გეტყვით, ვინ ამოთხარა მინა, ისე კი, მაქვს გარკვეული ეჭვი, რისი თქმისგანაც ჯერჯერობით, თავს შევიკავებ.*

ჩემი ინფორმაციით, მოედნის სხვა ნაწილებიცაა განგებ დაზიანებული, რათა მერე თქვან, ნახეთ, „ჩიხურა“ მეტოქეებს როგორ სტადიონზე მასპინძლობსო. 5 აპრილს ქიათურიდან თბილისში გავემგზავრები და გზად „ქართლზე“ აუცილებლად შევივლი, რათა ინფორმაცია გადავამოწმო.

ზესტაფონელებს თავისუფლად შეეძლოთ, მატჩამდე გამოეთქვათ დასაბუთებული პროტესტი, მაგრამ რატომღაც, მათ ეს არ გაუკეთებიათ. რეალობა ისაა, რომ ნაღდ ბრძოლაში ფინასურად ჩვენზე გაცილებით ძლიერმა კლუბმა ვერ გვაჯობა და ახლა სხვა ხერხებით ცდილობს სასურველი შედეგის მიღწევას. დარწმუნებული ვარ, შეხვედრის შედეგი ძალაში დარჩება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ან „ქართლზე“ ჩვენს მიერ ჩატარებული ყველა მატჩის გადათამაშებას მოვითხოვთ, ანდა ჩემპიონატიდან გავალთ“, - აცხადებს ბრეგვაძე.

ლევან ჯანეზაშვილი

www.kazbegi.com

გაეხსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომი

ორი ახალი კომიტეტი

გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში აღმასკომის სხდომა გაიმართა, რომელიც ორ საათზე მეტხანს გრძელდებოდა. დღის წესრიგში 4 საკითხი იყო:

1. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სააპელაციო კომიტეტის შესახებ.

2. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ბავშვთა ფეხბურთის კომიტეტის შესახებ.

3. ფეხბურთის კლუბ "ამერის" განცხადების შესახებ.

4. სხვადასხვა.

დებულების თანახმად, სააპელაციო კომიტეტის თავჯდომარე და მოადგილე აუცილებლად იურიდიული განათლების მქონენი უნდა იყვნენ. შესაბამისად, აღმასკომმა სააპელაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით დაამტკიცა.

ვერა დობორჯგინიძე (იურისტი, კომიტეტის თავმჯდომარე). **მიხეილ საბახტარიშვილი** (იურისტი, კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე). **ილია დათუნაშვილი** (ვეტერანი ფეხბურთელი). **ვახტანგ ქორიძე** (ვეტერანი ფეხბურთელი). **ვალერი კობახიძე** (ვეტერანი ფეხბურთელი).

ბავშვთა ფეხბურთის კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით დამტკიცდა:

გრიგოლ ცაავა (კომიტეტის თავმჯდომარე, სფფ-ის ვიცე-პრეზიდენტი). **ლევან ადეიშვილი** (კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ბათუმის საფეხბურთო კომლექსის "ადელის" დირექტორი). **არჩილ არველაძე** (35-ე საფეხბურთო სკოლის დირექტორი). **მამუკა გუგეშაშვილი** (საფეხბურთო სკოლა "ოლიმპის" დამფუძნებელი). **ვასილ გულორდავა** (საფეხბურთო კლუბ ზუგდიდის "ბაიას" მთავარი მწვრთნელი). **ნიკოლოზ დოლიძე** (საფეხბურთო სკოლა "ირაოს" დამფუძნებელი). **ვალერი მანაგაძე** (იმერეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი). **კარლო მჭედლიძე** (საფეხბურთო კლუბ თბილისის "ოლიმპიკის" პრეზიდენტი). **გოჩა როსტომაშვილი** (კახეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი). **თენგიზ სულაქველიძე** (საფეხბურთო სკოლა თ. სულაქველიძის აკადემიის პრეზიდენტი). **ოთარ შენგელია** (საფეხბურთო სკოლა "ნორჩი დინამოელის" დირექტორი).

რაც შეეხება ფეხბურთის კლუბ "ამერის" განცხადებას, კლუბის ხელმძღვანელობამ აღმასკომს თხოვნით მიმართა ფეხბურთელ **დენის დობროვოლსკის** (4 მატჩითაა დისკვალიფიკაცირებული), სასჯელის შემსუბუქების თაობაზე. დობროვოლსკის საკითხს სააპელაციო კომიტეტი მიმდინარე კვირის ბოლომდე, სავარაუდოდ, პარასკევს განიხილავს.

ამას გარდა აღმასკომმა ფედერაციის საკლუბო ლიცენზირების სისტემაში მომხდარი ცვლილებები დაამტკიცა.

ᲒᲣᲨᲘᲜᲕᲘ აღმასკომის მერე მსმენელების წინაშე **ნოდარ ახალკაცი, გოგი ქავთარაძე** და **უჩა უგულავა** წარდგნენ. ახალკაცმა ზემოთნახსენების შესახებ გააკეთა განცხადება და დაამატა:

- ხვალ ტალანტთა აღმოჩენის პროგრამასთან დაკავშირებით პრეზენტაციას მოვაწყობთ. ყველა გაიგებს თუ რა გაკეთდა ამ მიმართულებით. საერთოდ კი ამ მხრივ დიდი მუშაობა გაწია 17-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელმა ჰერბერტ ცანკერმა. მან მთელი საქართველოს მასშტაბით აწარმოა მუშაობა და ყოველივე ეს მონაცემთა ბაზაშია შესული. გეტყვით იმასაც, რომ 4 მაისიდან C კატეგორიის ლიცენზიებისთვის სემინარები გაიმართება. ეს კიდევ ერთი კარგი წამოწყებაა და ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას დიდად წაადგება.

- ბავშვთა საფეხბურთო სკოლების სერტიფიცირების პროცესი და კატეგორიათა მიხედვით ვარსკვლავების მინიჭება როდისთვის დაიწყება?

- ამ მიმართულებით მუშაობა უკვე დაწყებულია. ბავშვთა კომიტეტში სათათბირო ხმის უფლებით 17-წლამდელთა ნაკრების თავკაცი ჰერბერტ ცანკერი და ფედერაციაში ბავშვთა განყოფილების ხელმძღვანელი ირაკლი ოყროშიძე შევლენ, რადგან ისინი ამ პროცესში უშუალოდ არიან ჩართულები.

უჩა უგულავა: ბავშვთა საფეხბურთო სკოლების ლიცენზირების პროცესზე ვმუშაობთ. დასკვნითი ფაზა სექტემბერში დაიწყება. მანამდე კი C კატეგორიის ლიცენზიები გაიცემა. ეს პროცესი იმერეთიდან დაიწყება და მთელ საქართველოს მოიცავს. როგორც იცით, მუნიციპალური სკოლებიც არსებობდა და ამ საკითხზე სპორტის დეპარტამენტთან ერთად ვმუშაობთ.

გუშინ გავრცელებული ხმების თანახმად, აღმასკომს ეროვნული ნაკრების თავკაც კლაუს ტოპმიოლერთან მოქმედი კონტრაქტის გაგრძელებასა და ფეხბურთის ფედერაციის ყრილობის (და არჩევნების) დანიშვნის თაობაზე უნდა ემსჯელა. თუმცა ხმები უსაფუძვლო აღმოჩნდა.

დავით ᲪᲐᲒᲐᲫᲔ



ასლან ბალაძე

მერანი

ბალაძემ დაბრუნა

"მერანში" ბოლო ორი თვის განმავლობაში ამბები დატრიალდა. ჯერ იყო და გუნდს ორი მთავარი მწვრთნელი შეეცვალა. გაოცებას იწვევდა ისიც, სახიფათო ზონაში მოხვედრილი გუნდი ორ გამოცდილ მოთამაშეს, კაპიტან **ვალერი გაგუას** და თავდამსხმელ **გიორგი ქორიძეს** რომ არ ათამაშებდა.

ფაქტია, რომ რაღაც გაუგებრობას ჰქონდა ადგილი, საუბარს გუნდში ყველა ერიდებოდა. "მერანის" მთავარ მწვრთნელად დანიშნულმა **ასლან ბალაძემ** ამ გაუგებრობას წერტილი დაუსვა და არსებული რეზერვის გამოყენება გადაწყვიტა.

"გაგუასაც გამოვიყენებთ და ქორიძესაც. ორივე გუნდშია და გაუგებარია, რატომ არ უნდა ვათამაშოთ ეს ბიჭები? გამოცდილი ფეხბურთელები არიან და "მერანს" დიდ დახმარებასაც გაუწევენ. ამის თაობაზე გუნდის მეპატრონე დილარ ხაბურიანს ვესაუბრე და ისიც ამ აზრს იზიარებს", - განაცხადა "ლელოსთან" საუბარში ბალაძემ.

მომხდარზე ვალერი გაგუასაც გავესაუბრეთ: "ასლან ბალაძემ ჩემი დაბრუნება მოითხოვა. დილარ ხაბულიანიც გაოცებული იყო ჩემი უთამაშებლობით. ჩემთვის უცნობია ზუსტი მიზეზები, რატომ არ მათამაშებდნენ. მთავარია, რომ ამას ბოლო მოეღო და შემდეგ ტურში "ვიტ ჯორჯიასთან" ვითამაშებ. "მერანს" საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა ჰყავს და დარწმუნებული ვარ, ამ გუნდს ექვსეულში მოხვედრა შეუძლია. ეგაა, რომ საკუთარი ძალების რწმენა გვაკლია".

მერაბ მამულაშვილი

ლეგიონერები

მუჯირი სამარის სიამაყეა

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲨᲘ გამომავალმა გაზეთმა "ნევსკი სპორტმა" გამოაქვეყნა საკუთარი ვერსია რუსული კლუბების ფინანსური მდგომარეობების თაობაზე. ამასთანავე, მითითებულია, თუ რომელ მოთამაშეებს მიიჩნევენ გულშემატკივრები კერპებად.

"კრილია სოვეტოვის" სიამაყე დათო მუჯირია. იგი გულშემატკივრებმა 2006 წლის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. გაჯიევისა და კანჩელსკისის წასვლის შემდეგ, ვალდებულიც არის, გამორჩეული ფიგურა გახდეს. მიუხედავად სამარელთა მთავარი მწვრთნელის, სერგეი ობორინის ტაქტიკური ჩანაფიქრისა, გულშემატკივრებს ცეცხლოვანი ფეხბურთით გაახარებ? - წერს გაზეთი.

თუმცა უფრო საინტერესოს ქვემოთ ვკითხულობთ: *"სეზონის ბოლოს ქართველ ფლეიმეიქერს რუსეთის ერთ-ერთ ტოპკლუბში გაყიდიან."*

აქვე გეტყვით, რომ წესითა და რიგით, მუჯირმა რუსეთის ვიზა დღეს უნდა აიღოს და "კრილია სოვეტოვს" შეუერთდეს. სამარელთა მთავარმა მწვრთნელმა პრემიერლიგის მესამე ტურში "მოსკვასთან" საშინაო ფრე არადამაკმაყოფილებელ შედეგად ჩათვალა და დაბალ შედეგიანობაზე დაიწუწუნა. ამის ერთ-ერთ მიზეზად კი ქართველის არყოფნაც დაასახელა: *"იმედი მაქვს, რომ მუჯირი მალე დაგვიბრუნდება და ჩვენი შემტევი პოტენციალი გაიზრდება"*.

სხვათა შორის, მუჯირის სავიზო პრობლემას გუნდის პრესსამსახური გამოეხმაურა - *"თუკი ასეთი რამ მომავალშიც გაგრძელდება, მუჯირი მხოლოდ ევროთასების გასვლით თამაშებზე თუ დაგვეხმარა. ამ ტურნირის საგზური კი ჯერაც მოსაპოვებელი გვაქვს."*

ვისარგებლეთ დათოს თბილისში ყოფნით და კომენტარი ჩამოვართვით.



დავით მუჯირი

- დათო, "ნევსკი სპორტის" ინფორმაციით, სეზონის დასრულების შემდეგ ერთ-ერთ ძლიერ რუსულ გუნდში გადადიხარ. ეს ჭორია თუ სიმართლე?

- სეზონის ბოლომდე რა მოხდება, მე არ ვიცი და გაზეთმა საიდან შეიტყო? საამისოდ, სეზონი მაღალ დონეზე უნდა ჩავატარო. რა თქმა უნდა, უკეთეს გუნდში თამაში მინდა, მაგრამ წინასწარ რა და როგორ მოხდება, ძნელი სათქმელია.

- აბა, ინფორმაცია ჰაერიდან ხომ არ მოიტანეს?

- შეიძლება, რატომაც არა? პირველი შემთხვევაა თუ რა. არაა გამორიცხული, ჩემზე მეტ ინფორმაციას ფლობენ, თუმცა მეეჭვება. შარშან მართლა იყო ძლიერ გუნდებში გადასვლის ვარიანტები. "კრილიას" ხელმძღვანელებისგან შევიტყვე, მოსკოვის გუნდები გიწვევენო. თუმცა ტრავმა მივიღე და ყველა ვარიანტი გამოირიცხა.

- "შახტიორში" შენი გადასვლა რეალური იყო?

- კიევში, უკრაინა-საქართველოს თამაშზე ჩემზე დასაკვირვებლად ჩამოვიდნენ, მაგრამ ესეც უშუალოდ დონეცკელებისგან არ შემიტყვია, სხვა წყაროებიდან გავიგე.

მერაბ მამულაშვილი

ხიზანიშვილი პასუხს ელის, გოგუამ ვარჯიში განაახლა



შოტლანდია-საქართველო. ხიზანიშვილი ამ ეპიზოდში დაშავდა

ᲓᲐᲖᲣᲡᲢᲔᲑᲣᲚᲘ არაა, მაგრამ შესაძლოა **ზურაბ ხიზანიშვილს** საზარდულის ოპერაცია დასჭირდეს. ზურას ეს დიდი ხანია, აწუხებს და აქამდე თამაშს მხოლოდ ნემსებით ახერხებდა. ის ახლაც ნემსებს იკეთებს, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ამჟამად ვერ ვარჯიშობს და ექიმის პასუხს ელის, დასჭირდება თუ არა ოპერაციის გაკეთება. ასეთ შემთხვევაში, მცველი სულ მცირე ერთი თვით დაისვენებს.

გახსოვთ, ალბათ, შოტლანდია-საქართველოს მატჩის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე ხიზანიშვილს სწორედ საზარდულმა შეუშალა ხელი მეტოქისთვის წინააღმდეგობა გაეწია და ბურთი მოეგერიებინა, რასაც ჩვენს კარში მეორე გოლი მოჰყვა. ტრავმის გამო ფეხბურთელი თბილისში, ფარერებთან სათამაშოდაც ვერ ჩამოვიდა. გუშინ შევიტყვეთ, რომ "ბლექბერნისა" და საქართველოს ნაკრების მცველის მდგომარეობა კიდევ უფრო გართულებულა.

რაც შეეხება საქართველოს ნაკრების ნახევარმცველ **გოგიტა გოგუას,** ის უკვე მომჯობინდა. გოგიტამ ფარერებთან მატჩამდე ტვინის შერყევა მიიღო, ერთი კვირა არ უვარჯიშია და რამენსკოეს "სატურნს" რუსეთის პრემიერლიგის მესამე ტურში "ტომთან" შეხვედრაშიც ვერ დაეხმარა. მან გუშინ გუნდთან ერთად ივარჯიშა და, სავარაუდოდ, მომავალ ტურშივე დაუბრუნდება მოედანს.

მერაბ მამულაშვილი

ვენსტპილსმა დაადასტურა

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲛᲔᲜᲗᲔᲨᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ "ვენტსპილსში" გადასვლაზე ერთი კვირის წინ წერდით. ახლა უკვე კლუბის პრესსამსახურმაც დაადასტურა, რომ საქართველოს ნაკრების 27 წლის ნახევარმცველი კლუბის მაისურას მოირგებს. თავად მენთეშაშვილმა "ლელოსთან" ინტერვიუში განაცხადა, რომ ლატვიაში პირველი წრის ბოლომდე დარჩება. კლუბის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში კი, რომელიც შემდეგ უეფას ოფიციალურმა ვებ-გვერდმაც გაავრცელა, მითითებულია: *"ლატვიის ჩემპიონმა ზურაბ მენთეშაშვილი სეზონის ბოლომდე იჯარით დაიმატა."*

საინტერესო ისაა, რომ "ვენტსპილსმა" ნახევარმცველთან კონტრაქტი ერთი კვირის წინ გააფორმა და რატომღაც ამას მედიას გულდაგულ უმალავდა. საზოგადოებას ამ გარიგების შესახებ "ვენტსპილსის" კონკურენტის, რიგის "სკონტოს" მთავარმა მწვრთნელმა **პოლ ეშორტმა** აცნობა.

ლატვიაში მენთეშაშვილს კარგად იცნობენ, რადგან 6 წლის განმავლობაში "სკონტოში" თამაშობდა. თუმცა "შინიკიდან" წამოსული მოთამაშის დაბრუნება რიგელებმა არ ისურვეს. სხვათა შორის, ეს ტრანსფერი უეფას ოფიციალურმა ვებგვერდმა 3 აპრილს უმთავრეს მოვლენებში, ანუ ე.წ. ტოპ-ნიუსებში განათავსა.

ლატვიის ჩემპიონატი მალე დაიწყება. 2 აპრილი განაცხადების შეტანის ბოლო თარიღი იყო. უმაღლესი ლიგის მონაწილე "იურმალამ" ერთბაშად თერთმეტი ახალი ფეხბურთელი დაიმატა. მათ შორის წარმოშობით ქართველი ფეხბურთელი **ოთარ გოგბერიშვილი**. ეს ბიჭი 20 წლისაა და როგორც ვიცით, აქამდე მოსკოვის "დინამოს" დუბლებსა და პირველი ლიგის ვლადიმირის "ტორპედოში" თამაშობდა. ამპლუით ის ნახევარმცველია.

წლეულს ლატვიის უმაღლეს ლიგაში ქართველების მოზღვავებაა. მანამდე "სკონტოში" დაბრუნდა **დავით გამეზარდაშვილი**, "დინაბურგში" კი **თამაზ პერტია**, რომელმაც მენეჯერის როლიც მოირგო. "დინაბურგში" ჩაირიცხა ორი უცნობი ქართველიც - თბილისის "ოლიმპიკის" გაზრდილი **ბექა გიორგაძე** და ესპანეთის "ვალენსიის" საფეხბურთო სკოლაში ნავარჯიშები **როლანდ სვანიძე**.

"სკონტოში" გამეზარდაშვილთან ერთადაა საქართველოს ნაკრების მცველი **ზაალ ელიავა**. გასულ წელს ამ გუნდში **დავით ჩალაძე** და **ლევან კორღალიძე** თამაშობდნენ. ჩალაძის ასავალ-დასავალი უცნობია, კორღალიძე კი კარიერას ბოლნისის "სიონში" აგრძელებს.

მერაბ მამულაშვილი

www.kazbegi.com

გაზეთი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

საქართველოს ჩემპიონატი. I ლიგა

უმაღლესი ლიგის შანსი მაღაროელსაც გაუჩნდა

სამმატჩიანმა მოგებათა სერიამ ჭიათურელები საფლეიოფო ზონას საგრძნობლად მიაახლოვა. არადა, პირველი წრის შედეგების მიხედვით, "მაღაროელის" ასე დაწინაურება ძნელი წარმოსადგენი იყო. იმის გათვალისწინებით, რომ სტაბილურად ვერც მისი კონკურენტები, "მეშაქრე" და "გაგრა" ასპარეზობენ, "მაღაროელს" გადათამაშებაში მოხვედრის საკმაოდ დიდი შანსი აქვს. როგორც ხედავთ, სატურნირო ცხრილში იმერლებმა მუხრანელები უკვე ჩამოიტოვეს.

"მეშაქრემ" და "გაგრამ" ვერ ივარგეს, რითაც მდგომარეობა საგრძნობლად გაიუარესეს. გამარჯვების შემთხვევაში, აგარელებს მეორე საფეხურზე აღზევების შანსი მიეცემოდათ.

გასულ ტურში ლიდერთაგან მხოლოდ "მესხეთმა" იმარჯვა. ახალციხელებმა "რაჭას" იოლად სძლიეს და თუ გადადებულ მატჩსაც მოიგებენ, უმაღლესი ლიგისკენ კიდევ ერთ ნაბიჯს გადადგამენ.

"მაღაროელთან" განცდილი მარცხის მიუხედავად, პირველ პოზიციაზე "მგლები" მაინც მყარადაა, თუმცა ზუგდიდელები ბოლო დროს ქულებს სტაბილურად ვეღარ აგროვებენ და ასე გაგრძელება არაფერს არგებთ.

"ამერი 2-მა" ჩემპიონატში ზედიზედ მეთოთხმეტე დუმარცხებელი შეხვედრა ჩაატარა. ტყიბულში გამარჯვება შეეძლო "გურიას", მაგრამ **სულაქველიძემ** თერთმეტმეტრიანი ვერ გამოიყენა. უიმედო აუტსაიდერ "მერცხალისთვის" ეს ქულა დიდი ვერაფერი შენაძენია.

ლევან ჯანეზაშვილი

მესხეთი-რაჭა 3:0

1 აპრილი. ახალციხე. მ. იაძე.
700 მაყურებელი

1:0 რუსია (12), 2:0 გვირჯიშვილი (64), 3:0 ტ. კუჯულაძე (90)

მესხეთი: ძამუნაშვილი, ლეკიშვილი, კობესაშვილი, ელისაშვილი, თელიაშვილი, ილურიძე, გამცემლიძე, გვირჯიშვილი (75. სუდაძე), მ. თაყაძე, რუსია (70. ტ. კუჯულაძე), მუშკუდიანი (65. ინასარიძე)

სათადარიგოები: ჩომახიძე, ხეცურიანი, პ. პარამონოვი, მუმლაძე

რა□ა: გონგაძე, მეტონიძე (73. მაისაშვილი), სილაგაძე, რობიანი, გობეჯიშვილი, სახელაშვილი, ჯავოიანი (52. მიქაძე), კიკვაძე, რეხვიაშვილი, მიქაბერიძე (63. ჭელიძე)

სათადარიგოები: ი. კობახიძე, ე. კობახიძე

მსაჯი: ა. ნონიკაშვილი

ნ. დინამო-ამერი 2 0:0

1 აპრილი. თბილისი. ნორჩი დინამოელი.
50 მაყურებელი

ნ. დინამო: კობახიძე, ლოლაძე, დონაძე, ბოკუჩავა, ჩალაძე, რუსიძე, ლობჟანიძე, გოგოხია, ქობალია, ქემუხტაშვილი (46. მ. ბარაბაძე), ტოლონჯაძე (78. მაყაშვილი)

სათადარიგოები: შენგელია, ზურაბიშვილი, დემეტრაძე, როსტიაშვილი, შერმადინი

ამერი 2: ნაჭყებია, ელბაქიძე (46. სიჭინავა), გვაძაბია, ბერიანიძე, ფირანიშვილი, სილაგავა (87. კბილეცებლაშვილი), შენგელია, ვაჩეიშვილი (76. ნაჭყებია), ნაბრია, სევასტოპულო, ჩიმაკაძე

სათადარიგოები: გვენცაძე, ბოჯგუა, გადელია, მეტონიძე

მსაჯი: ლ. ფანიაშვილი

მერცხალი-ჩიხურა 2 0:0

1 აპრილი. ოზურგეთი. ცენტრალური.
100 მაყურებელი

მერცხალი: გოგუა, ხურციძე, ტუტოიანი, ქენეიშვილი, რამიშვილი, მაკასარაშვილი, სურგულაძე, ჭეიშვილი, ქობულაძე, ჩხაიძე, ნაკაიძე (60. გულბანი)

სათადარიგოები: ჩხატარაშვილი, ქურასბედიანი, გობრონიძე.

ჩიხურა 2: მწყერაშვილი, მაჭარაშვილი, ხვედელიძე, როგავა, შუკაკიძე, დეკანოიძე, აბდუშელიშვილი, მეტონიძე, გულიაშვილი, გვეტაძე (40. გაფრინდაშვილი), ნადირაძე

სათადარიგოები: ჯაჯანიძე, ივანაშვილი, ფალავა

მსაჯი: ლ. სილაგავა

მაღაროელი-მგლები 1:0

1 აპრილი. □იათურა. თ. მაღრაძე.
600 მაყურებელი

1:0 სეფერთელაძე (27)

მაღაროელი: ბადურაშვილი, ბრეგვაძე, სამხარაძე, შუკაკიძე, ზ. ტყემალაძე, ჯაჯანიძე, იოსავა, ტყებუჩავა, სეფერთელაძე, ხაჭიპერაძე (89. ი. კუტალია), ვ. ტყემალაძე (63. ნაყოფია)

სათადარიგოები: დარჯანია, ნ. ტყემალაძე, გოგბერაშვილი, გაფრინდაშვილი, შეყოლაძე

მგლები: დევაძე, გ. ქირია, ფარულავა, ხუხია, კაკაბაძე, დ. ქირია, ვართაგავა (46. ლიპარტია), გაბედავა, ჯოჯუა (55. ლომია), ლ. კუტალია, თოდუა

სათადარიგოები: ძაგანია, ქომეთიანი, მოდებაძე, ბენდელიანი, ყღენტი

მსაჯი: მ. მაისურაძე

დინამო 2-სპარტაკი 1:0

1 აპრილი. თბილისი. სინათლე.
100 მაყურებელი

1:0 თომაშვილი (44)

დინამო 2: ლორია, თომაშვილი, აკობია, კობიაშვილი, გ. კაშია, ჩირიკაშვილი, მამრაში, ბოლქვაძე (73. კანდელაკი), ჯანაშია, ნ. ჯიშკარიანი (82. ტეტუნაშვილი), სირბილაძე

სათადარიგოები: ნაჭყებია, ქანთარია, ჩადუნელი, ჯოხაძე

სპარტაკი: ღაძაძე, რ. კუკულაძე, ბაბაშვილი, ცქვიტაია, შუბითიძე (57. კობალაძე), მარგიანი, ჯობავა, მჭედლიშვილი, ჩხაიძე (68. ჯაში), გ. ჯიშკარიანი, სახოკია

სათადარიგოები: ჩალაძე, გიორგაძე, გულიტაშვილი, მეტრეველი

მსაჯი: ი. ურუშაძე

სამტრედია-ვიტ ჯორჯია 2 0:0

1 აპრილი. სამტრედია. ცენტრალური.
300 მაყურებელი

სამტრედია: ხარძეიშვილი, გოგია, კვესეიშვილი, კალანდარიშვილი, ჯანელიძე, ჯინჭარაძე (81. ჩუბინიძე), ეცადეიშვილი, ზ. ჯიქიძე, ივეჩანი, სამსეიშვილი, გაბედავა

სათადარიგოები: ნუცუბიძე, რაფაელოვი, ივანაძე, ნინუა, მათურელი, მუჯრიშვილი

ვიტ ჯორჯია 2: მიქაბერიძე, ჭოველიძე, მენთესაშვილი, ადამაძე, კირთაძე, ინჯგია, ბეჭვაია, იმერლიშვილი (66. მაისაშვილი), შაიშმელაშვილი (89. აფციური), კიკნაძე (82. ლ. ჯიქიძე), ლიპარტია

სათადარიგოები: ღურბელეიშვილი, კაიშაური, პირველი

მსაჯი: ბ. დოგრაშვილი

მეშახტე-გურია 0:0

1 აპრილი. ტყიბული. ვ. გო□ორიშვილი.
400 მაყურებელი

მეშახტე: მერკვილიშვილი, ხაჭიპერაძე, დოხნაძე (72. ცქიფურიშვილი), კვანტრიშვილი (65. ძაგანია), ბოჭორიშვილი, მაჩალაძე, ხაჟალია, გიორგობიანი, ფანჩულიძე, ქურციკიძე, ავალიშვილი

სათადარიგოები: გიორგაძე, ჩაფიძე

გურია: მემარნიშვილი, გოგიბერიძე, იმნაიშვილი, ქურიძე, ცინცაძე, მაღლაკელიძე, ქობალია, წილოსანი, სულაქველიძე (86.მოდებაძე), კვერენჩხილაძე (89. სიამაშვილი), მგელაძე (68. კოტრიკაძე)

სათადარიგოები: ჩხაიძე, თელია

მსაჯი: გ. კიკაჩეიშვილი

გაგრა-ზესტაფონი 2 1:1

1 აპრილი. მუხრანი. ცენტრალური.
100 მაყურებელი

0:1 ჩოხელი (62), 1:1 ფანცხავა (69)

გაგრა: ხომერიკი, მგალობლიშვილი, ქვრივიშვილი, კვანტალიანი, თოთაძე (70. კორიფაძე), აფრიამაშვილი, შარიქაძე, ტყეშელაშვილი (59. დათუნაშვილი), მამუკაშვილი, ფანცხავა, ძაგანია (82. ხელაძე)

სათადარიგოები: ტალახაძე, მერაბიშვილი, ახობაძე, მესხი

ზესტაფონი 2: ჯალალონია, ბახტურიძე, შარანგია, სანაია, ძარია, ივანაშვილი (89. გელაჭეიშვილი), ჯანელიძე, ჩოხელი (79. თარხნიშვილი), ხიდეშელი, გოცირიძე, ბენაშვილი (74. მაისურაძე)

სათადარიგოები: პარამონოვი, გიორგიძე

მსაჯი: ვ. ელისაბედაშვილი

ოლიმპი-მეშაქრე 1:0

1 აპრილი. თბილისი. ოლიმპი.
100 მაყურებელი

1:0 მიმინოშვილი (70)

ოლიმპი: ხარშილაძე, ჭაფოძე, მაჭავარიანი, სეფიაშვილი, ნეფარიძე (54. ოდიშარია), ჩიხრაძე, მიმინოშვილი, სამსონია (46. ალექსანდრია), ზედგინიძე (70. კაკულია), ქორიძე, დონდოლაძე

სათადარიგოები: დგებუაძე, ჯანელიძე

მეშაქრე: დერევიაჩენკო, ებრალიძე, მანთიძე, გვარუციძე, ხაჩიძე, ილურიძე (58. კიკნაძე), ლობჟანიძე, ავალიანი, რობაქიძე, გოცირიძე (67. ჩიქოვანი), ჩიხლაძე

სათადარიგოები: ტუხაშვილი, კვასხვაძე, ნიკვაშვილი, გელაშვილი

მსაჯი: კ. ჭაჭუა

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. მგლები	23	17	2	4	38-13	53
2. მესხეთი	23	15	4	4	39-13	49
3. ოლიმპი	24	13	4	7	45-24	43
4. მეშაქრე	24	11	8	5	29-20	41
5. ამერი 2	24	10	9	5	34-26	39
6. მაღაროელი	24	10	7	7	33-27	37
7. გაგრა	24	11	3	10	33-29	36
8. ვიტ ჯორ. 2	24	10	6	8	36-21	36
9. დინამო 2	24	9	7	8	44-24	34
10. სამტრედია	23	8	7	8	23-31	31
11. ნ. დინამო	22	9	3	10	30-31	30
12. მეშახტე	22	8	5	9	30-29	29
13. ზესტაფ. 2	22	7	8	7	22-18	29
14. ჩიხურა 2	23	6	5	12	21-37	23
15. სპარტაკი	24	6	3	14	13-34	21
16. რაჭა	22	5	6	11	22-37	21
17. გურია	24	5	5	14	23-51	20
18. მერცხალი	23	2	4	17	14-61	10



ქინქლაძე სიტის ფანებს დღესაც ახსოვთ

ქინქლაძე, ოაზისი, ირაკლი...

"რუბინიდან" წასვლის მერე **გიორგი ქინქლაძეს** არსად უთამაშია. რუსულ წყაროებში იყო საუბარი, თითქოს გიორგი კვიპროსში **თემურ ქეცბაიასთან** ბრუნდებოდა, მაგრამ ეს არ იყო სწორი ინფორმაცია. 33 წლის ფეხბურთელის მომავალი კარიერის შესახებ ვერაფერს გეტყვით, თუმცა მოგითხრობთ, რომ მარტის ბოლოს ის მოსკოვში ერთ-ერთ კლუბს ეწვია, ძველი ნაცნობების მოსანახულებლად..

ღამის კლუბი B1 იმ დღეს ინგლისურ როკჯგუფ "ოაზისს" მასპინძლობდა. კონცერტმა სრული ანშლაგით ჩაიარა, სტუმართა შორის კი გიორგი ქინქლაძე და რუსული ესტრადის მომღერალი **ირაკლი ფირცხალავა** იყვნენ. კონცერტის შემდეგ გიორგი "ოაზისის" სოლისტ **ნოელ გალაჰერს** შეხვდა და მას ირაკლი გააცნო. ინგლისური ბულვარული გაზეთი "სანი" იუწყება, რომ ამ შეხვედრაზე ნოელ გალაჰერმა გიორგის ყველას გასაგონად "სიტის ნამდვილი ლეგენდა" უწოდა და ქინქლაძე კონცერტის შემდგომ ბანკეტზე დაპატიჟა. შეგახსენებთ, რომ ბრიტანეთში და მთელ მსოფლიოში ძალზე პოპულარული ჯგუფი "ოაზისი" თავს "მანჩესტერ სიტის" ფანობით იწონებს. ჯგუფს პერსონალურად სიმღერაც კი აქვს მიძღვნილი ქართველი ფეხბურთელისთვის Kinky Boots (ქინქლაძის ბუცები).

ნიკოლოზ ნეფარიძე

უკრაინის ვიცე-სპიკერი დემეტრაძის წინააღმდეგ

უკრაინის უმაღლესი რადას თავმჯდომარის მოადგილემ **ნიკოლაი ფომენკომ** ფეხბურთის პოლიტიზაცია დაუშვებლად მიიჩნია. პოლიტიკოსის ეს განცხადება "დემეტრაძის საქმის" გაგრძელებაა:

"*მიმაჩნია, რომ ზოგიერთი კლუბის ხელმძღვანელს საქმის დრამატიზების მიზნით, გარკვეული საკითხების პოლიტიზება სურს. არადა, ეს წმინდა წყლის სპორტული პრობლემაა. მაგალითად გამოდგება დონეცკის "მეტალურგის" ხელმძღვანელთა მიერ ინიცირებული სასამართლო პროცესი, რომელიც უკრაინის ფეხბურთიოს ფედერაციის წინააღმდეგაა მიმართული და ლეგიონერებზე ლიმიტის გაუქმებას ისახავს მიზნად. ეს მოედანზე უცხოელთა ყოფნას შეეხება და არა გუნდში აყვანას. მეტიც, მიმაჩნია, რომ ლიმიტი კიდევ უფრო უნდა გამკაცრდეს და შემდეგ პირველობაზე ოთხზე მეტ უცხოელს არ უნდა მიეცეს თამაშის უფლება. ეფიქრობ, უკრაინის ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად, ჩვენი ფეხბურთის განვითარებაზე კლუბების ეპატრონეებიც უნდა ზრუნავდნენ. მათი მიზანი უკრაინული კლუბების ერთგვარ სატრანსფერო მოედნად გადაქცევა არ უნდა იყოს*".

მერაბ მამულაშვილი

შერიფი კვლავ დაუმარცხებელია

მოლდოვაში 26-ე ტურის მატჩები გაიმართა. კიშინოვის "ზიმბრუმ" 6:0 გაანადგურა ბენდერის "დინამო", თუმცა ტირასპოლის "შერიფთან" 11-ქულიანი ჩამორჩენა ვერ შეამცირა. მასპინძელთა გუნდში სასტარტო შემადგენლობაში იყო **მამუკა ლომიძე**, მან 90 წუთი ითამაშა. "შერიფმა" "დაჩიას" უმასპინძლა და 1:0 მოუგო. "შერიფს" 64 ქულა აქვს და ერთპიროვნულად ლიდერობს ჩემპიონატს. **ვაჟა თარხნიშვილის** კლუბს 19 მატჩი აქვს მოგებული და 7 ფრედ დასრულებული, წაგებით კი ტირასპოლელებს ჯერ არ წაუგიათ.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და პროფესიული ფეხბურთის ლიგა დაბადების დღეს ულოცავენ პროფლიგის საშეჯიბრო განყოფილების მენეჯერს შოთა ბაქრაძეს.

გოგონათა მეგოქეები

ევროპის 17-წლამდელ გოგონათა ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში საქართველოს ნაკრების მეტოქეები რუსეთი, ინგლისი და სლოვაკეთი იქნებიან. ჯერჯერობით უცნობია, რომელი ქვეყანა უმასპინძლებს მე-10 ჯგუფის მატჩებს. კალენდარი უკვე ცნობილია. 23 ოქტომბერს ინგლისელებს ვეთამაშებით, 25-ში რუსებს, 28-ში კი – სლოვაკებს. ჯგუფიდან მხოლოდ ერთი გუნდი გადის.

ლვინიანიძე ძირითადს უმიზნებს

ახლადგამოჯანმრთელებულმა **მათე ღინიანიძემ** მეორე ბუნდესლიგის გასულ ტურში მხოლოდ 10 წუთი ითამაშა ცვლილებაზე. „მიუნხენ 1860-ის" ოფიციალურ ვებგვერდთან საუბარში მან განაცხადა, რომ მომავალ ტურში ძირითად შემადგენლობაში მოხვედრას იმედოვნებს. „*ტრავმის გამო, ბევრი გამიცდა, მაგრამ დღეს ნორმალურ ფორმაში ვარ. მწვრთნელები მენდობიან და, ალბათ, მომავალ მატჩში სასტარტოში დავიწყებ. მჯერა, გუნდს მომავალში უფრო მეტ სარგებლობას მოვუტანო*", - ამბობს მათე.

CDN კავკასიის სიფრცული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;

CDN 555 ტელეფონის დაფგმა;

CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;

GIGA ONLINE ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;

CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
• უსაფრთხო მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადასვლა სხვისგან გაუჭირველად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

www.kazbegi.com

გაახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

საქართველოს ჩემპიონატი XVII

მარტის ნომინანტები

გია ტუხაშვილის პროექტი

მარტის ჭირვეულობა ხომ გაგიგიათ? ჰოდა, გაზაფხულის პირველმა თვემ ჩვენს ფეხბურთშიც კაპრიზებით დაგვამახსოვრა თავი. რომელი ერთი გავიხსენოთ: მოულოდნელი შედეგები თუ მსაჯების შეცდომები, სკანდალები თუ მწვრთნელების დათხოვნის ფაქტები. ისე, პოზიტიურიც იყო: ცალკეულ ფეხბურთელთა და ორი-სამი გუნდის დამაჯერებელ ასპარეზობას გვერდს ნამდვილად ვერ ავუვლით...

ფეხბურთელ(ებ)ი — სანდრო იაშვილი, ვიტალი დარასელია

ამ ჩემპიონატის დაწყებიდან ყოველ თვეში ისე ხდებოდა, რომ ერთი, კონკრეტული ფეხბურთელი თავის შთამბეჭდავი თამაშით კოლეგებისგან აშკარად გამოირჩეოდა. გავიხსენოთ: სექტემბერში ასეთი **სანდრო იაშვილი** იყო, ოქტომბერში - **ამირან მუჯირი**, ნოემბერში - **დავით დიღმელაშვილი**. დაიწყო მეორე წრე და მარტში, მწვრთნელის ნომინაციისა არ იყოს, საუკეთესო ფეხბურთელის გამოვლენაც გაგვიჭირდა. უფრო ზუსტად, ორმა ფეხბურთელმა იმდენად ჩინებულად ითამაშა, მათგან ერთ-ერთის ამორჩევა ძნელიც იქნებოდა და უსამართლობაც. ამიტომაც, მარტში ერთდროულად ორი ნომინანტი გვყავს - "დინამოს" შეტევების ლიდერი სანდრო იაშვილი და "სიონის" კაპიტანი **ვიტალი დარასელია.** ამ ორ ფეხბურთელს შორის ასაკშიც სხვაობაა, სხვადასხვა ამპლუაც აქვთ, მაგრამ ორივე იმ მოთამაშეთა კატეგორიას მიეკუთვნება, აი, ტრაფარეტულად რომ იტყვიან - მოედანზე ამინდს ქმნისო. იაშვილიცა და დარასელიაც თავიანთ გუნდებში უპირობო ლიდერები არიან, უფრო ზუსტად, ქარიზმატული ლიდერები. ისე, ძნელი წარმოსადგენია დღევანდელი "დინამო" სანდრო იაშვილის გარეშე; თანაც ამ ბიჭს ხომ ყველა მონაცემი აქვს, რომ უფრო მაღალ დონეზე ითამაშოს. ვფიქრობთ, იმაზეც ზედმეტია საუბარი, თუ როგორ თამაშობს იაშვილი "მეორე სართულზე", ანდა, თითქმის ყველა მატჩში გოლითა თუ იშვიათი ბრძოლისუნარიანობით რომ გამოირჩევა; მოკლედ, მის უდიდეს პოტენციალს ყველა ამჩნევს... **კლაუს ტოპმიოლერის** გარდა. ჩვენი ნაკრების გერმანელი მწვრთნელისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, ვერაფრით დავეთანხმებით მის ბოლოროინდელ განცხადებას, რომ საქართველოს ჩემპიონატში ის ხარისხი არ არის, ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები რომ თამაშობდნენო. არადა, შარშან, შემოდგომაზეც თქვა - ეროვნულ ჩემპიონატში საინტერესო ფეხბურთელები არ თამაშობენო. ცდებით, ჰერ კლაუს! იაშვილიც "საინტერესოა", **გრიგოლ დოლიძეც, გიორგი ონიანიც, გოგა ფიფიაც, შალვა ღონღაძეც** და... ვიტალი დარასელიაც! ჰო, ვიტალი დარასელია, რომლის თამაშის ცქერაც ერთი სიამოვნებაა. დარასელია ხომ იმ ფეხბურთელთა რიცხვს მიეკუთვნება, მარტოს რომ შეუძლია კონკრეტული მატჩის ბედის გადაწყვეტა. ძალიან, ძალიან არ გვემეტებოდა ვიტალი ყაზახეთის ჩემპიონატისთვის; საერთოდაც, მისი ნიჭის პატრონს უფრო დიდი ფეხბურთი ურდა ეთამაშა... თუმცა დარასელია საქართველოს ჩემპიონატს დაუბრუნდა და მართლაც ძნელია გულგრილად უცქირო მის ლამაზ ფინტებსა თუ ზღაპრულ პასებს, აღარაფერს ვამბობთ მართლაც მშვენიერ გოლებზე...

მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე — ბათუმი

ხშირად გვესმის, რომ საქართველოში კვალიფიციურ მწვრთნელთა დეფიციტია. ოპონენტებს ამ საკითხში ნამდვილად ვერ დავეთანხმებით: მწირზე მწირი მატერიალურ-ტექნიკური პირობების გათვალისწინებით, უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე დაახლოებით ათ გუნდში მაინც მუშაობს ხალხი, მწვრთნელობა რომ იციან. ნუ დაგვავიწყდება მთავარიც - ჩვენთან ხომ მწვრთნელების უმრავლესობას ლამის ყოველ ექვს თვეში უხდებათ ახალი გუნდის ჩამოყალიბება. ისე, არ დავმალავთ და თვის საუკეთესო მწვრთნელის გამოსავლენად ბევრი ვიფიქრეთ. ბოლოს და ბოლოს, **დუშან უგრინის** თბილისის "დინამო" ხომ ერთადერთი გუნდი იყო, მარტში ჩემპიონატის ოთხივე მატჩი რომ მოიგო? მაგრამ, აქვე, ჩეხ სპეციალისტს აქტივში ნამდვილად ვერ ჩავუთვლით თასის მეოთხედფინალში ნარუმატებელ ასპარეზობას. თანაც, დასუსტებულ "ტორპედოსთან" დიდი ანგარიშით გამარჯვების გარდა, სხვა დანარჩენ მატჩებში "დინამო" მხოლოდ მინიმალური ანგარიშით იგებდა; თანაც არცთუ შთამბეჭდავი თამაშით. სამაგიეროდ, სასიამოვნო მოულოდნელობა იყო "ბორჯომისა" და "ბათუმის" ასეთი სახეცვლილება: **ვლადიმერ ხაჩიძემ** და **ამირან გოგიტიძემ** ნათლად დაგვანახეს, რომ პერიფერიაშიც შესაძლებელია შედეგის მიღწევა. თანაც, როცა გუნდში არც გამოკვეთილი ლიდერი გყავს და არც გრძელი სათადარიგოთა სკამი.

თვის ნომინანტობა კი მაინც ბათუმელთა მთავარ მწვრთნელს, ამირან გოგიტიძეს "მივანიჭეთ"! "ბათუმმა", ჯერ იყო და, ბევრისთვის მოულოდნელად თასის ნახევარფინალის საგზური მოიპოვა (მისი მეტოქე, ქუთაისის "ტორპედო" იმ დროს ჯერ კიდევ გუნდი იყო); ამას კი ჩემპიონატში დაუმარცხებელი სერიაც მოჰყვა: იმავე "ტორპედოსთან" და აუტსაიდერ "კახეთთან" "დაგეგმილ" საშინაო გამარჯვებებს სტუმრად მოპოვებული ოთხი ქულაც მოჰყვა. "ბათუმმა" ჯერ "ამერთან" იბრძოლა თავგანწირულად და დამსახურებულად წამოიღო სამი ქულა; მერე კი ბოლნისში მოქმედი ჩემპიონიც დაამარცხა! ამირან გოგიტიძის გუნდის ასეთი წარმატებული თამაში მით უფრო დასაფასებელია, თუ გავიხსენებთ რა პირობებში მოემზადა "ბათუმი" მეორე წრისთვის. უცხოურ შეკრებაზე ხომ ზედმეტია საუბარი, ცალკე სტადიონის პრობლემა, ცალკე - გუნდის დაკომპლექტება... და ყველაფრის მიუხედავად, გოგიტიძემ სულ მოკლე დროში შეძლო, რომ პირველი წრის ერთ-ერთი აუტსაიდერი გუნდი ანგარიშგასაწევ ძალად კი არა, ლიდერთა რისხვად მოგვევლინა.

მარტის სიმბოლური ნაკრები



გაუგებრობა, თუ?..

აბა, შეიძლება, ჩვენთან რაიმე კურიოზი არ მოხდეს? თუმცა ვიმედოვნებთ, რომ რასაც ქვემოთ წაიკითხავთ, გაუგებრობა იყო და არა... შეგნებულად გაკეთებული. ისე კი ვინ იცის - მაშინათვე რომ გაგვეხმაურებინა, იქნებ ახალ, თანაც საერთაშორისო სკანდალშიც გავბმულიყავით. აი, ხომ გახსოვთ სამი წლის წინანდელი მატჩი "ინტერტოტოს თასზე" გორის "დილასა" და ბულგარეთის "მარეკს" შორის? ვისაც არა, გაგახსენებთ, რომ www.livescore.com-მა მატჩი ქართველების გამარჯვებით დაასრულა, მაშინ, როცა თბილისის "ლოკომოტივის" სტადიონზე საპირისპირო შედეგი დაფიქსირდა. ამ საქმეში მერე "ინტერპოლიც" ჩაერთო, მაგრამ "პანონისი"-"დინამოს" არანაკლებ გახმაურებული მატჩისა არ იყოს, ეს ამბავიც ყველას მიავიწყდა. და აი, უფრო ნაკლები, ასე ვთქვათ, ეროვნული მასშტაბის "კურიოზი" თუ "გაუგებრობაც", რომელიც 17 მარტს მოხდა. იმ დღეს, ანუ XVII ტურში ყველა ფავორიტმა გაიმარჯვა - "დინამომ", "ზესტაფონმა", "ოლიმპმა" და "ამერმა". ერთადერთი მოულოდნელობა "სიონის" საშინაო მარცხი იყო "ბათუმთან". არადა, მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილეს ბუქმეიქერულ კანტორა "ბეთენდვინს" საქართველოს ჩემპიონატის მატჩებზეც ჰქონდა იმ დღეს ფსონები და უცნაურზე მეტად მოგვეჩვენა ის ფაქტი, რომ "ლაივსქორის" მსგავსმა ინტერნეტსაიტმა www.soccerstand-მა მატჩი... ბოლნისელთა გამარჯვებით დაასრულა. ისე, მართლაც როგორი საქმეა - ზიხარ კომპიუტერთან და ერთის მხრივ გვსიამოვნებს, რომ შენსავით ალბათ, მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის წარმომადგენელიც ეცნობა ჩვენი ჩემპიონატის მიმდინარე შედეგებს. მაგრამ, მეორეს მხრივ, სახტად დარჩენა და გაოცება მაშინ უნდა გენახათ, როცა ბოლნისური კლუბის გენერალურ მენეჯერ ჯემალ ჭიპაშვილს შევეხმიანეთ და "გამარჯვება" მივულოცეთ... არანაკლები გაოცება და საყვედური "სიონის" წარმომადგენლისაგან მაშინვე მივიღეთ: რა დროს ბოროტი ხუმრობაა, მოსაგები თამაში წავაგეთო...

სხვათა შორის, საქართველოს პროფესიული ლიგის საიტზეც იგივე მომხდარა - ანუ, ვითომდა მატჩი "სიონის" გამარჯვებით დასრულებულა, როცა კი პირიქით მოხდა. არადა, ყველაზე უცნაური ის არის, რომ ბოლნისელებმაც და ბათუმელებმაც, ალბათ, დღემდე არ იციან თუ რა მოხდა იმ დღეს ინტერნეტსაიტებზე...

მოვლენა

მოვლენაც იყო და თრილერიც! მოვლენაა, აბა, რა არის, როცა ერთი გუნდი მეტოქესთან პირველად გაიმარჯვებს. "დინამო"-"ამერის" დაპირისპირებებზე მოგახსენებთ. ჰოდა, 10 მარტს "დინამომ" მხოლოდ მეექვსე ცდაზე შეძლო "ამერის" დამარცხება. ეს მატჩი სხვა მხრივაც იყო განსაკუთრებული - ახალგაზრდა არბიტრმა **გიორგი ვადაჭკორიამ** ლამის ყველა რეკორდი მოხსნა! ისე, მართლაც როგორი საქმეა, ორი პენალტი, ცხრა გაფრთხილება და ორი გაძევება ერთ მატჩში?!

ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩები

ფერგიუსონი ნახავს, ვინ არის ტოტი

მარკა: ჩელსიმ ვალენსიასთან ბრძოლა გასახდელიდან დაიწყო...

რომა-მანჩესტერი

როკა კენჭისყრამ "მანჩესტერს" მეტოქედ "რომა" არგუნა, **ალექს ფერგიუსონმა** იქვე, სახელდახელოდ გაკეთებულ კომენტარში თქვა, **დე როსი, პეროტა** და **მანსინი** მაშინებსო. იტალიაში ეს ლამის შეურაცხყოფად მიიღეს – რაო, **ტოტი** არაო? ზოგმა თქვა, ძველი აფერისტია ეგ ფერგიუსონი, შეგნებულად არ ახსენა ფრანჩესკოო. ვინ იცის, იქნებ, დაავიწყდა კიდეც, ტოტი "რომაში" რომ არის. 65 წლისაა ბოლოს და ბოლოს. თან, იმ დღეებში ეს არც ისე მნიშვნელოვანი იყო. ასეა თუ ისე, მოახლოვდა მეოთხედფინალი და შოტლანდიელმა რაინდმაც მაშინვე გაიხსენა "რომას" კაპიტანი. მეტიც, გუშინდელი პრესკონფერენცია სწორედ ტოტიზე საუბრით დაიწყო: *"ტოტი თუ შევაჩერეთ, რომიდან თავანეულები დავბრუნდებით. ტოტი არის იმ ყველაფრის მთავარი არქიტექტორი, რასაც "რომა" აკეთებს და ჩვენც უნდა მოვიფიქროთ, თუ რა იქნება საუკეთესო საშუალება მის გასანეიტრალებლად. გადასაწყვეტია, რა დავალება მივცეთ ჩვენს ორ ცენტრალურ მცველს და მივუჩინოთ თუ არა ერთ-ერთი მათგანი ტოტის პერსონალურ მეურვედ. ის კი ცხადია, რომ ამ ფეხბურთელს თამაშის გაკონტროლების საშუალებას ვერ მივცემთ. ეს საკმაოდ დიდი პრობლემაა, მაგრამ უნდა გადავწყვიტოთ. კარგად ვაცნობიერებთ, რომ რთული ამოცანის წინაშე ვდგავართ, შეიძლება, ყველაზე რთულის წინაშეც კი სხვა მეოთხედფინალებთან შედარებით. ეს ისეთი თამაშია, სადაც ტაქტიკურად ერთი შეცდომაც არ უნდა მოგვივდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდი პრობლემები გვექნება"*.

"რომა" სერია A-ში მეორე ადგილზეა და ბოლო 15 საშინაო შეხვედრაში მხოლოდ ერთხელ წააგო ("ინტერთან" 0:1). რომაელებმა მერვედფინალიდან წყვილის ფავორიტი "ლიონი" გამოთიშეს და 1984 წლის შემდეგ პირველად გავიდნენ ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში. მართალია, იტალიელებს ამ დონეზე თამაშის გამოცდილება აკლიათ, მაგრამ აქამდე გასული გუნდი ხელწამოსაკრავი რომ ვერ იქნება, ფერგიუსონმა ეს კარგად იცის და ამიტომ ამბობს: *"ორივე შეხვედრის მაღალ დონეზე ჩატარება მოგვიწევს, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. ჩვენმა მეტოქემ "ლიონი" გამოაგდო, გუნდი, რომელსაც ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტად ვთვლიდი, თან.ისე, რომ გოლიც არ გაუშვია (0:0, 2:0)"*.

"იუნაიტედს" ყველაზე სერიოზული დანაკლისი დაცვაში აქვს. ტრავმების გამო ვერ ითამაშებენ **გარი ნევილი** და **ნემანია ვიდიჩი**, რომლისთვისაც სეზონი, შესაძლოა, დამთავრებულიც იყოს. ხორვატი მცველის ნაცვლად ძირითადში ადგილს **უესლი ბრაუნი** დაიკავებს, რომელსაც ჩემპიონთა ლიგაში ნოემბრის შემდეგ აღარ უთამაშია. ბოლო წუთს გამოჯანმრთელებული **ლუის საა** თადარიგში თუ შეძლებს მოხვედრას, რადგან პირველი წუთიდან თამაშისთვის ჯერ მზად არ არის. კორეელი შუახაზელი **ჟი სუნ პარკი** მწვრთნელმა მანჩესტერში დატოვა. *"თუ რომში პოზიტიურ შედეგს მივაღწიეთ, ჩვენს მეტოქეს "ოლდ ტრეფორდზე" შანსი არ ექნება – ამბობს ბრაუნი – "რომა" ძნელად დასამარცხებელი გუნდია, ისე როგორც საერთოდ, იტალიური გუნდები, მაგრამ ჩვენ ბოლომდე გვჯერა, რომ ამის გაკეთება შეიძლება. სადღეისოდ ბრწყინვალე ფორმაში ვართ და ვგრძნობთ, რომ ამ თამაშის მოგება შეგვიძლია. ის ფაქტიც, რომ განმეორებითი შეხვედრა მანჩესტერში გვაქვს, მცირე უპირატესობას გვაძლევს"*.

"იუნაიტედს" მარადიულ ქალაქში 4500 ერთგული ფანი მიჰყვება, კიდევ ერთი 1500 შეიძლება, ბილეთების დაჯავშნის გარეშე გაჰყვეს. კლუბმა საკუთარი გულშემატკივრები გააფრთხილა, რომ გარკვეულ ადგილებს (ნენის ხიდი, "ფლამინიოს" მეტროსადგური, "კამპო დე ფიორის" მოედანი), მოერიდოს რადგან იქ "რომას" ყველაზე აგრესიული ტიფოზები იყრიან თავს და პროვოკაცია გამორიცხული არ არის. რომის პოლიციასა და მერიას ეს სასაცილოდაც არ ეყოთ. დედალაქის პოლიციის შეფმა გაეროს მონაცემებიც კი დაიმოწმა, რომლიც მიხედვითაც რომი ევროპის ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხო ქალაქია და ამ კლასიფიკაციაში ლონდონს ბევრად უსწრებს.

ფერგიუსონს ორი დღის წინ ტოტი ასე შეეხმიანა: *"საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, ჩამოვა და თვითონ ნახავს, ვინც ვარ. იმედია, ჩემს გვარს გავახსენებ"*. ამის შემდეგ კაპიტანმა უშუალოდ შეხვედრაზე ილაპარაკა: *"ჩვენთვის ეს კარგი მომენტია, მეოთხედფინალს შესანიშნავ ფორმაში ვხვდებით და ვეცდებით, რომ უფრო მაღალ მიზანს მივაღწიოთ. მრავალწლიანი პაუზის შემდეგ ევროპის რვა საუკეთესო გუნდს შორის მოხვედრა ბევრს ნიშნავს, მაგრამ ამაზე გაჩერებას არ ვაპირებთ. რაც უფრო შორს მიდიხარ, მით უფრო მეტი სტიმული გიჩნდება, რომ ახალ წარმატებებს მიაღწიო. ინგლისი? ეს ქვეყანა არასდროს მომწონდა, ისე როგორც არ მომწონდა იქაური ფეხბურთი, მიუხედავად იმისა, რომ მათ ჩემპიონატში ბევრი ვარსკვლავი გამოდის"*. ოპტიმისტურად არის განწყობილი რომაელთა ბრაზილიელი გარემარბი **ამანტინო მანსინიც**: *"იუნაიტედი" საკუთარ ჩემპიონატში შესანიშნავად გამოდის, მაგრამ ჩვენ შეგვწევს იმის ძალა, რომ ეს ბარიერიც გადავლახოთ. "ლიონთან" გამარჯვებამ დაგვარწმუნა, რომ ნებისმიერის დამარცხება შეგვიძლია"*.

"რომა" და "მანჩესტერი" ევროპულ ტურნირებში ერთმანეთს პირველად ხვდებიან. სხვა იტალიურ გუნდებს კი "იუნაიტედი" ლიგაში 11-ჯერ ესტუმრა და მხოლოდ 2-ჯერ გაიმარჯვა. მასპინძლებს დისკვალიფიცირებული ჰყავთ საყრდენი ნახევარმცველი **დავიდ პისარო** და მის მაგივრობას დღეს **კრისტიან კივუ** გასწევს. რუმინელი ამპლუით მცველია, ამიტომ მის ადგილს დაცვის ცენტრში **მატეო ფერარი** დაიკავებს.

სავარაუდო შემადგენლობები

რომა: დონი, კასეტი, მექსე, ფერარი, პანუჩი, კივუ, დე როსი, ტადეი, პეროტა, მანსინი, ტოტი.

მანჩესტერი: ვან დერ სარი, ბრაუნი, ფერდინანდი, ო'ში, ჰაინცე, ქერიკი, კრისტიანო რონალდო, სქოულზი, გიგზი, რუნი, სოლსკიაერი

მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

ჩელსი-ვალენსია

"ვალენსიასთან" მატჩის წინ ინგლისელი მიმომხილველები ისევ **ჟოზე მურინიოს** მომავალზე ბჭობენ. ისინი "უოტფორდთან" მატჩის პერიპეტიებს იხსენებენ. "არისტოკრატებმა" პრემიერლიგის აუტსაიდერი მინიმალური ანგარიშით დაამარცხეს. **სალომონ კალუმ** ერთადერთი გოლი დამატებულ წუთებზე შეაგდო. ტრანსლაციის რეჟისორი ხშირად აჩვენებდა საპატიო სტუმრების ლოჟაში მოკალათებულ **რომან აბრამოვიჩს**. ის "ჩელსის" ბოსებს, **პიტერ კენიონს, ბრუს ბაკსა** და **იუჯინ ტენენბაუმს** ესაუბრებოდა. მურინიოს საკითხს განიხილავდნენო, დაასკვნა ორშაბათის "სანმა". ნამატჩევს აბრამოვიჩი გასახდელში ისევ არ ჩასულა. სხვა დირექტორებმა კი ტრადიცია არ დაარღვიეს და ფეხბურთელებს პირადად მიულოცეს გამარჯვება.

მწვრთნელს გარშემო შექმნილი გაურკვევლობა "ჩელსის" წისქვილზე არ ასხამს წყალსო, წერს ბრიტანული მედია. პრინციპული მატჩის წინ, რა თქმა უნდა, სრულიად უადგილოა იმაზე საუბარი, რომ მიღწეული შედეგების მიუხედავად, ჟოზეს მაინც კარისკენ მიუთითებენ და **გუუს ჰიდინკს** გაუფორმებენ კონტრაქტს. მურინიოს საკადრო პრობლემებიც თავზესაყრელად აქვს. კვლავ დაშავდა **არიენ რობენი**. მან მუხლი დაიზიანა და ოთხკვირიანი შვებულება აიღო. ვარჯიში განაახლეს **ჯო კოულმა** და **უეინ ბრიჯმა**, მაგრამ მაქსიმუმ, რისი გაკეთებაც მათ შეუძლიათ, დღევანდელ მატჩში რამდენიმე წუთის თამაშია. კოულს ნოემბრის შემდეგ არ უასპარეზია. რა გასაკვირია, რომ ის ოპტიმალური ფორმისაგან შორს იყოს. მწყობრშია ნახევარმცველად გარდაქმნილი მცველი **ლასანა დიარა**, რომელსაც "უოტფორდის" წინააღმდეგ არ უთამაშია. სტატისტიკა ლონდონელების მხარეზეა. ჩემპიონთა ლიგაში გუნდს ზედიზედ ოთხი საშინაო თამაში აქვს მოგებული.

მურინიო შეგირდებს აფრთხილებს, რომ ვალენსიელთა პროვოკაციებს არ აჰყვნენ. მწვრთნელმა ფეხბურთელებს საგანგებოდ მომზადებული ვიდეო უჩვენა და მეტოქის ეშმაკობებზე გაამახვილა ყურადღება: *"ლათინურ გუნდებთან თამაშისას ყოველთვის ერთსა და იმავე დარიგებებს ვიძლევი. ყველას ვეუბნები, რომ მათი მენტალიტეტი საგძნობლად განსხვავდება ინგლისური მენტალიტეტისაგან. ინგლისში თითქმის არავინ სიმულანტობს. აქ ხალხი კორექტულია და მეტოქეს სათანადო პატივს სცემს, მაგრამ ევროტურნირები სხვაა. ყველაფრისთვის მზად უნდა იყო და წონასწორობა არ დაკარგო. "ვალენსია"-"ინტერის" ჩანაწერი ვნახეთ. მეხუთე წუთი მიდიოდა, როცა ზლატან იბრაჰიმოვიჩი მეტოქის ერთ-ერთ ფეხბურთელს წაეკიდა. სანტიაგო კანისარესმა და რობერტო აიალამ 50 მეტრი გაირბინეს, რათა კინკლაობაში ჩართულიყვნენ. აი, ასეთ მომენტებს ვგულისხმობ, როცა ვამბობ, რომ სიმშვიდის შენარჩუნება გვმართებს. ზოგადად, მეტოქე კარგ ფეხბურთს თამაშობს და მათი მწვრთნელი კიკე ფლორესიც ღირსეული ადამიანი ჩანს. იმედია, ისინი სათამაშოდ ჩამოვიდნენ და არა საომრად... ჩემი ფეხბურთელების მუშაობით კმაყოფილი ვარ. რა თქმა უნდა, კიდევ ბევრი რამის მოგება შეგვიძლია, მაგრამ ასეც რომ არ მოხდეს, სეზონის ბოლოს ცუდის სათქმელად ენა არ მომიტრიალდება. პრობლემა მხოლოდ ის იქნება, თუ ვინმე იტყვის, რომ მე მეტის გაკეთება შემეძლო და მონდომება დავაკელი. ყველამ კარგად იცის, რომ ეს ასე არ არის."*

ვალენსიელებმა იციან, რომ მეტოქე საუკეთესო თამაშს ვერ აჩვენებს. ესპანელებმა ისიც კარგად უწყიან, რომ თავი არ უნდა მოიტყუონ და უმძიმესი ბრძოლებისათვის ემზადონ. "ღამურების" თავდამსხმელმა **დავიდ ვილიამ** "კანალ პლუსს" ასეთი კომენტარი მისცა: *"იმედია, "ჩელსი" ჩვენთანაც ისე ითამაშებს, როგორც გასულ უქმეებზე. სხვაგვარად მათთან ძალიან გაგვიჭირდება."* ეს ის ვილიაა, რომელსაც იანვრის ტრანსფერებისას "სტემფორდ ბრიჯზე" გადასვლას უწინასწარმეტყველებდნენ. მურინიომ მისი შეძენა მოითხოვა. "ვალენსიამ" ფეხბურთელს ასტრონომიული ფასი დაადო. აბრამოვიჩმა ამხელა თანხის გაღება მიზანშეუწონლად მიიჩნია. ასე რომ, მწვრთნელისა და პრეზიდენტის დაპირისპირების ერთ-ერთი მიზეზი ვილია იყო. *"ვილია? შესანიშნავი ფეხბურთელია. ის ნებისმიერ დიდ გუნდში მიაღწევდა წარმატებას, მაგრამ "ჩელსის" მისი შეძენა არ უცდია. ბოლოს და ბოლოს, ორი ძლიერი ფორვარდი გვყავს. ჰო, მართლა, მე როგორც ვიცი, ვალენსიელები სულელურ თანხას ითხოვენ. "ჩელსიში" კი ფულის სულელურად ხარჯვის დრო დამთავრებულია,"*- აი, ასე უპასუხა მოურინიომ კითხვას ესპანელი თავამსხმელის მოსალოდნელი ტრანსფერის შესახებ.

გასულ უქმეებზე, "ესპანიოლთან" მატჩში (3:2) დავიდმა ერთი გოლი გაიტანა (სეზონის მე-11 გოლი) და ორი საგოლე პასი ჩაინერა აქტივში. მისი გუნდი მეოთხე ადგილზეა და ჩემპიონთა ლიგის საგზურისათვის იბრძვის. ვერ ითამაშებს **ფერნანდო მორიენტესი**, რომელმაც ესპანეთის ნაკრებში ყოფნისას მხარი დაიზიანა. მოროს იმედი აქვს, რომ განმეორებითი მატჩისას მწყობრში იქნება. 2004 წელს, "მონაკოში" ყოფნისას, სწორედ მისმა გოლმა გამოთიშა "ჩელსი" ჩემპიონთა ლიგის გათამაშებას.

ვალენსიელებს **რუბენ ბარახაც** გამოაკლდებათ. ითამაშებს **რობერტო ფაბიან აიალა**. "ესპანიოლის" თავდამსხმელმა არგენტინელს მცველს იდაყვი უთავაზა და ყვრიმალი გაუხეთქა. ფეხბურთელს სახეზე ნაკერები ადევს. სასჯელებს იხდიან მცველები, **დავიდ ნავარო** და **კარლოს მარჩენა**. ისინი "ინტერთან" ნამატჩევს მომხდარი ინციდენტის გამო დასაჯეს.

გუშინ "მარკამ" ასეთი ინფორმაცია გამოაქვეყნა: "სტემფორდ ბრიჯზე" ვარჯიშის შემდეგ, როცა ვალენსიელები გასახდელში შევიდნენ, იქ მხოლოდ ოთხი შხაპი მუშაობდა და კედელზე ერთი სარკე ეკიდაო. "ჩელსიმ" ბრძოლა გასახდელიდან დაგვიწყო, გასახდელი მილიონერების სამყოფელს კი არა, ვირთხის სოროს ჰგავდა, სამაგიეროდ, მასპინძლების განკარგულებაში ფეშენებელური გასახდელია, ბარით და მომსახურების სრული პაკეტითო, ეწერა ლონდონიდან მიწოდებულ მასალაში. სხვათა შორის, ამის შესახებ მოურინიოს პრესკონფერენციაზეც ჰკითხეს. ჟოზე წამოდგა და ხუთიოდე წუთით გაუჩინარდა. უკან დაბრუნებულმა ესპანელ მიმომხილველებს ამცნო, ეს წუთია, "ვალენსიის" გასახდელი დავათვალიერე, ოთხი კი არა, ათი შხაპი მუშაობდა, ოთხი სარკე დავითვალე და იქაურობამ საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვაო.

სავარაუდო შემადგენლობები

ჩელსი: ჩეხი, დიარა, კარვალიო, ტერი, ეშლი კოული, მიკელი, მაკელელე, ბალაკი, ლემპარდი, დროგბა, შევჩენკო.

ვალენსია: კანისარესი, მიგელი, აიალა, ალბიოლი, მორეტი, ხოაკინი, ალბელდა, უგო ვიანა, დავიდ სილვა, ანგულო, ვილია.

მსაჯი: ტომ ჰენინგ ოვრებო (ნორვეგია)



ეროვნული ბიბლიოთეკა

რომა VS მანჩესტერი არიგო საკის თვალით

გამარჯვებისთვის შექმნილთა მაჭრი

საკი ოლიმპიკოს შეხვედრისგან წარმტაც სანახაობას ელის

ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალი, სპალეტის ბრწყინვალე "რომა" უძლიერესი, შესაძლოა, ევროპაში ყველაზე ძლიერი, "მანჩესტერის" წინააღმდეგ. განსაცვიფრებელი შეხვედრა უნდა გამოვიდეს. ორივე გუნდს აშკარად გამოკვეთილი ხელწერა და საკუთარი შესაძლებლობების რწმენა გამოარჩევს. თამაშობენ გახსნილ, გაბედულ და მრავალფეროვან ფეხბურთს. ყოველთვის ცდილობენ, რომ უკეთესი თამაშითა და მოედანზე დომინირებით გაიმარჯვონ. სანახაობა გარანტირებული უნდა იყოს ისეთი ფეხბურთელებით, როგორებიც მათ ჰყავთ – ფეხბურთელებით, რომლებიც თამაშობენ გუნდთან ერთად და გუნდისთვის, მოძრაობენ მთელ მოედანზე და მთელი 90 წუთის განმავლობაში.

"რომაცა" და "მანჩესტერიც" ინდივიდუალური ფანტაზიითა და – რაც დიდი იშვიათობაა – კოლექტიური ფანტაზიით მდიდარი გუნდები არიან. გაბედულად და უშიშრად იბრძვიან წარმატებისთვის, მთელი კვირის მანძილზე არ ემზადებიან იმისთვის, რომ "არ წააგონ". მაქსიმუმს მაშინ ავლენენ, როცა უტევენ და მეტოქეს საკუთარ პირობებს კარნახობენ. მათი ფეხბურთი არ არის სპორადული ეპიზოდების შედეგი, ამ გუნდების მთავარი მახასიათებელი შეტევების უწყვეტობა და შედეგის ხარისხიანი თამაშით მიღწევაა. მათი საფეხბურთო კრედო არის გამუდმებული მოძრაობა, ურთიერთშეთანხმებულობა და აგრესიულობა. ყველაფერთან ერთად, ეს იქნება დაპირისპირება ტოტისა და კრისტიანო რონალდოს შორის – უკვე დამკვიდრებული ვარსკვალავი ამომავალი ვარსკვლავის წინააღმდეგ. ორივე მწვრთნელის საფეხბურთო კონცეფცია ერთმანეთს ძალიან ჰგავს. ფერგიუსონსა და სპალეტის ტოტალური ფეხბურთის სჯერათ. ორივე ღრმად არის დარწმუნებული, რომ მეტოქის შესაჩერებლად საუკეთესო იარაღი ისაა, როცა მას საკუთარ თამაშს კარნახობ და რომ გადამწყვეტი, სისწრაფე და კოლექტიური თამაშია.

განსხვავებები. ტაქტიკური თვალსაზრისით, "რომას" მცირე უპირატესობა აქვს. რომაელები უფრო შეკრულები და კონკრეტულები არიან, მათი პრესინგი კოლექტიურია და კოლექტიურადვე გადადიან პერსონალურ მეურვეობაზე. "მანჩესტერის" ცენტრალურ მცველებს, ფერდინანდსა და ბრაუნს პერსონალური მეურვეობა ყოველთვის კარგად არ გამოსდით, როცა მეტოქის თავდამსხმელები ზურგიდან უტევენ, ხშირად მოსდით შეცდომები. მთავარ აქცენტს თითქმის ყოველთვის მოწინააღმდეგის ფეხბურთელზე აკეთებენ, მაშინაც, როცა ზონის გაკონტროლება უფრო მნიშვნელოვანია. შესაძლოა, პერსონალურად უფრო მეტი გამოცდილება აქვთ, მაგრამ არა იმდენი, რომ "რომას" შეტევებს უპრობლემოდ გაუმკლავდნენ. მანჩესტერელებს ძალიან ძლიერი ინდივიდუალისტები ჰყავთ რუნის, კრისტიანო რონალდოსა და გიგზის სახით. მაგრამ "რომას" კოზირი მეტი სისწრაფე, მეტი ფანტაზია და სივრცეების გახსნის უნარია. ფიზიკურ მზადყოფნას რაც შეეხება, აქ უპირატესობა "მანჩესტერს" აქვს. ინდივიდუალური ძალის გასანეიტრალებლად რომანისტებმა სტუმრებს ერთსულოვნება და მეტი კოლექტივიზმი უნდა დაუპირისპირონ. ათლეტური თვალსაზრისით, ორივე გუნდი შესანიშნავ ფორმაშია, ამიტომ ამ ასპექტში ძალები თანაბარია. დაბოლოს, ტექნიკური მხარე. "რომა" ტექნიკურად დიდებულია, მაგრამ ისეთი ვარსკვლავების წყალობით, როგორებიც არიან ფერდინანდი, გიგზი, სქოულზი, კრისტიანო რონალდო და რუნი, მცირე უპირატესობა მაინც "მანჩესტერის" მხარეზეა. საბოლოო წარმატების მისაღწევად სპალეტის ფეხბურთელები ერთ მუშტად უნდა შეიკრან, მეტოქეს სივრცეები არ უნდა მისცენ, გამუდმებული და ფორსირებული პრესინგი უნდა დაუწესონ. "მანჩესტერის" ყველაზე ტექნიკურ მოთამაშეებს ამოსუნთქვის საშუალება არ უნდა ჰქონდეთ, ბურთის მიღებისას მათთან ერთბაშად ორი კაცი უნდა გაჩნდეს. ტოტისა და პეროტას ადგილმონაცვლეობამ, მანსინისა და ტადეის დრიბლინგებმა, "მანჩესტერის" დაცვაში დიდი არეულობა უნდა გამოიწვიოს. ამიტომ სისწრაფეს, თამაშის მიმართულების ხშირ და მოულოდნელ ცვლას, ფლანგურ დრიბლინგებს შეუძლია, რომ შოკში ჩააგდოს ინგლისური დაცვა, რომელიც ასეთი ტიპის თამაშს მიჩვეული არ არის.





არიგო საკი

გაძეტა დელო სპორტი

მასიმო მორატი

ინტერვიუ მასიმო მორატისთან

ჭონი? არა, ადრიანოს ვიჭოვებ

ინტერის პრეზიდენტს მომავალ სეზონშიც ეს შემადგენლობა უნდა და ფიგუს დატოვების იმედსაც არ კარგავს

სკუდეტოს ოფიციალურად გაფორმების დღე სულ უფრო ახლოვდება. "ინტერს" ჩემპიონობამდე 8 ქულა აკლია, მაგრამ შეიძლება ამდენიც არ დასჭირდეს. საქმე ისაა, რომ ორი ტურის შემდეგ, 18 აპრილს, "ნერაძური" "რომას" გამოტოვებულ 22-ე ტურში მასპინძლობს. თუ მომდევნო ტურში ყველაფერი უცვლელად დარჩა და ამ გუნდებს შორის დღეს არსებული 20-ქულიანი სხვაობა შენარჩუნდა, მაშინ "ჯალოროსის" დამარცხება საკმარისი იქნება, რომ "ინტერმა" თამაშის შემდეგ მე-15 სკუდეტო იზეიმოს. "ინტერი" უკვე ჩემპიონი რომ არის, ეს ცხადზე ცხადია, მაგრამ მდევრის დამარცხებით მოპოვებულ ტიტულს მაინც განსაკუთრებული ხიბლი ექნება და სწორედ ამას ელის მილანელთა პრეზიდენტი მასიმო მორატი, რომლისთვისაც ეს პირველი ნამდვილი სკუდეტო იქნება, შარშანდელი "ქაღალდის" სკუდეტოს შემდეგ. ახდა მორატის სიტყვები, რომელიც მან ჩემპიონატის წინ თქვა – წლეულს "ინტერი" განწირულია სკუდეტოსთვისო. ცხადია, მორატი ბედნიერია, იმდენად ბედნიერი, რომ უნდა, ეს შემდგენლობა მომავალი სეზონისთვის ზუსტად ამ სახით შეინარჩუნოს და თვით ფიგუც კი, რომელსაც არაბებთან კონტრაქტი უკვე დადებული აქვს, დარჩენაზე დაითანხმოს.

- სულ უფრო ხშირად ისმის საუბრები იმის თაობაზე, რომ ადრიანო შეიძლება, ლუკა ტონიში გაიცვალოს. თქვენ რას ფიქრობთ?

- აბსოლუტურად ვეთანხმები მანჩინის როცა ამბობს, რომ ამის გაკეთება არ შეიძლება. უდიდეს პატივს ვცემ ჩვენს მსოფლიო ჩემპიონ ცენტრფორვარდს, მაგრამ ამ ორს შორის არსებობს დიდი ასაკობრივი სხვაობა, რომელიც უპირატესობას ბრაზილიელს აძლევს. ადრიანო ჩვენია და ასეთად დარჩება. არანაირი სურვილი არ გვაქვს, რომ ის სადმე გავუშვათ. სავალდებულოდ მეჩვენება, რომ ადრიანოზე აქცენტი ისევ გავაკეთოთ, ის უდიდესი პოტენციალის მქონე ფეხბურთელია. მომავალი ადრიანოსია.

- ასეთი ძლიერი შემადგენლობის გაძლიერება კიდევ შეიძლება?

- ჩვენი მიზანიც სწორედ ის გახლავთ, რომ დღევანდელი შემადგენლობა ასეთივე სახით შევინარჩუნოთ. მხოლოდ ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, მაშინ ყველა მათგანს შეუძლია, რომ თავი მომავალი სეზონისთვისაც "ინტერის" წევრად ჩათვალოს.

- ყველას, ფიგუს გარდა. პორტუგალიელი უკვე დაადგა არაბეთის გზას.

- ვინ იცის! მე ისევ ვიტოვებ იმედს, რომ მის შენარჩუნებას კიდევ ერთი სეზონით შევძლებ.

- ისევე, როგორც "იუვეს" პრეზიდენტი კობოლი ჯილი იტოვებს იმედს, რომ ბუფონს შეინარჩუნებს...

- მსოფლიოს საუკეთესო მეკარე ჰყავთ და რა გასაკვირია, რომ მისი გაშვება არ უნდათ. ძალიან ძნელად წარმოიდგენია, რომ ბუფონი ტრანსფერზე დააყენონ.

- და უცბად რომ დააყენონ?

- ჩვენ ძალიან კმაყოფილები ვართ ჟულიო სეზარით, რომელიც ამასობაში ბრაზილიის ნაკრების ძირითადი მეკარეც გახდა. ესეც არ იყოს, წელან ვთქვი, რომ მე ამ შემადგენლობის უცვლელად შენარჩუნებას ვაპირებ.

- გამოდის, რომ თავის ასნლოვან იუბილეზე "ინტერი" რომელიმე დიდი ფეხბურთელის ჩამოყვანას არ აპირებს?

- "ინტერის" ტიფოზები საღად მოაზროვნე ადამიანები არიან და იციან, რომ ზოგჯერ ამ ხმაურიან ტრანსფერს შეუძლია, გუნდის შიგნით არეულობა გამოიწვიოს და აწყობილი საქმე დაშალოს.

- რომელიმე ახალგაზრდა თუ არის ისეთი, ვისაც სიამოვნებით იხილავდით თქვენს გუნდში?

- ჯოვინკოს დავასახელებდი, "იუვეს" ახალგაზრდული გუნდიდან. სწორედ რამდენიმე ახალგაზრდაზე გავაკეთებთ აქცენტს, იმისთვის, რომ მანჩინის კიდევ უფრო ფართო არჩევანი ჰქონდეს.

- როგორი განცდაა პირველი სკუდეტოს მოედანზე მოგება?

- ჩვენ წინა სკუდეტოც მოედანზე, დამსახურებულად მოვიგეთ. ასეა თუ ისე, განცდა ძალიან სასიამოვნოა, რადგან ძალიან ძლიერი გუნდი გვყავს, სატურნირო ცხრილში ასეთი დიდი უპირატესობა საშუალებას გაძლევს, რომ ნაკლებად ინერვიულო. თუ 100-ქულიან ბარიერსაც გადავლახავთ, მით უკეთესი.

- ჯანკარლო აბეტე ფედერკალჩოს ახალი პრეზიდენტია. როგორია თქვენი შეფასება?

- ვიცე-პრეზიდენტად ყოფნისას დიდი გამოცდილება მიიღო, მისი ბრალი არ არის, თუკი იტალიურ ფეხბურთში ბოლო წლებში დიდი სიბინძურე იყო. აბეტე ეცდება, დაამტკიცოს, რომ წინსვლა შესაძლებელია.

- 18 აპრილს უეფა ევრო 2012-ის მასპინძელ ქვეყანას დაასახელებს. იტალიის კონკურენტები პოლონეთი-უკრაინა და უნგრეთი-ხორვატია არიან...

- იმედი მაქვს, მასპინძლობის უფლებას ჩვენ მოგვცემენ, სხვა თუ არაფერი, უეფასთვის ეს პრესტიჟის საკითხია, ძნელად წარმოსადგენია, რომ მასპინძლად სხვა ქვეყანა დაასახელონ.

გოგა ახალაძე

მოსალოდნელი ტრანსფერი

რეკობა ინტერიდან მიდის

ურუგვაელმა მორატის პირობა მისცა, რომ მილანში არ გადავა

ალვარო რეკობა ადასტურებს, რომ სეზონის ბოლოს "ინტერიდან" წასვლა უნდა. რობერტო მანჩინი ურუგვაელ ფეხბურთელს თავის გამოჩენის საშუალებას თითქმის არასოდეს აძლევს და რეკობაც კიდევ ერთხელ ამბობს, რომ თადარიგში ყოფნა მობეზრდა და ისეთ გუნდს ეძებს, სადაც რეგულარულად თამაშის გარანტია ექნება. *"ძალიან იმედგაცრუებული ვარ, რომ წელს გუნდის წარმატებებში ჩემი წვლილი ვერ შევიტანე,* – თქვა რეკობამ, რომელიც "ნერაძურის" რიგებში 1997 წლიდან ირიცხება – *წასვლა ძალიან მძიმე იქნება, მაგრამ ვეღარ დავრჩები იმ პირობებში, როცა ძირითად შემადგენლობაში რეგულარულად თამაშის საშუალება არ მეძლევა."*

როგორც ცნობილია, რეკობა მასიმო მორატის საყვარელი ფეხბურთელია და სწორედ მისი ხათრით იყო, რომ აქამდე "ინტერი" არ დაუტოვებია. ურუგვაელი კლუბის მეპატრონეს ახლა პირობას აძლევს, რომ თანაქალაქელი "მილანის" რიგებში არ გადავა: *"მორატის შეუძლია მშვიდად იყოს, "მილანში" არასოდეს გადავალ. ვიცი, რომ პრეზიდენტი ჩემს სურვილს გაიგებს, მე მხოლოდ იმიტომ მივდივარ, რომ ყოველკვირეულად თამაშის შანსი მქონდეს."*

ცსკა: ერთი მოგება 35 ათასად

გასულ უქმეებზე მოსკოვის ცსკამ თანაქალაქელი "ლოკომოტივი" 2:0 დაამარცხა. ეს ერთი ჩვეულებრივი კალენდარული მატჩი იყო. რუსეთის პირველობა ეს-ესაა დაიწყო და გუნდებმა ჯერ მხოლოდ სამი თამაშის ჩატარება მოასწრეს. ამის მიუხედავად, არმიელთა ხელმძღვანელობამ ფეხბურთელებს ასტრონომიული პრემიები გამოუწერა. თითოეულმა მათგანმა 35 ათასი ევრო მიიღო, უფრო მეტი, ვიდრე ჩემპიონთა ლიგასა და უეფას თასზე მოგებული რომელიმე თამაშის დროს. რატომ? იმიტომ, რომ როგორც ირკვევა, არმიელებმა რკინიგზელებთან სამწლიან წარუმუტებელ სერია დაუსვეს წერტილი და ეს შემთხვევაში სწორედაც რომ განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებდა.

ოუენმა ივარჯიშა

მაიკლ ოუენმა ვარჯიში განაახლა. გასულ პარასკევს, ვარჯიშისას, მან 20 წუთი ითამაშა. დატვირთვებს გართულება არ მოჰყოლია. თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართება, თავდამსხმელი 22 აპრილს, "ჩელსისთან" შეხვედრაში იასპარეზებს. სეზონის დასრულებამდე მას ოთხი მატჩის ჩატარება შეუძლია. მაისის მიწურულს, "უემბლიზე" ინგლისის ნაკრების პირველი თამაშის დაგეგმილი. ლონდონს ბრაზილიის ნაკრები უნდა ეწვიოს. თუ ოუენი მწყობრში იქნება, აუცილებლად გამოიძახებენ, 6 ივნისს კი ესტონეთთან საკვალიფიკაციო შეხვედრაშიც მოახერხებს თამაშს.

იტალია უფრო მკაცრი წესებით

იტალიის მთავრობამ სტადიონებზე უსაფრთხოების ახალი წესები შემოიღო. კატანიაში პოლიციელის დალუპვას პროცედურების გამკაცრება მოჰყვა, მაგრამ ამიერიდან ყველაფერს კანონმდებლობა დაარეგულირებს. ხელისუფლება პასუხისმგებლობას, პირველ რიგში, მასპინძელ მხარეს აკისრებს. მან უნდა უზრუნველყოს სტადიონზე და მის გარშემო უფრო მეტი სათვალთვალო კამერის დამონტაჟება, აგრეთვე სახელობითი ბილეთების დაბეჭდვა, უსაფრთხოების ოფიცრების რაოდენობის გაზრდა და ფანების საფილტრაციო ზონის შექმნა. გადაწყდა ისიც, რომ 14 წლამდე ასაკის მოზარდი, რომელთაც უფროსი ახლავს, სტადიონზე უფასოდ მოხვდება, ხოლო მეტოქის შეურაცხმყოფელი პლაკატისათვის ქომაგს არათუ ტრიბუნაზე არ შეუშვებენ, შეიძლება, დააპატიმრონ კიდეც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწვრთნელი

კარიერის ბოლო სეზონი?

კაპელო ფეხბურთიდან წასვლაზე დაფიქრდა

ეტყობა, მიხვდა, რომ წასვლის დროა. **ფაბიო კაპელომ** ჟურნალისტებს აუწყა, რომ სეზონის ბოლოს, შეიძლება, საფეხბურთო კარიერას წერტილი დაუსვას. დღევანდელი ვითარებით თუ ვიმსჯელებთ, "რეალში" მისი მოღვაწეობა აშკარად წარუმატებელია. სამეფო კლუბი ჩემპიონთა ლიგას მერვედფინალიდან გამოეთხოვა, გავარდა ესპანეთის თასიდანაც, პრიმერა დივიზიონში კი, მართალია, გამარჯვების შანსი არ დაუკარგავს, მაგრამ თითოეული ქულა სისხლის ფასად უჯდება და თითქმის ყოველი მატჩის შემდეგ ინჩასების რისხვის ობიექტი ხდება.

ნებისმიერ მწვრთნელს სჭირდება გარკვეული დრო, რათა ესა თუ ის გუნდი თავის ჭკუაზე ააწყოს, მაგრამ როცა "რეალის" მწვრთნელი ხარ, უნდა იცოდე, რომ ეს დრო ძალიან მცირეა, ან შეიძლება, არც გაქვს. "გუნდის მშენებლობა", "სამომავლო პროექტი"... და რაღაც ამდაგვარი, აქ არ აინტერესებთ, შედეგებს მყისიერად ითხოვენ. ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნამ **რამონ კალდერონის** იმპერიას მსუყე ლუკმა დააკარგვინა. ისიც სერიოზული ეჭვის ქვეშაა, მოხვდება კი "რეალი" მომავალი სეზონის სალიგო კამპანიაში. ამიტომაცაა, რომ მადრიდული გრანდის ბოსები ღიად შეუდგნენ კაპელოს შემცვლელის ძიებას. კალდერონი საჯაროდ აცხადებს, რომ კაპელო "რეალში", შეიძლება, აღარ დარჩეს. ეს არის აშკარა ფსიქოლოგიური ზეწოლა მწვრთნელზე, რომელსაც, ფაქტობრივად, გადადგომისკენ უბიძგებენ. თუ კაპელო თავისი ნებით წავა, მაშინ კალდერონს კომპენსაციის გადახდა აღარ მოუწევს. უკვე ცნობილია იმ მწვრთნელების სიაც, ვისაც დონ ფაბიოს მემკვიდრეობას უწინასწარმეტყველებენ...

მაგრამ დავუბრუნდეთ კაპელოს მომავალს. უნდა ვიფიქროთ, რომ ფეხბურთიდან წასვლის განცხადება მას ცხელ გულზე არ გაუკეთებია. "რეალიდან" წასვლის შემდეგ, მას სამსახურის შოვნა ძალიან გაუჭირდება. გეხამუშათ? უცნაურია, როცა ამას ვამბობთ თანამედროვეობის ერთ-ერთ უდიდეს სპეციალისტზე, მაგრამ ამავე დროს, არიან ექსპერტებიც, რომლებიც ფაბიოს საფეხბურთო ფილოსოფიის კვდომაზე მსჯელობენ. მიუხედავად იმისა, რომ კაპელო მაინც რჩება კალჩოს პრინციპების სწორუპოვარ მიმდევრად, მისი ხედვა უკვე ძალიან მოძველდა. თავად იტალიაშიც კი, ახალი თაობის იქაური მწვრთნელები სულ უფრო მეტად იხრებიან შემტევი ფეხბურთისკენ...

სერია A-ში თითქმის ვერ ვხედავთ კლუბს, სადაც კაპელომ ახალი სეზონიდან შეიძლება იმუშაოს. არადა, წარმოუდგენელია ეს კაცი რომელიმე უსახელო კრებულის მწვრთნელად. მაგრამ ხომ შეიძლება, იქვე, ესპანეთში? ძნელი სათქმელია. ბუნდესლიგა ან პრემიერლიგა? ან რომელიმე ქვეყნის ნაკრები? რა გითხრათ... ეტყობა, თავად კაპელოსაც მოყირჭდა ფეხბურთი. და რა გასაკვირია, რომ ასე იყოს? მისი წასვლით, მსოფლიო ფეხბურთში ერთი საინტერესო კაცის ეპოქა დასრულდება, ეპოქა, რომელსაც დიდი წარმატებების გარდა, დიდი იმედგაცრუებებიც ჰქონდა. მაგრამ ეს მაინც ეპოქაა და ამით ყველაფერია ნათქვამი. ეპოქებს ხომ დიდი ხალხი ქმნის...

ფაბიო კაპელო

სავარაუდო ტრანსფერი

კვალიარელა ფერგის მენიუში

იმედისმომცემ ფორვარდზე ნადირობა გაჩაღდა

"მილანისა" და "ინტერის" კვალდაკვალ, "სამპდორიის" ფორვარდ **ფაბიო კვალიარელას** შეძენის სურვილი "მანჩესტერ იუნაიტედმაც" გამოთქვა. 24 წლის თავდამსხმელმა, რომელიც გენუაში "ასკოლიდან" გასულ ზაფხულს გადავიდა, ამ სეზონში გაიბრწყინა და **რობერტო დონადონიმ** უმალ "სკუადრა აძურაშიც" უხმო. კვალიარელას დებიუტი შოტლანდიასთან ამასწინანდელ შესარჩევ მატჩში ჰქონდა. სერია A-ში კი, ამ მომენტისთვის, 12 გოლი აქვს გატანილი და ბომბარდირთა ათეულში შედის.

იტალიური სააგენტოების მტკიცებით, "მანჩესტერს" კვალიარელა 34 წლით **ოლე გუნარ სოლსკიაერის** შემცვლელად ესახება. "გაძეტა დელო სპორტმა" ისიც დაწერა, თითქოს "მენიუდან" ფეხბურთელს უკვე დაუკავშირდნენ და კონტრაქტზეც ესაუბრნენ. როგორც ფეხბურთელის აგენტი **სტეფანო ანტონელი** აცხადებს, კვალიარელა "სამპდორიიდან" მხოლოდ იმ შემთხვევაში წავა, თუკი მისი მსურველი კლუბი 11 მილიონ გირვანქაზე მეტს გადაიხდის. "მილანისა" და "ინტერის" მხრიდან დაინტერესებასაც სწორედ სინიორ ანტონელი ადასტურებს. სეზონის ბოლოს, "ნერაძურის" **ალვარო რეკობა** დატოვებს. როგორც ჩანს, "ინტერში" თვლიან, რომ "ელ ჩინოს" იდეალური შემცვლელი კვალიარელა შეიძლება იყოს. ცნობისთვის, ფორვარდის სატრანსფერო უფლებების ნახევარი "უდინეზეს" ხელშია.

არსენალი. ტრანსფერები

ვენგერის სამი ფავორიტი

ფლამინიმ ლონდონიდან აბარგება გადაწყვიტა

"არსენალი" "ეინდჰოვენის" თავდამსხმელ **ჯეფერსონ ფარფანით** დაინტერესდა. "დეილის მეილის" ცნობით, 22 წლის ფეხბურთელი "ჩელსისაც" სურს. "ლურჯები" ფარფანს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძენენ, თუ "ინტერში" გაშვებული **ერნან კრესპო** არ დაბრუნდება.

ამასობაში, ფრანგმა ნახევარმცველმა **მატიო ფლამინიმ** "არსენალიდან" წასვლა გადაწყვიტა. 23 წლის ფეხბურთელი იმითაა უკმაყოფილო, რომ თითქმის არ ათამაშებენ. ფლამინი "მეთოფეებში" მესამე სეზონს ატარებს. ივნისში ის უპრობლემოდ გამოეთხოვება კლუბს, თუ ერთი წლის ხელფასს გადაუხდიან.

და კიდევ, "არსენალმა" "კიზერლსუტერნის" მეკარე **იურგენ მახოსაც** დაადგა თვალი. გასულ ოთხშაბათს, **არსენ ვენგერი** საფრანგეთი-ავსტრიის ამხანაგურ მატჩს დაესწრო. მახოს გარდა, მან ფრანგების დებიუტანტს, "მონაკოს" თავდამსხმელს **ფრედერიკ პიკიონსაც** შეავლო თვალი.

ბექჰემი ბრუნდება

დევიდ ბექჰემმა ვარჯიში განაახლა. ინგლისელი გალაქტიკოს თანაგუნდელებს ერთთვიანი პაუზის შემდეგ შეურთდა. უცნობია, მზად იქნება თუ არა ის მომავალ უქმეებზე, "ოსასუნის" წინააღმდეგ სათამაშოდ. ბექზს სამი კალენდარული მატჩი გაუცდა. სეზონის დასრულებამდე ათი შეხვედრაა დარჩენილი. "რეალს" 51 ქულით მესამე ადგილი უჭირავს და ლიდერ "ბარსელონას" ხუთი ქულით ჩამორჩება. აგვისტოდან დევიდი "ლოს ანჯელეს გალაქსის" შემადგენლობაში ითამაშებს.

ბლატერი უკონკურენტოდ

ზეპ ბლატერი ერთადერთი კანდიდატია, რომელიც მაისში, ფიფას საპრეზიდენტო არჩევნებში იყრის კენჭს. რეგისტრაციის ვადა 31 მარტს ამოიწურა. მოქმედი პრეზიდენტის პოზიციები იმდენად მყარია, რომ მისთვის კონკურენციის გაწევაზე არავის უფიქრია. ფიფას 57-ე კონგრესი ციურიხში 31 მაისისთვისაა დანიშნული. ოფიციალური პრესრელიზი იუწყება, რომ ბლატერის ხელახალ ნომინაციას ექვსი კონფედერაციის 66 წევრმა ასოციაციამ დაუჭირა მხარი. 71 წლის ჩინოვნიკი მესამე ვადით აპირებს გაპრეზიდენტებას. ის ფიფას 1998 წლიდან მეთაურობს.

ინსი ნაკრებისთვის ემზადება

"მანჩესტერ იუნაიტედისა" და "ლივერპულის" ყოფილი ვარსკვლავი **პოლ ინსი**, შეიძლება, ინგლისის ახალგაზრდულ ნაკრებში დაინიშნოს. ზაფხულამდე ეს პოსტი "მანჩესტერ სიტის" თავკაც **სტიუარტ პირსს** უკავია. მას დროებითი დამრიგებლის სტატუსი აქვს. "სანდი მირორის" მტკიცებით, საფეხბურთო ასოციაციის ბოსებმა "მაკლსფილდის" დამრიგებელს დაადგეს თვალი. ინსს მეორე დივიზიონის კლუბში შთამბეჭდავი შედეგები აქვს და ყველა საჭირო თვისებას ავლენს, რომელიც სპეციალისტს ნაკრებში სამუშაოდ სჭირდება. ინსს "მაკლსფილდთან" კონტრაქტი ივნისში ეწურება. ის პირველი შავკანიანი ფეხბურთელი იყო, რომელმაც ეროვნულ გუნდს უკაპიტნა. ახლა კი პირველი შავკანიანი შეიძლება გახდეს, რომელიც სამწვრთნელო შტაბში შევა.

კოუტუ დაპატიმრეს, პირობითად

ფერნანდო კოუტუს ოთხთვიანი პირობითი პატიმრობა მიუსაჯეს და 4 ათასი ევროთი დააჯარიმეს. მიზეზი ექვსი წლის წინ (!) ჩაგდებული დოპინგტესტია. 2001 წლის იანვარში, როცა 37 წლის მცველი ჯერ კიდევ "ლაციოში" ასპარეზობდა, "ფიორენტინასთან" ნამატჩევს ის აკრძალულ პრეპარატებზე შეამოწმეს. მას სხეულში ნანდროლონის კვალი აღმოაჩნდა. კოუტუმ, რა თქმა უნდა, დისკვალიფიკაცია მოიხადა, მაგრამ იტალიის ანტისადოპინგო კანონმდებლობა მარტო დისკვალიფიკაციას არ ითვალისწინებს. შეგახსენებთ, სოლიდური ასაკის მიუხედავად, კოუტუ ჯერ კიდევ სერია A-ში მოღვაწეობს და აუტსაიდერი "პარმის" ღირსებას იცავს.

ვერდერი

ფრინგსი და კლოზე ნერვებზე თამაშობენ

ალოფსი ხავსს ეჭიდება, მჯერა, ტორსტენი ჩვენთან დარჩებაო, ბაუმანმა და ბოროვსკიმ ვარჯიში განაახლეს...



მიროსლავ კლოზე

ტორსტენ ფრინგსი

ბრემენის "ვერდერს" კოტბუსში რომ მოეგო, ლიდერ "შალკეს" ქულებით გაუთანაბრდებოდა და ბურთების უკეთესი შეფარდების წყალობით გაასწრებდა კიდეც. ნაცვლად ამისა, "მუსიკოსებმა" ბუნდესლიგაში დარჩენისთვის მებრძოლ აღმოსავლელებთან უგოლო ფრე ითამაშეს და ამ სეზონში "კოტბუსთან" ქულები უკვე მეორედ დაკარგეს (პირველ წრეშიც ფრე დაფიქსირდა). კლუბის ხელმძღვანელები და გულშემატკივრები ყველაზე მეტად **ტორსტენ ფრინგსსა** და **მიროსლავ კლოზეზე** ბრაზობენ.

კლოზეს შემთხვევაში უკმაყოფილების მიზეზი ისაა, რომ მირომ გოლების გატანა დაივიწყა და აგერ უკვე 942 წუთია, რაც მეტოქის კარის ბადე აღარ შეურხევია. მისი მშრალი სერია თანაგუნდელებსაც ნერვებზე სპობს. *"ისე ჩანს, თითქოს მიროს გოლების გატანის სურვილი დაუცხრა, რადგან ბურთისთვის ბოლომდე აღარ იბრძვის და ორთაბრძოლების დროსაც ძალიან იოლად ნებდება ხოლმე. იმის ნაცვლად, რომ ბურთს ბოლომდე მისდიოს, ყოვნდება და მერე დანარჩენებს გვსაყვედურობს."* - განაწყენებულია **პერ მერტეზაკერი**. ნიშანდობლივია, რომ "მუსიკოსთა" დამრიგებელმა **თომას შააფმა**, "კოტბუსთან" კლოზე მე-80 წუთზე მოედნიდან გაიყვანა (**როზენბერგით** შეცვალა), რაც იმის ნიშანი გახლდათ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის თამაშით მწვრთნელიც უკმაყოფილოა. თანაც, არ დაგავიწყდეთ, რომ მიროს ჯერ არ უთქვამს საბოლოო პასუხი, აგრძელებს თუ არა "ვერდერთან" კონტრაქტს. "მუსიკოსთა" ბოსები ამის გამოც არიან განრისხებულნი.

ფრინგსმა კი ფანები და გუნდის შეფები ერთი განცხადებით გაანაწყენა. თამაშის შემდეგ მან ტელეკომპანია DSF-ის პირდაპირ ეთერში ასეთი რამ თქვა: *"ხელმძღვანელებს უკვე შევატყობინე, რომ არაერთი შემოთავაზება მაქვს და მინდა, ყველა მსურველის წინადადები მოვისმინო. მაგალითად, "იუვენტუსთან" ყოველდღე ვაწარმოებ მოლაპარაკებებს."* და ეს ყველაფერი მიუხედავად იმისა, რომ "ვერდერის" მენეჯერმა **კლაუს ალოფსმა** მას ახალი კონტრაქტის გაფორმება და შესანიშნავი პირობები შესთავაზა. არცაა გასაკვირი, ალოფსი ტორსტენზე რომ განაწყენდა - თუნდაც იმიტომ, რომ ფრინგსს ასეთი განცხადება საჯაროდ არ უნდა გაეკეთებინა.

"ტორსტენს ვერაფერს დავუშლით, ეს არ შეიძლება. ძალიან მაინტერესებს, რას შესთავაზებენ "იუვენტუსის" ბოსები. მე მაინც ვიმედოვნებ, რომ ფრინგსი მომდევნო სეზონს "ვერდერში" გაატარებს," - ხავსს ეჭიდება ალოფსი.

აქვე კიდევ ერთი ინფორმაცია "მუსიკოსების" ბანაკიდან. **ფრანკ ბაუმანმა** და **ტიმ ბოროვსკიმ** ტრავმები მოიშუშეს. ექიმებმა მათ ვარჯიშის განახლების ნება დართეს. ბაუმანს ხუთი თვეა, არ უთამაშია. მას კოჭის ტრავმა აწუხებდა. ბოროვსკიმ კი თებერვალში ბარძაყის კუნთის ოპერაცია გაიკეთა. ბრემენელებს ბუნდესლიგაში მეორე ადგილი უკავიათ და ლიდერ "შალკეს" მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩებიან. ჩემპიონატის დასრულებამდე შვიდი ტურია დარჩენილი. ხვალ "მუსიკოსები" უეფას თასის პირველ მეოთხედფინალში "ალკმაარს" შეხვდებიან.

ერთიანი ბიბლიოთეკა

დორტმუნდი

საით, ბორუსია?

ჩემპიონთა ლიგის მოგებიდან 10 წლის შემდეგ... მეორე ბუნდესლიგაში?

შაბათის შემდეგ დორტმუნდის "ბორუსია" მე-17 ადგილზეა და მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხე სერიოზულად ემუქრება. BVB-მ, რომელიც სეზონის წინ მიზნად მინიმუმ საუკეთესო ხუთეულში მოხვედრასა და უეფას თასის საგზურის მოპოვებას ისახავდა (რაც გუნდის შემადგენლობის გათვალისწინებით, სავსებით რეალური და მოსალოდნელი იყო), 1999 წლის შემდეგ პირველად მოხვდა იმ ზონაში, საიდანაც გუნდები მეორე ბუნდესლიგაში ვარდებიან ხოლმე. უდიდესი ისტორიისა და ტრადიციების მქონე გუნდისთვის ეს ნამდვილი კატასტროფაა. მაშინაც კი, როცა დორტმუნდულ კლუბს ფინანსური პრობლემები ჰქონდა და გაკოტრება ემუქრებოდა, BVB ერთხელაც არ მოხვედრილა გასავარდნ ზონაში. ახლა კი, ელიტაში დარჩენისთვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტ "არმინიასთან" მარცხის შემდეგ (0:1), ბოლოსწინა პოზიციაზეა.

ფაქტია, რომ "ბორუსიას" მწვრთნელის შეცვლამ ვერაფერი მოუტანა. არადა, ვესტფალიელებმა ამ სეზონში დამრიგებელი უკვე მეორედ გამოიცვალეს - სეზონი **ბერტ ვან მარვიიკმა** დაიწყო, **იურგენ რიობერმა** გააგრძელა და **თომას დოლი** ამთავრებს. მოკლედ, 90-იანი წლების ერთ-ერთ საუკეთესო გერმანულ კლუბს, რომელიც გერმანიის ჩემპიონი უკანასკნელად 2002 წელს გახდა, ჩემპიონთა ლიგის მოგებიდან (1997) ზუსტად 10 წლის შემდეგ, მეორე ბუნდესლიგაში გავარდნის საფრთხე ემუქრება. *"რაც დრო გადის, ჩვენი მდგომარეობა სულ უფრო და უფრო სავალალო ხდება,"* - საგონებელშია ჩავარდნილი გუნდის ბოსი **ჰანს-იოახიმ ვატცკე**.

სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს: "არმინიასთან" შეხვედრაში "დორტმუნდის" მარჯვენა მცველმა **ფილიპ დეგენმა** აუტი სამჯერ არასწორად მოაწოდა. ხაზს ვუსვამთ: სამჯერ! ერთ თამაშში! "ბორუსიის" პრეზიდენტი **რაინჰარდ რაუბალი** გაოგნებულია: *"დარწმუნებული ვარ, რომ ეს მსოფლიო რეკორდი იყო. ერთ შეხვედრაში აუტი სამჯერ არასწორად ექნება ვინმეს მოწოდებული?"* თვითონ დეგენი კი ყველაფერს მსაჯს აბრალებს, ძალიან სწორადაც მოვანოდე, უბრალოდ, არბიტრი ბრმა იყოო.

მაგრამ ეს არ არის მთავარი, უბრალოდ, დეგენის ეს სამარცხვინო მაჩვენებელი ზუსტად ესადაგება იმ ვითარებას, რომელიც BVB-შია შექმნილი. მიუხედავად იმისა, რომ "ბორუსია" შემადგენლობით ბუნდესლიგის საუკეთესო ხუთეულში შედის და ბევრის აზრით, ამ მხრივ "შტუტგარტსაც" სჯობნის, "ჰერტასაც" და "ლევერკუზენსაც", გუნდს, სადაც **კრისტოფ მეტცელდერი, კრისტიან ვიორნსი, ალექსანდერ ფრაი, დედე, სებასტიან კელი, სტივენ პიენაარი** და **ნელსონ ვალდესი** თამაშობენ, სრული ფიასკო ელის.

"იცით, რა არის ჩვენი პრობლემა? მენტალიტეტი გვაქვს ნეხვური!" - განაცხადა ბილეფელდში განცდილი მარცხის შემდეგ დორტმუნდელთა სპორტულმა დირექტორმა **მიხაელ ცორკმა**. ისე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს გუნდი სწორედ ცორკის მიერაა გაკეთებული - ტრანსფერები მისი პრეროგატივაა.

სპორტულ კრიზისს თან ისიც დაერთო, რომ დოლმა მატჩის შემდეგ გუნდიდან გაყარა "ვესტფალენშტადიონის" პუბლიკის საყვარელი ფეხბურთელები **ლარს რიკენი** და **ფლორიან კრინგე**. მწვრთნელმა ეს მოთამაშეები უდისციპლინობასა და არაპროფესიონალიზმში დაადანაშაულა და მოყვარულთა გუნდში გადაისროლა. პრობლემაა ისიც, რომ ფეხბურთელები ერთ აზრზე არ არიან და ხშირად ერთმანეთს ეჭიხუბებიან. მაგალითად, შაბათის მატჩის შემდეგ ვიორნსმა ტელეკომპანია ZDF-ის პირდაპირ ეთერში მეტცელდერი მინასთან გაასწორა, რაკი გუნდიდან წასვლა გადაწყვიტა, თავს ზოგავს და უკანალს უფრთხილდებაო. ცნობილია, რომ მეტცე ზაფხულიდან "ბორუსიას" დატოვებს. თითქმის გადაწყვეტილია, რომ მისი მომავალი ნავსაყუდელი მადრიდის "რეალი" იქნება. ვიორნსი მართალია - მეტცე კლუბში საშინლად გამოიყურება და თავდაუზოგავად მხოლოდ გერმანიის ნაკრებში თამაშობს.

ფორვარდები საშინელ ფორმაში არიან. ვალდესმა, რომლის სანაცვლოდაც შავ-ყვითლებმა "ვერდერს" 4.7 მილიონი ევრო გადაუხადეს, ამ სეზონში ერთი გოლის გატანაც კი ვერ შეძლო, რაც თავდამსხმელისთვის სამარცხვინო მაჩვენებელია. თანაც, პარაგვაელმა 22 თამაში ჩაატარა. თავის თავს არ ჰგავს **ები სმოლიარეკიც**, თუმცა პოლონელს გასასამართლებელი საბუთი აქვს - ტრავმირებულია. ერთადერთი თავდამსხმელი, რომელთანაც ფანებს საპრეტენზიო არაფერი აქვთ, შვეიცარიელი ფრაია, რომელმაც მიმდინარე სეზონში 11 გოლის გატანა მოახერხა. თუმცა, ბოლო დროს ეს უკანასკნელიც მოიკოჭლებს - ერთი თვეა, აღარ უხეირია. "არმინიასთან" შეხვედრაში კი სხვა დროს ძალიან სტაბილურმა და ძლიერმა **რომან ვაიდენფელერმაც** (მეკარე) შეცდომები დაუშვა.

ლეგენდარული **უდო ლატეკი** (73 წლის), რომელმაც "დორტმუნდი" 7 წლის წინათ მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებისგან იხსნა, ამბობს: *"ბორუსიის" ყველაზე დიდი შეცდომა მეორე წრის სტარტზე "ბაიერნთან" მოგება იყო. ამ მოულოდნელმა და როგორც გამოჩნდა, ალოგიკურმა გამარჯვებამ ფეხბურთელები დაარწმუნა, რომ კარგად თამაშობენ. არადა, აზრზე არ არიან..."*

დორტმუნდის "ბორუსია" მეორე ბუნდესლიგაში - როგორი წარმოსადგენია?

გოტფრიდ ლენცი

არმინიასთან მარცხის შემდეგ ბორუსია გავარდნის რეალური კანდიდატი გახდა

შეხლა-შემოხლა ბაიერნი-შალკეს მატჩისას

ოლივერ კანის დაუსჯელობაზე (წინა ნომრებში ვწერდით) ჩივილით გული რომ მოიოხეს, შალკელები ისევ თავიანთ პრობლემებს დაუბრუნდნენ. თავიდანვე იცოდნენ, რომ კანზე ბევრ ლაპარაკს აზრი არ ჰქონდა - ოლი არ გააძევებს, არ გააძევებს და მორჩა, დაუმთავრებელი ჩივილი კი ვეღაფერს შეცვლიდა. მოკლედ, გელზენკირხენელებმა აქცენტი ისევ იმ პრობლემებზე გადაიტანეს, "შალკეს" ბოლო დროს რომ მოუმრავლდა. მაგალითად, ის, რომ "ხუმარებმა" მიუხეხენში ამაზრზენად ითამაშეს და თავიანთი გულშემატკივრები შოკში ჩააგდეს. ერთადერთი ფეხბურთელი, ვისზეც ფანებს აუგი არ ეთქმით, მეკარე **მანუელ ნოიერია**, რომელმაც "შალკე" გამანადგურებელი მარცხისგან იხსნა.

შალკე

ბორდონი: ჩვენთან არს ღმერთი

მაგრამ თუ ასე გავაგრძელებთ, ჩემპიონები ვერ გავხდებითო...

"რა უნდა ვთქვა? ჩვენს მიერ ნაჩვენებ თამაშს მხოლოდ ერთი სიტყვა შეესაბამება და კერძოდ, განავალი!- განრისხებულია მენეჯერი **ანდრეას მიულერი**, - *ჩვენმა ფეხბურთელებმა ერთი ხეირიანი კომბინაციაც კი ვერ გაითამაშეს. ამასთან, "ბაიერს" ტემპშიც ვერ აჰყვნენ."* ნახევარმცველი **ფაბიან ერნსტი** ამბობს, საჩემპიონო გუნდის არაფერი გვეტყობოდაო. *"საკვირველი ისაა, რომ ოდნავადაც ვერ ვაჩვენეთ, მოგების სურვილი რომ გვქონდა,"* - ეს კი **კევინ კურანის** სიტყვებია.

მოკლედ, გელზენკირხენელებმა ბოლო 6 თამაშიდან მხოლოდ ერთის მოგება მოახერხეს და უკანასკნელი 450 წუთის მანძილზე, სულ რაღაც 2 გოლი გაიტანეს. თუმცა მიუხედავად ამ ყველაფრისა, მაინც ლიდერები არიან და მეორე ადგილზე მყოფ "ვერდერს" 2 ქულით უსწრებენ. **მირკო სლომკას** აზრით, ის, რომ "შალკე" ჯერ კიდევ პირველ ადგილზეა, მხოლოდ და მხოლოდ ფორტუნის დამსახურებაა. *"გვიმართლებს, მეტი არაფერი!"* - ამბობს მწვრთნელი. საკითხავი ის არის, კიდევ რამდენ ხანს გაუმართლებს "შალკეს".

"თუ ასე გავაგრძელებთ, ფაქტია, რომ ლიდერობას მალე, ძალიან მალე დავკარგავთ. ასეთი თამაშით გერმანიის ჩემპიონები ნამდვილად ვერ გავხდებით. მაგრამ თუ აზრზე მოვალთ და მოგებების სერიას გამოვაცხობთ, ტიტულს ვერავინ წაგვართმევს," - აცხადებს **ჯერალდ ასამოა**. მის აზრს კაპიტანი **მარსელო ბორდონი** უფრო მოკლედ და კონკრეტულად გადმოსცემს: *"ჩვენი ბედი ჩვენს ხელშია. პირველი, რაც უნდა მოვიმოქმედოთ, გახლავთ ის, რომ "გლადბახს" უნდა მოვუგოთ. მჯერა, ღმერთი ჩვენთან არის და გვეხმარება."*

ბოლოს კი იმასაც გეტყვით, რომ **პეტერ ლოვენკრანდსის** ტრავმა სერიოზული აღმოჩნდა. როგორც იცით, დანიელი "ბაიერნთან" მატჩამდეც დაშავებული იყო და თვეზე მეტი გაუცდა. შაბათს ლოვენკრანდსმა სასტარტო შემადგენლობაში ითამაშა, მაგრამ 35-ე წუთზე შეცვლა ითხოვა. როგორც გაირკვა, ტრავმა სერიოზულია - ლოვენკრანდსისთვის მიმდინარე სეზონი დასრულებულია.

სულ ბოლოს, გაეცანით იმ გუნდების სიას, ვისაც "შალკე" დარჩენილ ტურებში უნდა შეხვდეს: "გლადბახი" (შინ), "მაინცი" (სტუმრად), "კოტბუსი" (შ), "ბოხუმი" (ს), "ნიურნბერგი" (შ), "დორტმუნდი" (ს), "არმინია" (შ).

გოტფრიდ ლენცი

პოდიუმიდან კრაისლიგაში

შუმახერი ეხიხენსს ეხმარება

შუმიმ შვეიცარიის მესამე კრაისლიგაში, 73 მაყურებლის თვალწინ ითამაშა...

18 მარტს, ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატის სტარტზე, სპორტის ამ სახეობის ყველა მოყვარულს ეხამუშა ის ფაქტი, რომ ავსტრალიის გრან-პრი **მიხაელ შუმახერის** გარეშე გათამაშდა. მართალია, შუმის ვერავინ ხედავდა, მაგრამ ყველა მასზე ლაპარაკობდა. სად არის და რას აკეთებს ლეგენდარული პილოტი პენსიაზე გასვლის შემდეგ? იმ დროს, როცა **კიმი რაიკონენმა, ფერნანდო ალონსომ** და სხვებმა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლა დაიწყეს (კვირას მალაიზიის გრან-პრია), შუმახერი შვეიცარიის კრაისლიგაში ფეხბურთის თამაშს შეუდგა. გასულ უქმეებზე შუმიმ კლუბ "ეხიხენს II"-ის რიგებში პირველი მატჩი ჩაატარა. პარადოქსია, მაგრამ ფაქტი - მიხაელმა 73 მაყურებლის თვალწინ ითამაშა და მატჩზე დასასწრები ბილეთები, რა თქმა უნდა, უფასო გახლდათ.

შუმახერი გუნდის ბაზაზე, რომელიც ჟენევის ტბიდან 5 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს, დილის 9 საათზე, საკუთარი აუდი S 6-ით გამოცხადდა. ზუსტად ერთ საათში "ეხიხენსისთვის" შვეიცარიის მესამე კრაისლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის ბრძოლა იწყება - მატჩი ბოლოდან მეოთხე ადგილზე მყოფ "შენ ობონთან". "ეხიხენსი" კი ბოლო ადგილზეა. მოედანი სოფლის ცენტრშია - საფარი სათიბ მდელოს უფრო ჰგავს, ვიდრე გაკრეჭილ ბალახს, სადაც ჩვეულებისამებრ ფეხბუროს თამაშობენ ხოლმე. თუკი კარს ააცილებთ, ბურთი იქვე მდგომ რომელიმე ავტომობილს მოხვდება, თუ არ გაგიმართლათ, შესაძლოა, რესტორნის ფანჯარა ჩაამსხვრიოთ.

გუნდები მოედანზე გამოვიდნენ. იგრძნობა, რომ შუმახერი მაქსიმალურად ცდილობს, სხვებისგან გამორჩეული არ იყოს. თანაგუნდელები ამბობენ, ხანდახან, ვარჯიშის შემდეგ, შუმისთან ერთად ლუდს ვსვამთ ხოლმეო. *"მიხაელი ჩვენთან აბსოლუტურად ჩვეულებრივი პერსონაა, ერთ-ერთი რიგითი ფეხბურთელი. თანაც, ჩვენი გუნდისთვის შესანიშნავი თავდამსხმელია,"* - აცხადებს "ეხიხენსის" მთავარი მწვრთნელი **გრუიცა ნარიჩი**. შუმის ადრეც არაერთხელ დაუმტკიცებია, რომ ფეხბურთის თამაში კარგად გამოსდის და არც ეს დღეა გამონაკლისი. რვანომრიანი მაისურით თამაშობს, მარჯვენა ფორვარდის პოზიციაზე - დარბის, სახიფათო ორთაბრძოლებს არ ერიდება, უხეშ ვარდნებს აკეთებს, თანაგუნდელებს აგულიანებს, უყვირის, მასაც უყვირიან, მერე ყველას ეხვევა და ამშვიდებს. მოკლედ, გუნდის ლიდერია. პირველი ტაიმის დასრულებას არაფერი უკლია, როცა მწვრთნელთან მიდის და ეუბნება, დაცვის მარჯვენა ფლანგზე გვიჭირსო. მსაჯსაც ხშირად ეკამათება. მეტოქე ფეხბურთელმა ხელი ყელში მოარტყა - მის წინააღმდეგ თამაშის წესებს ხშირად არღვევენ, მაგრამ მერე აუცილებლად უბოდიშებენ.

მე-20 წუთზე ანგარიში ორამდე გაზარდა - 10 მეტრიდან დაარტყა და ბურთი შორეულ კუთხეში შეაგდო. "ეხიხენსი" 2:0-ს იგებს, რაც ამ გუნდისთვის ნამდვილი სენსაციაა, რადგან პირველ წრეში ერთი მატჩის მოგებაც ვერ მოახერხა და 13 თამაშში მხოლოდ 3 ქულა ჰქონდა. *"შუმისთან ერთად იღბალიც დაგვიბრუნდა,"* - ამბობს თანაგუნდელი **როშა**. ობონელებმა თერთმეტმეტრიანი ვერ გამოიყენეს - "ეხიხენსმა" 3:2 მოიგო.

"მართალია, სამშვიდობო ზონამდე კიდევ ბევრი გვაკლია, მაგრამ იმედი მხოლოდ მაშინ უნდა დავკარგოთ, როცა ლიგაში დარჩენის თეორიული შანსიც კი აღარ გვექნება," - ამბობს შუმახერი. სწორედ ასეთი განწყობით გახდა ის ყველა დროის საუკეთესო ავტო-მრბოლი და შვეიცარიის მე-3 კრაისლიგაში ადგილის შენარჩუნებაც სწორედ ასე სურს...

გოტფრიდ ლენცი

მიხაელ შუმახერი

ქედრიჯი

ევროპის ჩემპიონატი

ჭაბილ-მწარე დასაწყისი

ზურაბ აზმაიფარაშვილმა წაგებით დაიწყო

გუშინ, დრეზდენში, ევროპის ჩემპიონატზე პირველი ტური გაიმართა. აღმოჩნდა, რომ რამდენიმე მონაწილემ ბოლო წუთს უარი განაცხადა თამაშზე და დრეზდენში არ ჩავიდა. ასე მოიქცნენ ტურნირის რეიტინგფავორიტები - აზერბაიჯანელი **შახრიარ მამედიაროვი** და უკრაინელი **ვასილი ივანჩუკი,** ერთი დანაკლისი ქართველებსაც გვაქვს - **თამარ წერეთელი** არ გაემგზავრა დრეზდენში.

ჩვენებურთა უმეტესობას მაღალი რეიტინგი აქვს, რაც პირელ ტურში შედარებით სუსტებთან შეხვედრას ნიშნავს, თავისთავად დიდია წარმატებული სტარტის ალბათობაც. თუმცა ასეთ ფორუმებზე ხშირია მოულოდნელობები და სამწუხაროდ, რამდენიმე შეხვედრა ჩვენთვის უსიამოვნოდ დასრულდა. პირველ რიგში **ზურაბ აზმაიფარაშვილის** მარცხი უნდა გამოვყოთ, - იგი შავებით უნგრელ **ქრისტიან საბოს** ხვდებოდა. ზურაბი რეიტინგით ბევრად სჯობს მეტოქეს, - უნგრელი ტურნირზე 227-ეა, მაგრამ თეთრებით თამაშობდა და სიფრთხილე მაინც იყო საჭირო. დებიუტში ქართველმა იმარჯვა და პაიკით დაწინაურდა, პოზიციაც უკეთესი ჰქონდა, მაგრამ ერთ მომენტში უყურადღებოდ ითამაშა, რაც მარცხის საწინდარი გახდა - მეტოქემ მშვენიერი ტაქტიკური დარტყმა მიაყენა ქართველის პოზიციას, ხარისხით დაწინაურდა და შემდეგ გაიმარჯვა კიდეც.

ვერ მოიგო **ბაადურ ჯობავამაც,** - მანაც არცთუ ძლიერ, 203-ე ნომერ აზერბაიჯანელ **ლოგმან გულიევთან** ვერ იმარჯვა, თუმცა აზმაიფარაშვილისგან განსხვავებით, ნახევარი ქულა აიღო. ქართველი აქაც შავებით თამაშობდა.

ქალებში ცუდი სტარტი ჰქონდა **მაია ლომინეიშვილს,** რომელიც თეთრებით აზერბაიჯანელ **ნარგიზ უმუდოვასთან** ვერაფერს გახდა და ფარ-ხმალი დაყარა. უმუდოვა ნამდვილად არ არის ტურნირის ფავორიტი... თეთრებით ვერ მოიგო **ნანა ძაგნიძემაც** - რუს **იულია გრომოვასთან** ყაიმს დასჯერდა.

წააგეს ევროპის ჩემპიონატის დებიუტანტებმა - 14 წლის **მარიამ დანელიამ** და 16 წლის **სოფიკო გურამიშვილმა.** როგორც იცით, ესენი გასული წლის ოქტომბერში თავიანთ ასაკში მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ. დანელიას მეტოქე სერბი დიდოსტატი **ანა ბენდერაცი** იყო. თეთრებით მარიამი იყო, მაგრამ ვერას გახდა - რთულ პოზიციურ ბრძოლაში უფრო გამოცდილმა იმარჯვა. აი, სოფიკო გურამიშვილის მარცხი კი ძალზედ დასანანი გახლდათ: ისიც თეთრებით თამაშობდა, მეტოქედ კი, ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტი, უნგრეთის სახელით მოასპარეზე ვიეტნამელი დიდოსტატი, რეიტინგით მეოთხე **ჰოანგ ტრანგი** ჰყავდა. მთელი პარტია ქართველის უპირატესობით წარიმართა და ენდშპილში აბსოლუტურად მოსაგები პოზიცია მიიღო, ორი ზედმეტი პაიკით, მაგრამ ცაიტნოტი წამოეპარა და ბოლო წამს მოუწია სვლის გაკეთება, როგორც აღმოჩნდა - უხეში შეცდომა მოუვიდა - ფიგურა დასცა და წააგო.

სასიამოვნოზეც ვთქვათ. "დაგეგმილი" გამარჯვებები მოიპოვეს **ნინო ხურციძემ, ლელა ჯავახიშვილმა, ქეთევან არახამიამ, სოფიკო ხუხაშვილმა, დავით არუთინიანმა, კონსტანტინე შანავამ, გიორგი ყაჭეიშვილმა, მიხეილ მჭედლიშვილმა, დავით შენგელიამ.** ყაიმით ითამაშეს **სოფიო გვეტაძემ** და **სალომე მელიამ.** დამარცხდნენ **დავით ლობჟანიძე** და **თორნიკე სანიკიძე.**

ზვიად შათირიშვილი

პირველი ტური

ქალები	
სირანუშ ანდრიასიანი (სომ)-**ქეთევან არახამია-გრანტი**	0:1
ნანა ძაგნიძე-იულია გრომოვა (რუს)	0.5:0.5
გალინა შმირინა (გერ)-**სოფიკო ხუხაშვილი**	0:1
მარიამ დანელია-ანა გენდერაცი (სერ)	0:1
ანასტასია კარლოვიჩი (უკრ)-**ნინო ხურციძე**	0:1
სოფიკო გურამიშვილი-ჰოანგ ტრანგი (უნგ)	0:1
კატარინა ლეიტე (ჰორ) - **ლელა ჯავახიშვილი**	0:1
სოფიო გვეტაძე-იოანა ჯადირარიუ (რუმ)	0.5:0.5
მაია ლომინეიშვილი-ნარგიზ უმუდოვა (აზე)	0:1
ანა კოჯინიცი (გერ)-**სალომე მელია**	0.5:0.5

ვაჟები	
ლოგმან გულიევი (აზე)-**ბაადურ ჯობავა**	0.5:0.5
დავით ლობჟანიძე-ემილ სუტოვსკი (ისრ)	0:1
ქრისტიან საბო (უნგ)-**ზურაბ აზმაიფარაშვილი**	1:0
ალექსანდრ რიაზანცევი (რუს)-**თორნიკე სანიკიძე**	1:0
მიხეილ მჭედლიშვილი-ტილ ვიხერმანი (გერ)	1:0
ჰერმან გრუტენი (გერ)-**გიგა ყაჭეიშვილი**	0:1
დავით არუთინიანი-ფელიქს ჰინდერმანი (გერ)	1:0
კონსტანტინე შანავა-მარკ ლიელი (გერ)	1:0
სტეფან კაპლე (გერ)-**დავით შენგელია**	0:1

ჩაბბი



მასი-ორლეანი. გიორგი ჩხაიძემ (შუაში) ლელო გაიტანა

ლეგიონერები

ორი თამაში ფლეიოფამდე

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონში, მეორე ჯგუფურ ეტაპზე, მე-4 ტურის შეხვედრები გაიმართა. პლეიოფებამდე ორი ტურით ადრე, გადამწყვეტი უპირატესობა, ჯერჯერობით, ვერცერთმა კლუბმა ვერ მოიპოვა. ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან ელიტურ მეორე დივიზიონში გადასვლის რეალურ შანსს ინარჩუნებენ: "მასი", "ბურგ ან ბრესი", "ექსი" და "პერიგო". ფლეიოფში ჯგუფების გამარჯვებულები და ორი საუკეთესო მეორეადგილოსანი გადიან.

B ჯგუფში მოასპარეზე **ელიზბარ ყუფარაძის** "ობენამ" შინ დაამარცხა "ლურდი" 21:13 და სატურნირო ცხრილში მეორე საფეხურზე აინაცვლა. ყუფარაძე თამაშში 57-ე წუთიდან ჩაერთო. ქართველი პირველხაზელის გუნდს 4 ქულით უსწრებს "ორიაკი".

C ჯგუფში ბრძოლა უფრო მწვავეა. აქ ერთბაშად სამ გუნდს თანაბარი შანსი აქვს. **დავით გასვიანის** "ექსი" სტუმრად დამარცხდა გათამაშების ლიდერ "ოლორონთან" 11:18. ექსელებს ახლა 8 ქულა აქვთ და **კონსტანტინე ჯინჭარაძის** "ბურგ ან ბრესთან" მეორე-მესამე ადგილებს იყოფენ. ბურგელებმა შინ აუტსაიდერ "ლა სეინს" სძლიეს 44:3. "ექსის" შემადგენლობაში გასვიანი 58-ე წუთიდან გამოჩნდა.

D ჯგუფში ლიდერი **დავით დადუნაშვილის, გიორგი ჩხაიძისა** და **ვიქტორ დიდებულიძის** "მასია". პარიზელებმა მეოთხე ტურში **ირაკლი აბუსერიძის** "ორლეანს" უმასპინძლეს და 41:16 დაამარცხეს. ჩხაიძემ, რომელიც თამაშში 55-ე წუთიდან ჩაერთო, 61-ე წუთზე ლელო გაიტანა. დადუნაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 46-ე წუთზე შეცვალეს. დიდებულიძე განაცხადში არ ყოფილა. აბუსერიძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა. "მასი" 10 ქულით ლიდერობს. ამდენივე ქულა აქვს "ლანემეზანს", "ორლეანი" 6 ქულით მესამეა.

E ჯგუფსაც "ქართული" გუნდი, **ვანო ნადირაძისა** და **თედო ზიბზიბაძის** "პერიგო" ლიდერობს 10 ქულით. პერიგოელები მეოთხე ტურში პირველად დამარცხდნენ სტუმრად "ტიროსთან" - 6:11, რომელსაც ასევე ათი ქულა დაუგროვდა. ნადირაძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 57-ე წუთზე შეცვალეს. ზიბზიბაძე განაცხადში არ ყოფილა. მესამე მარცხი იწვნია და პლეიოფში გასვლის შანსი, ფაქტობრივად, დაკარგა **ზურაბ მჭედლიშვილისა** და **ალექსანდრე მარგველაშვილის** "დომონმა", რომელიც შინ დამარცხდა "რუანთან" -11:14. ორივე ქართველმა თავიდან ბოლომდე ითამაშა.

ბესიკ ჯანგავაძე

საქართველოს ჩემპიონატი. U-16

ექვსიდან ექვსი!

14 წლის **ქეთი წანალაშვილი** კვლავაც ლიდერობს 16-წლამდელთა ტურნირს, მაგრამ ლიდერობაცაა და ლიდერობაც - ექვსი შესაძლებლიდან ექვსი ქულა ნებისმიერ შემთხვევაში დიდებული შედეგია. გუშინ ქეთის მეტოქე ტურნირის უმთავრესი ფავორიტი, პირველი ნომერი **სალომე ხაჟომია** იყო. სალომე ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩებოდა და გადასწრების მშვენიერი შანსი ეძლეოდა, მაგრამ პირიქით მოხდა - უფრო დაშორდა.

წანალაშვილმა ისე კარგად ითამაშა, რომ ორიოდ საათზე ცოტა მეტი დასჭირდა მოსაგებად. ამ საქმეში, ცხადია, ხაჟომიამაც "შეუწყო" ხელი, თუმც ყველა შანსს გამოყენება სჭირდება და მოჭადრაკის ოსტატობაც ასეთ დროს ფასდება... ამის კლასიკური მაგალითი მეოთხე დაფაზე გათამაშდა, სადაც **თეკლა მაჭარაშვილი** თეთრებით **ფატი რიჟამაძეს** ხვდებოდა. მიტელშპილში მაჭარაშვილის უპირატესობა გამოიკვეთა და ფიგურაც მოიგო. შავების მეფეც რაღაც არაბუნებრივად, მეტოქის ნახევარზე თეთრების გარემოცვაში გაიხირა, თუმც მცირე კომპენსაცია კი ჰქონდათ შავებს - მეფის ლაზიერის ფრთაზე გამსვლელი პაიკი ჰყავდათ და ეტლით და კუთი უმაგრებდნენ ზურგს. პოზიცია რთული კი იყო, მაგრამ ზუსტი თამაშით თეთრების მეტოქის იერიშების გაუვნებელყოფა შეეძლოთ. ასე არ მოხდა, - თეკლამ უზუსტო სვლები აკეთა, შავებმა სული მოითქვეს და პაიკის ლაზიერში გასვლით პარტიაც მოიგეს.

მოიგო **მერი არაბიძემაც** - იგი ფავორიტია და სტარტი ცოტა ჩაუვარდა. მართალია წანალაშვილს ქულანახევრით ჩამორჩება და შეიძლება ითქვას, ჩემპიონობაზე ფიქრი აღარ ღირს, მაგრამ ამ შემთხვევაში ქეთის ჩემპიონობა უნდა გამოვაცხადოთ, რაც ტურნირის დასრულებამდე სამი ტურით ადრე ნამდვილად ნაჩქარევი იქნება. თუმცა კი, თუ დღეს წანალაშვილი შავებით **ფატი რიჟამაძეს** მოუგებს, მერე ალბათ წინ ველარავინ დაუდგება. ფატის 4,5 ქულა აქვს. ლიდერის უახლოესი მდევარი კი **თინათინ ბერიძეა,** რომელმაც გუშინ შავებით აჯობა **ლელა უგულავას.** თინათინს 5 ქულა აქვს.



ქეთი წანალაშვილი

მეექვსე ტურამდე ჭაბუკებსაც ერთპიროვნული და უდანაკარგო ლიდერი ჰყავდათ **ლუკა პაიჭიძის** სახით, თუმცა ის მთავარ კონკურენტთაგან ერთ-ერთს, **დავით ლომსაძეს** შეხვდა და, თეთრი ფერის მიუხედავად, დამარცხდა. ლომსაძემ ქულის შემატებით ლიდერობა ჩამოართვა პაიჭაძეს და ახლა თავად უდგას ცხრილს ეულად სათავეში. ლომსაძე კარგი მოჭადრაკეა, მაგრამ ნაღდად ვერ დაიარხეინებს თავს, რადგანაც დღეს ძლიერი მეტოქე - **დავით ბენიძე** ჰყავს. ბენიძემ გუშინ შავებით **დიმიტრი კვარაცხელიას** აჯობა და 5 ქულა გაუხდა, რაც ნახევარი ქულით ნაკლებია მის დღევანდელ მეტოქეზე.

საერთოდ, შავების უპირატესობა ქართულ ჭადრაკში კანონზომიერ სახეს იღებს და ეს სულაც არ გახლავთ კარგი ცხოვრებით ნაკარნახევი. როგორც **ბაადურ ჯობავამ** თქვა, შავების უპირატესობა ქართველი მოჭადრაკეების სუსტ სადებიუტო მომზადებას უსვამს ხაზს. მეექვსე ტურში ჭაბუკებში 13 პარტიაში შავებმა იმარჯვეს, თეთრებმა კი - ათში. აქედან პირველ ოთხ დაფაზე ყველა პარტია შავებმა მოიგეს. გოგონებში ეს მაჩვენებელი გუშინ თეთრების მცირე უპირატესობით აღინიშნა, მაგრამ პირველ დაფაზე, ანუ იქ, სადაც ფავორიტები და ლიდერები თამაშობენ სამში შავებმა იმარჯვეს.

ზვიად შათირიშვილი

დღეს, მეშვიდე ტურში: გოგონები: ფატი რიჟამაძე (4,5) - ქეთი წანალაშვილი (6); მერი არაბიძე (4,5) - თინათინ ბერიძე (5); სალომე ხაჟომია (4,5) - ანა ქუჭავა (4); ნათია ჯალაბაძე (4) - ლელა უგულავა (4); მარიამ ბაიაძე (3,5) - ნინო ანაკიძე (3,5); მარიამ სულამანიძე (3,5) - თეკლა მაჭარაშვილი (3,5).

ჭაბუკები: დავით ლომსაძე (5,5) - დავით ბენიძე (5); ნოდარ დავარაშვილი (4,5) - ლუკა პაიჭაძე (5); ზვიად ფაცია (4,5) - გიორგი ნიკოლაშვილი (4,5); ზურაბ ჯავახაძე (4,5) - თორნიკე ხურციძე (4); ირაკლი ბერიძე (4) - ირაკლი ჯანიაშვილი (4,5); ალექსანდრე მერაბიშვილი (4) - დიმიტრი კვარაცხელია (4).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰელათბურთი

საქართველოს ჩემპიონატი. მიმოხილვა

მაღლების ტური

მე-19 ტურის მატჩების მიმოხილვაში გითხარით, რომ დღეს ტურის საუკეთესო კალათბურთელის ინტერვიუს ვერ შემოგთავაზებდით. მიზეზიც მოგახსენეთ - "აზოტის" კალათბურთელებმა პირი შეკრეს, პრესასთან საუბრისგან თავს ვიკავებთო.

ასე რომ, დღეს MVP **ლაშა გამყრელიძის** ინტერვიუს ნაცვლად უნდა გაგვერკვია, რამ გაანაწყენა რუსთაველები, მაგრამ ესეც რომ არ ვიცით?..

ჰოდა, ვიდრე გული მოუბრუნდებათ, შემოთავაზებული ადგილს არანაკლებ საინტერესო მასალით შევავსებთ - აქვე შეგიძლიათ მსოფლიო ნაკრებსა და **გიორგი შერმადინზე** მომზადებულ ამერიკულ პუბლიკაციას გაეცნოთ. მე-19 ტურის მიმოხილვას კი ტურის სიმბოლური ნაკრებით დავასრულებთ.

როგორც წესი, საუკეთესო ხუთეული ამპლუების მიხედვით ირჩევა. თუმცა გასული უქმეები ტანმაღალი კალათბურთელების აქტიურობით გამოირჩა და სიმბოლური ნაკრების **ზვიად ბაბიაშვილის, დავით მაისურაძის, დავით უგრეხელიძისა** და **გულივერ ახალკაცის** გარეშე დატოვება არ შეიძლებოდა. "ავიატორმა" ზვიადმა რუსთავში პირველ ტაიმში 16 ქულა ჩააგდო და "აზოტელებს" დიდი თავსატეხი გაუჩინა. იმავე მატჩში **დავით უგრეხელიძემ** ბევრი იმუშავა - "ავიამშენის" მეფარეებს, **სუხიშვილს, როდუმტას, ნინიაშვილსა და კეიდიას** ჯამში მხოლოდ 9 მოხსნა დაანება, ხოლო საუკეთესო "ავიატორმა" ზვიად ბაბიაშვილმა ბურთი 7-ჯერ მოხსნა. თუკი ზემოთ ჩამოთვლილ 5 კალათბურთელს ერთობლივად 16 მოხსნა მოუგროვდა, მათმა მეტოქემ დავით უგრეხელიძემ პირად ანგარიშზე ერთით ნაკლები, 15 მოხსნა ჩაიწერა, რასაც 15 ქულა მიამატა.

ტანმაღალი სტუ-ელების **ახალკაციისა** და **მაისურაძის** შეჩერება ძალიან გაუჭირდათ "დინამოს" მეფარეებს. **გულივერ ახალკაცი** მატჩის სნაიპერი გახდა 21 ქულა და 9 მოხსნა მიითვალა. ხოლო დავით მაისურაძე სირენამდე ერთი წამით ადრე "დინამოს" ფარიდან ასხლეტილ ბურთს დაეუფლა და გამარჯვების ორქულიანი ჩააგდო.

ასე და ამგვარად გრაფიკულად გამოსახული სიმბოლური ნაკრების ნაცვლად, დღეს გთავაზობთ მე-19 ტურის 5 საუკეთესო კალათბურთელს:

ლაშა გამყრელიძე (აზოტი): 23 ქულა, 9 პასი, 4 ჩაჭრა, 6 მოხსნა, 5 შეცდომა.

ზვიად ბაბიაშვილი (ავიამშენი): 22 ქულა, 7 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება, 3 შეცდომა.

დავით მაისურაძე (სტუ): 13 ქულა, 5 მოხსნა, 2 პასი, 1 დაფარება, 3 შეცდომა.

გულივერ ახალკაცი (სტუ): 21 ქულა, 9 მოხსნა, 2 პასი, 2 ჩაჭრა, 1 დაფარება, 6 შეცდომა.

დავით უგრეხელიძე (აზოტი): 15 ქულა, 15 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა, 1 შეცდომა.

ვაჟა სიმონიშვილი



უტევს ლაშა გამყრელიძე



გიორგი შერმადინი

"მაკაბის" ლიდერი **გიორგი შერმადინი** ამერიკის ქალაქ მემფისში შაბათს გაფრინდა და 1 აპრილს მსოფლიო ნაკრების რიგებში პირველი ვარჯიში ჩაატარა. შეგახსენებთ, რომ ფირმა "ნაიკის" მიერ ორგანიზებულ 7 აპრილის მატჩში, ერთმანეთს მსოფლიო და ამერიკის ნაკრებები დაუპირისპირდებინ.

მსგავსი ღონისძიება 1998 წლის შემდეგ ყოველწლიურად იმართება და მთავარი მიზანი NBA-ს დრაფტის წინ 19-წლამდელი კალათბურთელების ამერიკული გუნდებისთვის გაცნობაა. იმასაც გეტყვით, რომ გიორგი შერმადინი 1989 წელსაა დაბადებული და ასაკის მიხედვით წლევანდელ დრაფტზე დადგომის უფლება არ აქვს.

"სწორედ NIKE-ის დრაფტზე გაიცნეს ამერიკელებმა დირკ ნოვიცკი, რომელიც მანამდე ევროპაში ბევრით არაფრით გამოირჩეოდა. მსოფლიო ნაკრების შემადგენლობაში კი საოცრებები ჩაიდინა და იმავე წელს დრაფტზე დაუფიქრებლად აიყვანეს" - გვითხრა **ნიკა ცქიტიშვილმა**, რომელმაც შეიტყო, რომ გიორგი შერმადინი მსოფლიო ნაკრებში მიიწვიეს.

შერმადინი მსოფლიო ნაკრებთან ვარჯიშობს

ცქიტოს ნათქვამს მცირედით შევავსებთ: მსოფლიო ნაკრების მაისურით **დირკ ნოვიცკიმ** 33 ქულა ჩააგდო, ბურთი 14-ჯერ მოიხსნა და თანაგუნდელებს 104:99 მოაგებინა. სხვადასხვა დროს ამ მატჩში ითამაშეს **ტონი პარკერმა, ვლადიმერ რადმანოვიჩმა, დენ გაძურიჩმა, დარიუს სონგაილამ, ბოშჩან ნახბარმა, სერხიო როდრიგესმა**...

ვფიქრობთ, მკითხველს დააინტერესებს მათი ვინაობისა და წარმომავლობის გაცნობა, ვის გვერდითაც გიორგი შერმადინმა უნდა ითამაშოს.

უკანასკნელები: **ნიჰად ჯედოვიჩი** ("ბოსნა", ბოსნია), **ჩენ ძიანჭუა** ("ტაიგერსი", ჩინეთი), **ალექსანდრ უგრინოსკი** ("არკადია", ავსტრია), **პეტრი კოპონენი** ("ჰონკა", ფინეთი).

ფორვარდები: **ომარ კასპი** ("ჰაპოელი", ისრაელი), **ვანგმენე მანგ-იკრი** ("ბლერ-აკადემი", კამერუნი), **ნიკოლას ბატუმი** ("ლე მანი", საფრანგეთი), **ემირ პრელძიჩი** ("ლიუბლიანა", სლოვენია), **ნემანია ალექსანდროვი** ("ცრვენა ზვეზდა", სერბეთი).

ცენტრები: **გიორგი შერმადინი** ("მაკაბი", საქართველო), **ალექსის აინცა** ("პო ორტეზი", საფრანგეთი), **სოლომონ ალაბი** (ნიგერია).

როგორც ხედავთ, შემადგენლობაში საქართველოს ეროვნული ნაკრების ორი მეტოქეა - ფინელი **კოპონენი** და ავსტრიელი **უგრინოსკი**.

მსოფლიო ნაკრების შეკრებიდან მეორე დღეს ამერიკულ პრესაში მცირე სტატია გაჩნდა, საიდანაც ვგებულობთ, რომ მეფარეები კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ: *"ეს გახლავთ ყველაზე მაღალი ნაკრები 1998 წლის შემდეგ. ამიტომ ვეცდებით, ამერიკელებს ფარქვეშ თამაშით ვაჯობოთ"* - მოგვითხრობს მსოფლოს კრებულის ავსტრალიელი თავკაცი **რობ ბევერიჯი** და იქვე დასძენს: *"212 სანტიმეტრს გადაცილებული სამი კალათბურთელი გვყავს - შერმადინი, აინცა და ალაბი. მათ პირველივე ვარჯიშზე გვიჩვენეს, რომ შეტევათა დაგვირგვინება კარგად შეუძლიათ, ასევე კარგად გამოიყურებიან დაცვაში, მოედანზეც სწრაფად და მოქნილად მოძრაობენ"*.

შეკრების ორგანიზატორი, "მემფისის" სკაუტი **რობ ბევერიჯი** კმაყოფილია იმითაც, რომ ახალგაზრდების აბსოლუტური უმრავლესობა ინგლისურად საუბრობს - *"შარშანდელისგან განსხვავებით ბიჭებთან ურთიერთობა პანტომიმებით არ მოგვიწევს, რაც მწვრთნელების საქმეს ერთი-ორად გააადვილებს"*.

ვაჟა სიმონიშვილი

საქართველოს XVI ჩემპიონატი. XVIII ტური

აზოტი-ავიამშენი	97:82
დინამო-სტუ	83:85
თსუ-მაკაბი	107:74

საუკეთესო მაჩვენებლები

ქულა			
60	გიორგი შერმადინი	დინამო-მაკაბი	111:113
მოხსნა			
22	გიორგი შერმადინი	მაკაბი-სტუ	86:84
პასი			
12	გიორგი ლოლიძე	სტუ-მაკაბი	96:85
ჩაჭრა			
7	შალვა კოხრეიძე	აზოტი-სტუ	107:52
დაფარება			
6	გიორგი შერმადინი	თსუ-მაკაბი	111:97
შეცდომა			
13	შალვა კოხრეიძე	აზოტი-სტუ	107:52

ქულა

			თამაში	ქულა	საშ.
1	გიორგი შერმადინი	მაკაბი	17	639	37.6
2	ზვიად ბაბიაშვილი	ავიამშენი	18	405	22.5
3	ნოდარ ბერაია	სტუ	15	331	22.1
4	დავით გვიმრაძე	დინამო	14	226	16.1
5	ირაკლი ხოფტარია	ავიამშენი	17	272	16.0
6	გესიკ ლეჟავა	თსუ	19	289	15.2
7	ჯიო ხეცურიანი	თსუ	16	235	14.7
8	კოტე ტულუში	აზოტი	17	244	14.4
9	ლექსო ლაფანაშვილი	დინამო	16	220	13.8
10	რიჩარდ მათიაშვილი	თსუ	18	236	13.1
11	ლაშა გამყრელიძე	აზოტი	17	222	13.1
12	ლუკა შანიძე	თსუ	19	242	12.7
13	სოსო შერმადინი	მაკაბი	19	241	12.7
14	ირაკლი ბერიშვილი	ავიამშენი	17	215	12.6
15	გულივერ ახალკაცი	სტუ	19	238	12.5
16	დავით უგრეხელიძე	აზოტი	19	234	12.3
17	ვაკო ბეჟანიშვილი	აზოტი	15	184	12.3
18	ზურაბ ბადრიძე	დინამო	17	206	12.1
19	გიორგი ბარბაძაძე	სტუ	18	211	11.7
20	ვიქტორ კოლუაშვილი	დინამო	18	210	11.7
21	შალვა კოხრეიძე	სტუ	19	217	11.4
22	ირ. გულისაბედაშვილი	დინამო	18	205	11.4

მოხსნა

			თამაში	მოხსნა	საშ.
1	გიორგი შერმადინი	მაკაბი	17	239	14.1
2	ზვიად ბაბიაშვილი	ავიამშენი	18	166	9.2
3	სოსო შერმადინი	მაკაბი	19	153	8.1
4	რიჩარდ მათიაშვილი	თსუ	18	143	7.9
5	დავით უგრეხელიძე	აზოტი	19	132	6.9
6	დავით მაისურაძე	სტუ	15	97	6.5
7	გულივერ ახალკაცი	სტუ	19	114	6.0
8	დავით გვიმრაძე	დინამო	14	77	5.5
9	ჟურივეტ ტუჯანი	აზოტი	16	84	5.3
10	ირაკლი ხოფტარია	ავიამშენი	17	89	5.2
11	ვიქტორ კოლუაშვილი	დინამო	18	94	5.2
12	კლასიდე როდუმტა	ავიამშენი	14	70	5.0
13	ნოდარ ბერაია	სტუ	15	75	5.0

პასი

			თამაში	პასი	საშ.
1	გიორგი ლოლიძე	მაკაბი	19	121	6.4
2	ლაშა გამყრელიძე	აზოტი	17	102	6.0
3	ირაკლი ბერიშვილი	ავიამშენი	17	95	5.6
4	დავით ბერიშვილი	ავიამშენი	16	82	5.1
5	კოტე ტულუში	აზოტი	17	78	4.6
6	ირაკლი ხოფტარია	ავიამშენი	17	77	4.5
7	შალვა კოხრეიძე	სტუ	19	84	4.4
8	ლექსო ლაფანაშვილი	დინამო	16	67	4.2
9	გიორგი შერმადინი	მაკაბი	17	68	4.0
10	ნოდარ ბერაია	სტუ	15	60	4.0
11	ჯიო ხეცურიანი	თსუ	16	58	3.6
12	გიორგი ნიკოლაძე	ავიამშენი	18	64	3.6
13	ნიკო ნოზაძე	დინამო	19	66	3.5

ჩაჭრა

			თამაში	ჩაჭრა	საშ.
1	შალვა კოხრეიძე	სტუ	19	58	3.1
2	გუგა ბერიშვილი	თსუ	18	47	2.6
3	ლაშა გამყრელიძე	აზოტი	17	42	2.5
4	კოტე ტულუში	აზოტი	17	38	2.2
5	ირ. გულისაბედაშვილი	დინამო	18	38	2.1
6	ნოდარ ბერაია	სტუ	15	31	2.1
7	ირაკლი ლოლიძე	მაკაბი	19	39	2.1
8	ნიკო ნოზაძე	დინამო	19	39	2.1
9	ზურაბ ბადრიძე	დინამო	17	32	1.9
10	ირაკლი ხოფტარია	ავიამშენი	17	28	1.6
11	ჟურივეტ ტუჯანი	აზოტი	16	26	1.6
12	ლექსო ლაფანაშვილი	დინამო	16	26	1.6

დაფარება

			თამაში	დაფარება	საშ.
1	გიორგი შერმადინი	მაკაბი	17	39	2.3
2	რიჩარდ მათიაშვილი	თსუ	18	22	1.2
3	კლასიდე როდუმტა	ავიამშენი	14	13	0.9
4	ზვიად ბაბიაშვილი	ავიამშენი	18	12	0.7
5	გულივერ ახალკაცი	სტუ	19	12	0.6
6	ვიქტორ კოლუაშვილი	დინამო	18	10	0.6

შეცდომა

			თამაში	შეცდომა	საშ.
1	გიორგი შერმადინი	მაკაბი	17	115	6.8
2	ირაკლი ლოლიძე	მაკაბი	19	99	5.2
3	შალვა კოხრეიძე	სტუ	19	91	4.8
4	ზურაბ კორკოტაძე	მაკაბი	19	73	3.8
5	ნოდარ ბერაია	სტუ	15	53	3.5
6	გესიკ ლეჟავა	თსუ	19	63	3.3
7	გიორგი ბარბაძაძე	სტუ	18	59	3.3
8	ლაშა გამყრელიძე	აზოტი	17	55	3.2
9	გიორგი პირველაშვილი	მაკაბი	18	57	3.2
10	სოსო შერმადინი	მაკაბი	19	58	3.1
11	გულივერ ახალკაცი	სტუ	19	57	3.0
12	დავით მაისურაძე	სტუ	15	44	2.9
13	ირ. გულისაბედაშვილი	დინამო	18	48	2.7

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოულოდნელი ვრცობლება

ერიჰაა!!

სპორტის სასახლის საიდუმლო რეკონსტრუქცია

ჟურნალისტების შემოსვლა და ფოტოების გადაღება სასტიკად აკრძალულია!

ქართველი გულშემატკივრის მრავალწლიანი ოცნება ასრულდა და სპორტის სასახლეში რეკონსტრუქცია დაიწყო. როგორც იქნა, თითქმის 50 წლის წინათ აგებულ, თავის დროისთვის მართლაც ბრწყინვალე არქიტექტურულ ქმნილებას, თანამედროვე სტანდარტებში მოყვანა ელირსება. რა თქმა უნდა, რეპორტაჟის იდეაც ამბის გაგებისთანავე გამიჩნდა.

თადარიგის დავიჭირე და სპორტის სასახლის ახალი დირექტორის, **ლაშა ხუციშვილის** კოორდინატების დადგენა დავიწყე (ხუციშვილმა ამ თანამდებობაზე **ვალერი ლომაძე** შეცვალა). თავიდან, ქალაქის ნომერზე დავურეკე, ყურმილი მდივანმა გოგონამ აიღო და როდესაც ვუთხარი, რაც მინდოდა, ასეთი პასუხი მივიღე:

ბატონი ლაშა გასულია. არა მგონია, ამ საკითხზე რამე კომენტარი მოგცეთ, თუმცა, მოგვიანებით დარეკეთ. სიმართლე გითხრათ, ასეთი მოულოდნელი დასაწყისი თავიდანვე ცუდად მენიშნა. თუმცა, მაინც მოვიძიე ხუციშვილის მობილურის ნომერი და სპორტის სასახლის ახალ დირექტორს დავუკავშირდი. თავიდან ხუციშვილმა მითხრა, რომ არ ეცალა, ჩემი ნომერი ჩაიწერა და დამპირდა, რომ თავად დამირეკავდა. სამი-ოთხი საათის შემდეგ, ვიფიქრე, რომ დაავიწყდა და კიდევ ერთხელ შევეხმიანე. პასუხი იგივე იყო - არ მცალია, ხვალ დილით უნდა შევირბინო სპორტის სასახლეში, მერე სხვა საქმე მაქვს და როცა მოვიცლი, თავად დაგირეკავო.

გუშინ დილით, კვლავ ამაოდ ველოდი ხუციშვილის ზარს. ამასობაში, საათის ისრები თორმეტს გადასცდა. რეპორტაჟი უფოტოებოდ არაფრით იქნებოდა და არც ის ვიცოდი, როდის დამირეკავდა ბატონი ლაშა. ამიტომ, გადავწყვიტე, "კოტორასთან" ერთად მივსულიყავი - იგ სარეკონსტრუქციო სამუშაოების ფოტოებს თავიდანვე გადაიღებდა, მე კი იქვე დაველოდებოდი სპორტის სასახლის დირექტორს.

მოკლედ, მივედით მე და ალექსანდრე კოტორაშვილი. სანდრომ ჩვეული პროფესიონალიზმით, ძირისძირობამდე გადაიღო სარემონტო სამუშაოები. ბარემ აქვე გეტყვით, რომ დღეისთვის მთლიანად აყრილია პირველი იარუსის ტრიბუნები და იატაკი. ამოყრილია მოედნის გვერდით მდებარე ჩაჯანგებული და საშინელ მდგომარეობაში მყოფი გათბობის სისტემა, რომელიც კარგა ხანია, მწყობრიდანაა გამოსული. როგორც გავიგეთ, ტრიბუნების ოდნავ შემცირების ხარჯზე, გაიზრდება მოედანი. რემონტი მიმდინარეობს უკლებლივ ყველა გასახდელშიც. ჯერჯერობით, მხოლოდ ადმინისტრაციული ოთახები და კალათბურთის დარბაზია ხელშეუხებელი. თუმცა, რა თქმა უნდა, იქაც გაკეთდება რემონტი.

მოკლედ, "კოტორამ" თავისი საქმე მოათავა და წასასვლელად მოემზადა, მე კი ისევ ლაშა ხუციშვილს დავურეკე. ვუთხარი, რომ სამუშაოები დავათვალიერეთ, ფოტოები გადავიღეთ და მას ველოდით. ახლა არ მცალია, ჩემს ზარს დაელოდეთ - იყო პასუხი.

ხუთ წუთში, რამდენიმე თანმხლებ პირთან ერთად, მოდის დაცვის უფროსი, რომელიც **ირაკლი ნასარაიად** გაგვეცნო და კატეგორიული ტონით გვთხოვა უკლებლივ ყველა გადაღებული ფოტოს წაშლა. ჩვენს შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

- ვინ ხართ, ვინ მოგცათ აქ შემოსვლისა და სურათების გადაღების უფლება?

- "ლელოს" კორესპონდენტები ვართ. ჩვეულებრივ შემოვედით, არავის დაუშლია. აკრძალულია?

- რა თქმა უნდა, აკრძალულია. ახლავე წაშალეთ ყველა გადაღებული სურათი.

- კი, მაგრამ, ახლა ველაპარაკე სპორტის სასახლის შეფს, ვუთხარი, რომ ფოტოგრაფთან ერთად ვარ და არ დაუშლია გადაღება.

- გითხრათ, რომ გადაიღეთო?

- არა, მაგრამ არც ის უთქვია, აკრძალულიაო.

- აქ ხელმძღვანელობის ოფიციალური ნებართვის გარეშე, გადაღება კატეგორიულად აკრძალულია. თქვენზე კი არანაირი ნებართვა არაა გაცემული. თქვენნაირი ჟურნალისტი შეიძლება დღეში ოთხმოცი მოვიდეს და ეგრე სად არის. იქნებ სპორტის სასახლის დირექციამ რომელიმე გაზეთს ან ტელეკომპანიას ექსკლუზიურად უნდა მისცეს რეკონსტრუქციის გაშუქების უფლება?

- ისე გველაპარაკებით, თითქოს ტერორისტები ვიყოთ. ჩვენს და, სხვათა შორის, თქვენს საქმესაც ვაკეთებთ, ეს თქვენი ერთგვარი უფასო რეკლამაცაა...

- არ მაინტერესებს. მე ჩემი საქმე მაქვს და ასი პროცენტით ვიცი, რომ ყოველგვარი გადაღება და უცხო პირების შემოსვლა აკრძალულია. უკლებლივ ყველა სურათი წაშალეთ და სადაც გინდა იქ განაცხადეთ, რომ გადაღების უფლება არ მოგეცით!

ამის შემდეგ, განერვიულებულმა კოტორაშვილმა თავად დარეკა ლაშა ხუციშვილთან, რომელმაც უთხრა, რომ დაცვას დავმორჩილებოდით. სხვა რა გზა გვქონდა. იქვე, ნასარაიას თვალწინ წავშალეთ ყველა ფოტო, რომელმაც თავის დაზღვევის მიზნით, კიდევ ერთხელ გადაამოწმა სხვა გადაღებული სურათებიც და მხოლოდ ამის შემდეგღა გამოგვიშვა.

რა შეიძლება ვთქვათ ამის შემდეგ? ნამდვილად ვერაფრით წარმოვიდგენდით, რომ ამხელა ომის გადატანა მოგვიწევდა. ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, ვითვალისწინებთ ჩვენი მკითხველის, სპორტის მოყვარულის ინტერესებს და სწორედ ამიტომ გვინდოდა, სპორტის სასახლის რეკონსტრუქციაზე მოგვეთხრო. არ ვიცით, რას ფიქრობს სპორტის სასახლის ახალი ხელმძღვანელობა, რატომ გადაწყვიტა ამხელა მშენებლობის გასაიდუმლოება, მაგრამ პრესასთან რომ გვარიანად ეშლება ურთიერთობა, ეს გუშინ ნათლად დავინახეთ.

ვფიქრობთ, საინტერესო იქნება სპორტის სასახლის დირექციის ოფიციალური განმარტება გუშინდელის გამო.

კობა ხატისაშვილი

ომარ მერაბიშვილი

ქართულმა სპორტმა დიდი დანაკლისი განიცადა. შეწყდა ქართული ძიუდოს ლეგენდის, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ომარ მერაბიშვილის სიცოცხლე. მან პირველმა ჩამოაყალიბა ქუთაისში ძიუდოს სექცია. მისი აღზრდილები არიან ოლიმპიური ჩემპიონი დავით ხახალეიშვილი, აკაკი კიბორძალიძე, ავთანდილ გუბელაძე, გურამ იობიძე, ზურაბ კეთილაძე, ირაკლი ცირეკიძე, თემურ ნოსელიძე, შერმადინ მიქელთაძე და მრავალი სხვა აღიარებული ოსტატი.

ბ-ნი ომარი სიცოცხლის ბოლო დღეებამდე აქტიურად მოღვაწეობდა და ქართული ძიუდოს მომავალ ვარსკვლავებს ზრდიდა. მისი ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება ჩვენს გულებში.

ქუთაისის ჭიდაობის სპორტული სკოლის კოლექტივი

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის იმერეთის რეგიონული ორგანიზაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ძიუდოისტთა თაობების სახელოვანი აღმზრდელის

ომარ მერაბიშვილის

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

ჩოგბურთი

ორი მატება და ბევრი უკუსვლა

ვაუ ჩოგბურთელთა რეიტინგ-ლისტში **ირაკლი ლაბაძემ** და **ლადო ჩიხლაძემ** პოზიციები დაკარგეს: ირაკლის წლეულს ტრავმის გამო არსად უთამაშია, ასე რომ, გასაკვირი არაა, ნელ-ნელა თმობს პოზიციებს - ლაბაძე ახლა მსოფლიოს 175-ე ჩოგანია, რაც ორი კვირის წინანდელს ოთხი საფეხურით ჩამორჩება. ლადო ჩიხლაძემ "დევისის თასისთვის" მზადების გამო, ბოლო კვირა გამოტოვა. ლადო ახლა მსოფლიოს 478-ე ჩოგანია (-11 ადგილი). რეიტინგ-ლისტში კიდევ ერთი ქართველია: **ნოდარ ითონიშვილი** რეიტინგში 1342-ე პოზიციაზეა (+7). წყვილებში ასეთი სიტუაციაა: 217 (-20) **ირაკლი ლაბაძე**, 748 (+1) **ლადო ჩიხლაძე** და 1616 (+13) **ნოდარ ითონიშვილი**.

ქალთა რეიტინგ-ლისტში ორი შემატება გვაქვს, კლასიფიკაციას დაუბრუნდნენ საქართველოს ყოფილი და მოქმედი ჩემპიონები: **სოფიო ქვაცაბაია** და **ოქსანა კალაშნიკოვა**. ჩვენი პირველი ჩოგანი **მაკა ჩახნაშვილი** მსოფლიოს 142-ე ჩოგანია (+1). აი, **ანა ტატიშვილს** კი მაიამიში შარშან მოპოვებული ქულები წლევანდელზე გაუცვალეს და მან ერთბაშად 54 ადგილი დაკარგა. 17 წლის ქართველი ახლა მსოფლიოს 321-ე ჩოგანია. დაიკლო რეიტინგში **სოფიო მელიქიშვილმაც** - 344-ე (-6). სხვა ქართველები: 543 (-10) **სალომე დევიძე**, 686 (-3) **სოფიო შაფათავა**, 767 (-10) **ეკა გორგოძე**, 815 (-1) **მანანა შაფაქიძე**, 969 (-) **ოქსანა კალაშნიკოვა**, 1076 (+4) **თეონა ცერცვაძე**, 1196 (-) **სოფიო ქვაცაბაია** და 1328 (+7) **მარიამ ქურდაძე**.

როგორც ხედავთ, 16 წლის ოქსანა კალაშნიკოვა ათასეულშია. რა თქმა უნდა, ეს მისი საუკეთესო მაჩვენებელია. ოქსანას სამმა ტურნირმა 6,5 ქულა მოუტანა, სოფიო ქვაცაბაიამ კი სამ ტურნირში 4 ქულა დააგროვა.

ცხრა ქართველი ახალგაზრდულში

გამოქვეყნდა 18-წლამდელ ჩოგბურთელთა ახალი მსოფლიო რეიტინგ-ლისტი. ბიჭების კლასიფიკაციაში ოთხი ქართველი ჩოგბურთელია, თუმცა ამათგან მონინავე პოზიციაზე მხოლოდ 16 წლის **ლაზარე კუხალაშვილია**. ლაზარე რეიტინგში 391,25 ქულით 43-ე საფეხურზეა. იანვარში ის კარიერაში ყველაზე მაღლა, 36-ე ადგილზე იყო. საქართველოს ნაკრების მესამე ჩოგანი **გიორგი ჭანტურია** ახალგაზრდულ კლასიფიკაციაში 292-ეა, თუმცა სექტემბრის შემდეგ ის ახალგაზრდულ ასპარეზზე აღარ გამოდის. საქართველოს ჩემპიონი ჭანტურია 18 წლისაა. 16 წლის **რევაზ ოსადე** 697-ეა, ხოლო მისი თანატოლი დემეტრე **თაქთაქიშვილი** - 1632-ე.

გოგონებში ხუთ ქართველში საუკეთესო პოზიცია **ოქსანა კალაშნიკოვას** უჭირავს, ის 480 ქულით მსოფლიოს 35-ე ჩოგანია. ეს მისი კარიერის საუკეთესო მაჩვენებელია. ბოლო თვეა, რაც ოქსანამ ძალები დიდებშიც მოსინჯა (არცთუ წარუმატებლად) და დიდების რეიტინგში ათასეულში შევიდა. მისი უფროსი და, **მარია** რეიტინგში 434-ე ადგილზეა. 17 წლის **ანა ტატიშვილი** ახალგაზრდულ ტურნირებში აღარ გამოდის (ერთ დროს მე-19 ჩოგანიც იყო), ამიტომ მისი რეიტინგი დაეცა - 834-ე. სიაში კიდევ ორი ქართველია: 1045 **სოფიკო შარანგია** და 1459 **ანა ჯიქია**.

დარჩა ბელარუსი

ამერიკაში ქალაქ პელემის 25-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში ვერ გააღწია ქართველმა ჩოგბურთელმა **სალომე დევიძემ**, რომელმაც პირველივე საკვალიფიკაციო წრეში ნაადგო. თუმცა, მისმა თანამემამულე **სოფიო მელიქიშვილმა** უკვე ორი საკვალიფიკაციო წრე გაიარა. სოფიომ მეორე საკვალიფიკაციო წრეში არგენტინელი **ერიკა კრაუტი** (649) დაამარცხა - 4:6, 6:4, 6:1. ახლა ძირითად ბადეში გასასვლელად მელიქიშვილს საკვალიფიკაციაში პირველ ნომრად განთესილი ბელარუსი **ოლგა გოვოროცვას** (218) დამარცხება მართებს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თანამშრომლები დაბადების დღეს ულოცავენ ქართული სპორტის ღვაწლმოსილ მუშაკს, სეოკ-ის საპატიო პრეზიდენტს ვახტანგ გორგასლის II ხარისხის, ღირსებისა და სოკ-ის ორდენის კავალერს, ჯანსუღ ბაგრატიონს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადების დღეს ულოცავს საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარეს იროლი ბეჟაშვილს.

მონაგები

მარტი

1. ფეხბურთი: გოგიტა გოგუამ "სატურნთან" (რუსეთი) სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

1. ფეხბურთი: გაიმართა წილისყრა ევროპის 17 და 19 წლამდელთა საკვალიფიკაციო ტურნირებისთვის. გაირკვა საქართველოს ნაკრებთა მეტოქეები.

4. ჭიდაობა: პოლონეთში მსოფლიო თასის ტურნირი მოიგო **ირაკლი ცირეკიძემ (90 კგ)**. მესამე ადგილზე გავიდნენ: **გიორგი ბაინდურაშვილი** (81), **ლომერ ჟორჟოლიანი** (100), **ლევან რაზმაძე** (100), **ლაშა გუჯეჯიანი** (მძიმე)

4. 11 ჩოგბურთი: **ლადო ჩიხლაძემ ორი ტურნირი მოიგო** შვეიცარიასა და ლიხტენშტაინში.

5. ჭიდაობა: უზბეკეთში. "ოქროს გრან-პრის" ფინალში (96 კგ) **გიორგი გოგშელიძემ ლუკა კურტანიძე** დაამარცხა. ვერცხლის მედალი მოიპოვა რევაზ მინდორაშვილმა (84), ბრინჯაო - **ალექსი მოდებაძემ** (120); ანტიკური ჭიდაობის ანალოგიურ ტურნირში მესამე ადგილზე გავიდნენ **რევაზ ლაშხი** (60) და **შალვა გადაბაძე** (84)

11. სუმო: დაიწყო მარტის ბაშო, პირველ დღეს **კოკაის** გამოსვლას საქართველოს პრეზიდენტი დაესწრო.

14. ჭადრაკი: საქართველოს ჩემპიონატი **ლელა ჯავახიშვილმა** მოიგო.

17. რაგბი: საქართველოს ნაკრებმა ესპანეთში ერთა თასის მატჩი ნააგო - 17:31.

23–24. ფიგურული სრიალი: მსოფლიო ჩემპიონატზე ტოკიოში **ელენე გედევანიშვილმა** მე-17 ადგილი დაიკავა.

24. რაგბი: ერთა თასის მატჩში საქართველოს ნაკრებმა რუსეთს 31:12 მოუგო.

24. ფეხბურთი: ევრო 2008 წლის შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრები ბელგიოს 1:2 დამარცხდა.

25. სუმო: მარტის ბაშოზე **ლევან ცაგურიამ** (კოკაი) პირადი რეკორდი გაიმეორა (10 მოგება).

25. ჭადრაკი: საქართველოს ჩემპიონი **ბაადურ ჯობავა** გახდა 8.5 ქულით.

28. ფეხბურთი: საქართველოს ნაკრებმა ფარერის კუნძულების ნაკრები 3:1 დაამარცხა.

თაბილი



ჯანსუღ (ჯანო) ბაგრატიონი. დაიბადა 04.041938, თბილისი. ხელბურთი. თამაშობდა თბილისის "ბურევესტნიკში". სსრკ ჩემპიონი (1964), სამგზის მეორე (1965, 66, 67) და მესამე (1963) პრიზიორი. იყო "ბურევესტნიკის" მთავარი მწვრთნელი (1969-73), საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის კათედრის გამგე (1973-84), თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე (1984-86), საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე (1986-96) და პირველი მოადგილე (1996-2000), საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი (1996-04 და საპატიო პრეზიდენტი (2004 წლიდან). სპორტის საპატიო ოსტატი, სსრკ დამსახურებული მწვრთნელი, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის, ღირსებისა და სოკის ორდენების კავალერი.

რომან მარსაგიშვილი . დაიბადა 04.-04.1949, კარკუჩა, ყაზბეგი. თავისუფალი ჭიდაობა (74 კგ). ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი (1972), სსრკ ჩემპიონატის მეორე პრიზიორი (1971), სსრკ ხალხთა V სპარტაკიადის მესამე პრიზიორი (1971), გერმანიის (1974), მონღოლეთის (1977) და პოლონეთის (1975, 77) საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

დალასი-სენტ ლუისი 2:4

0:1, 2:2, 0:1

გოლები: 0:1 სტემპნიაკი-26 (მაიერსი-13, ბოიესი-29), 1:1 რიბეირო-18 (მოროუ-15), 1:2 მეტროპოლიტი-14 (კინგი-1, ბრიუერი-23), 1:3 უეიტი-15 (ბეკმენი-11, ბეკსი-12), 2:3 მოროუ-14 (რიბეირო-40, ნადი-41), 2:4 სტემპნიაკი-27 (მაიერსი-14, მაკლემანი-26).

ᲐᲦᲐᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

	თ	მ	ნ	ᲛᲜ	ქ
1. x-ᲑᲐᲤᲐᲚᲝ*	78	50	21	7	107
2. x-ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ*	79	47	24	8	102
3. x-ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲐ*	79	41	27	11	93
4. x-ᲝᲢᲐᲕᲐ	79	47	24	8	102
5. x-ᲞᲘᲢᲡᲑᲣᲠᲒᲘ	79	45	23	11	101
6. ᲠᲘᲩᲛᲝᲜᲓᲘᲡᲘ	79	41	29	9	91
7. ᲢᲐᲛᲞᲐ ᲑᲘᲐ	79	43	32	4	90
8. ᲛᲝᲜᲠᲔᲐᲚᲘ	79	41	32	6	88
9. ᲢᲝᲠᲝᲜᲢᲝ	79	38	30	11	87
10. ᲙᲐᲠᲝᲚᲘᲜᲐ	79	39	32	8	86
11. ᲐᲘᲚᲘᲜᲓᲘᲠᲡᲘ	78	36	30	12	84
12. ᲤᲚᲝᲠᲘᲓᲐ	79	34	30	15	83
13. ᲑᲝᲡᲢᲝᲜᲘ	79	35	38	6	76
14. ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ	79	26	39	14	66
15. ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲐ	78	21	46	11	53

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

	თ	მ	ნ	ᲛᲜ	ქ
1. x-ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ*	79	48	19	12	108
2. x-ᲐᲜᲐᲰᲔᲘᲛᲘ*	79	47	20	12	106
3. x-ᲕᲐᲜᲙᲣᲕᲔᲠᲘ*	78	47	24	7	101
4. x-ᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ	79	49	23	7	105
5. x-ᲡᲐᲜ ᲮᲝᲡᲔ	79	49	26	4	102
6. x-ᲓᲐᲚᲐᲡᲘ	79	48	25	6	102
7. x-ᲛᲘᲜᲔᲡᲝᲢᲐ	79	45	26	8	98
8. ᲙᲐᲚᲒᲐᲠᲘ	78	43	25	10	96
9. ᲙᲝᲚᲝᲠᲐᲓᲝ	78	41	30	7	89
10. ᲡᲘᲜᲢ ᲚᲣᲘᲡᲘ	79	33	33	13	79
11. ᲙᲝᲚᲝᲛᲑᲣᲡᲘ	79	32	40	7	71
12. ᲔᲓᲛᲝᲜᲢᲝᲜᲘ	79	31	41	7	69
13. ᲩᲘᲙᲐ�გᲝ	78	29	40	9	67
14. ᲚᲝᲡ ᲐᲜᲯᲔᲚᲔᲡᲘ	79	26	39	14	66
15. ᲨᲘᲜᲘᲫᲘ	78	29	44	5	63

*შენიშვნა: ონ - ოვერტაიმში წაგება (დამარცხებულ გუნდს ერთი ქულა ენიჭება); x - გაინაღდა ფლეი ოფის საგზური; * - დივიზიონის ლიდერი*

ᲒᲝᲚᲑᲐᲠᲛᲘᲩᲔᲑᲘ (ᲒᲝᲚᲘ+ᲞᲐᲡᲘ)

ᲙᲠᲝᲡᲑᲘ (ᲐᲘᲢ)	117 (36+81)
ᲯᲣ. ᲢᲝᲠᲜᲢᲝᲜᲘ (Ს-ᲮᲝᲡ)	109 (21+88)
ᲚᲔᲙᲐᲕᲐᲚᲘᲔ (Ტ-ᲑᲔᲘ)	106 (51+55)
ᲡᲔᲜᲢ ᲚᲣᲘᲡᲘ (Ტ-ᲑᲔᲘ)	101 (43+58)
ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲘ (ᲝᲢᲐ)	100 (48+52)
ᲑᲐᲠᲘᲐᲜ ᲰᲝᲡᲐ (ᲐᲢᲚ)	97 (42+55)
ᲑᲠᲘᲔᲠᲘ (ᲑᲐᲨ)	93 (32+61)
ᲘᲐᲒᲠᲘ (ᲠᲔᲘᲜ)	93 (29+64)
ᲡᲐᲒᲐᲠᲘ (ᲒᲝᲡ)	93 (22+71)
ᲚᲔᲚᲘᲐᲜᲔ (ᲐᲜᲐ)	91 (45+46)
ᲡᲐᲙᲘᲯᲘ (ᲙᲝᲚ)	91 (34+57)

ᲒᲝᲚᲔᲐᲓᲝᲠᲔᲑᲘ

ᲚᲔᲙᲐᲕᲐᲚᲘᲔ (Ტ-ᲑᲔᲘ)	51
ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲘ (ᲝᲢᲐ)	48
ᲚᲔᲚᲘᲐᲜᲔ (ᲐᲜᲐ)	45
ᲡᲔᲜᲢ ᲚᲣᲘᲡᲘ (Ტ-ᲑᲔᲘ)	43
ᲝᲕᲔᲩᲙᲘᲜᲘ (ᲕᲐᲨ)	43
ᲑᲐᲠᲘᲐᲜ ᲰᲝᲡᲐ (ᲐᲢᲚ)	42
ᲕᲐᲜᲔᲙᲘ (ᲑᲐᲨ)	39
ᲯᲣ. ᲑᲚᲔᲘᲙᲘ (ᲐᲘᲚ)	39
ᲙᲝᲕᲐᲚᲩᲣᲙᲘ (ᲐᲢᲚ)	39
ᲒᲐᲜᲘᲗ (ᲤᲘᲚ)	38
ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲜ (ᲕᲐᲨ)	38

ᲐᲡᲘᲡᲢᲔᲜᲢᲔᲑᲘ

ᲯᲣ. ᲢᲝᲠᲜᲢᲝᲜᲘ (Ს-ᲮᲝᲡ)	88
ᲙᲠᲝᲡᲑᲘ (ᲐᲘᲢ)	81
ᲡᲐᲒᲐᲠᲘ (ᲒᲝᲡ)	71
Ჯ. ᲡᲔᲚᲘᲜᲘ (ᲕᲐᲜ)	68
ᲘᲐᲒᲠᲘ (ᲠᲔᲘᲜ)	64
ᲑᲠᲘᲔᲠᲘ (ᲑᲐᲨ)	61
ᲡᲔᲜᲢ ᲚᲣᲘᲡᲘ (Ტ-ᲑᲔᲘ)	58
ᲡᲐᲙᲘᲯᲘ (ᲙᲝᲚ)	57
ᲓᲐᲪᲘᲣᲙᲘ (ᲓᲔᲢ)	57
ᲜᲘᲣᲚᲐᲜᲓᲔᲠᲘ (ᲠᲔᲘᲜ)	56

ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘ

გასულ კვირას, ჰოკეის ეროვნული ლიგის მიერ არჩეულ სამ ვარსკვლავს შორის ორი მეკარე მოხვდა: "კალგარი ფლეიმზისა" და "დეტროიტ რედ უინგზის" გოლკიპერები - **მიკა კიპრუსოფი** და **დომინიკ ჰაშეკი**.

ფინელი კიპრუსოფი კვირის პირველი ვარსკვლავი გახდა. გასული სეზონის საუკეთესო მეკარემ თავის გუნდს სამიდან სამ მატჩში მოაგებინა, საშუალოდ თამაშში 1.30 შაიბას უშვებდა და დარტყმების 95.9 პროცენტს იგერიებდა. სამშაბათს, "მინესოტასთან" მატჩში (1:0), კიპრუსოფმა 38 დარტყმა მოიგერია და სეზონში მეშვიდე შათაუტი მიითვალა

ჩეხ ვეტერან დომინიკ ჰაშეკს მესამე ვარსკვლავის სტატუსი ერგო. მისი კარგი თამაშის წყალობით, "დეტროიტმა" გასულ კვირას რეგულარული ჩემპიონატის ლიდერობა იგდო ხელთ. "დომინატორის" სტატისტიკური მაჩვენებლები ამგვარი გახლდათ - საშუალოდ მატჩში გაშვებული 1.30 შაიბა და მოგერიების 95.1 პროცენტი. ორშაბათს, ჰაშეკმა კარიერაში 75-ე შათაუტი შეასრულა ("ანაჰაიმთან" 1:0).

კვირის მეორე ვარსკვლავი, "ფლორიდა პანტერზის" ფინელი ფორვარდი ოლი იოკინენი გახდა. გასულ კვირას, იოკინენმა ოთხ მატჩში ერთი გოლი და 6 შედეგიანი გადაცემა მიითვალა.

ლიბი ლენტონი

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ

ᲚᲔᲜᲢᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ

ᲛᲔᲚᲑᲣᲠᲜᲘᲨᲘ მოცურავეთა მსოფლიო ჩემპიონატი ახლახანს დასრულდა მსოფლიოს საუკეთესო მოცურავეებმა კი სიდნეიში გადაინაცვლეს, სადაც მსოფლიოს მორიგი რეკორდი დამყარდა. სიდნეის ოლიმპიურ აუზში, 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში, ავსტრალიელმა **ლიბი ლენტონმა** გერმანელი **ბრიტა შტეფენის** მიერ შარშან, ევროპის ჩემპიონატზე დამყარებული რეკორდი გააუმჯობესა.

ლენტონმა დისტანცია 52.99 წამში გაცურა, რაც 0.31 წამით სჯობს შტეფენის მიერ ბუდაპეშტში დამყარებულ რეკორდს. ლენტონმა ეს შედეგი ავსტრალიისა და აშშ-ის მოცურავეთა შეხვედრაზე, შერეულ სტესთა შორის 4x100 მეტრზე ესტაფეტაზე ასპარეზობისას დააფიქსირა.

თავის მუხლზე 22 წლის ლენტონმა მელბურნის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მოცურავის, ამერიკელი **მაიკლ ფელპსის** წინააღმდეგ იასპარეზა და მასთან 4 წამზე მეტი წააგო.

"მგონი, მაიკლი ცოტა შევაშინე. ალბათ ამიტომ მომიგო ამდენი. შეიძლება არ იმჩნევს, მაგრამ წყალქვეშ ასე ჩანდა", - ხუმრობდა ასპარეზობის შემდეგ ლენტონი.

ცურვის საერთაშორისო ფედერაციის წესებით, ესტაფეტაზე დაფიქსირებული სარეკორდო შედეგები პირად რეკორდად შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ ლენტონის მიღწევის ოფიციალურად დაფიქსირება შეიძლება მაინც დროში გაიწელოს. ამის მიზეზი კი ისაა, რომ შერეული ესტაფეტები ჩვეულებრივ, არ ტარდება ხოლმე და სიდნეის ტურნირზე ამ მხრივ, უნიკალურ შემთხვევას ჰქონდა ადგილი.

ტურნირის შემდეგ, ავსტრალიის ცურვის ფედერაცია საერთაშორისო ფედერაციას დაუკავშირდა, საიდანაც პასუხად მიიღეს, რომ ლენტონის შედეგი ოფიციალურად დაფიქსირებას ექვემდებარება. *"თუ ასპარეზობა ყველა წესის დაცვით ჩატარდა, მაშინ ვერ ვხედავ მიზეზს, რის გამოც ეს შედეგი რეკორდის სტატუსს არ მიიღებს. ჩვენ გვითხრეს, საერთაშორისო ფედერაციაში ყველა საჭირო საბუთი წარვადგინოთ, რის შემდეგაც ლენტონის შედეგი მსოფლიო რეკორდის სტატუსს მიიღებს"*, - ამბობს სვიმინგ აუსტრალიას მთავარი აღმასრულებელი **გლენ ტასკერი**.

ცნობისთვის, სიდნეიმდე ლენტონმა ას მეტრზე თავისუფალში ორჯერ დაამყარა მსოფლიოს რეკორდი, მაგრამ ორივე შემთხვევაში, მას სხვებმა აჯობეს. ბოლოს მან პლანეტის საუკეთესო შედეგი შარშან, თანამეგობრობის თამაშებზე (მელბურნში) აჩვენა, მაგრამ მალე ის რეკორდი შტეფენმა გააუმჯობესა.

რაც შეეხება მსოფლიოს ჩემპიონატს, მასზე ლენტონმა პირადი ოქროები 50 და 100 მეტრზე თავისუფალში, ასევე 100 მეტრზე ბატერფლაიში მოიპოვა. გარდა ამისა, ავსტრალიის კვარტეტთან ერთად, ორ ესტაფეტაშიც გახდა ჩემპიონი და გახდა სულ მეორე ქალი მოცურავე, რომელმაც ერთ ჩემპიონატზე ხუთი ოქროს მოპოვება შეძლო. პირველი ამერიკელი **ტრეისი ქოლკინსი** იყო, რომელმაც იგივე მიღწევით 1978 წელს გამოიჩინა თავი.

სიდნეის "აუზის დუელში" ის ერთადერთი მოცურავე იყო, რომელმაც მსოფლიო რეკორდით გამოიჩინა თავი, რისთვისაც ჯილდოს სახით 20 000 ავსტრალიური დოლარი (16 393 აშშ დოლარი) გადაეცა. ლიბი მალე ავსტრალიელ მოცურავე **ლუკ ტრიკეტს** მისთხოვდება და აცხადებს, რომ ქორწინება მისთვის უფრო დიდი ჯილდოა.

მერაბ ლორთქიფანიძე

ᲓᲝᲞᲘᲜᲒᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲘ

ᲯᲝᲠᲯᲡ ᲓᲝᲞᲘᲜᲒᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲔᲜ

რა თქმა უნდა, ამ საქმის ავანგარდში ფრანგული გაზეთი "ეკიპი" დგას, რომელმაც ადრეც არაერთი ვარსკვლავის "მხილებით" გაითქვა სახელი. ამჯერადაც სწორედ ამ გაზეთმა გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ რომ თითქოს, შარშან ავსტრალიელი **იან ტორპისგან** აღებულ ერთ-ერთ სინჯში სინთეტიკური ტესტოსტერონის კვალი აღმოჩენილიყოს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მსოფლიოს დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტომ (WADA) შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ რეგულარული სახე მიიღო დოპინგთან დაკავშირებული საქმეების ინფორმაციის ვადაზე ადრე გაუონვამ, რამაც შეიძლება ტყუილად მიაყენოს სპორტსმენთა რეპუტაციას ზიანი.

"შემაშფოთებელი ფაქტია ის, რომ სანამ ტესტის შედეგები გაანალიზებული არ გვაქვს, მანამ ხმაურდება იმ სპორტსმენის ვინაობა, რომლისგანაც სინჯია აღებული. ამ შემთხვევას ტესტის საბოლოო პასუხის გარკვევაზე არანაირი გავლენის მოხდენა არ შეუძლია, თუმცა ის გამოძიებას საჭიროებს, რათა ამგვარი ფაქტები შემდგომში აღარ განმეორდეს. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ტესტის შედეგები გაანალიზდება, WADA მის პასუხს მიიღებს და მხოლოდ ამის შემდეგ გავიგებთ იმ სპორტსმენის ვინაობას, ვისაც სინჯი ეკუთვნის", - ნათქვამია სააგენტოს ოფიციალურ განცხადებაში.

"ეკიპში" ამ სკანდალური ინფორმაციის შემდეგ, ცურვის მსოფლიო ფედერაციამ და მსოფლიოს დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტომ გამოაცხადეს, რომ ტორპს დოპინგ-ტესტი არ ჩაუგდია, მაგრამ ცურვის ავსტრალიური ფედერაცია საქმის გამოძიებას მოითხოვს, რადგანაც პუბლიკაციამ ტორპის სახელს ზიანი მიაყენა.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

ᲰᲐᲛᲑᲣᲠᲒᲘ ATP-ᲘᲡ ᲣᲩᲘᲕᲘᲡ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ჩოგბურთის ფედერაციამ, ამერიკის ფედერალურ სასჯელაღლოში პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის (ATP) წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა.

საქმე ისაა, რომ 2009 წლიდან ATP აპირებს ჰამბურგის ტურნირი "მასტერსის სერიიდან" ამოაგდოს. შეგახსენებთ, რომ ეს ტურნირი, ტრადიციულად "როლან გაროსის" წინ იმართება ხოლმე.

გერმანელები ამტკიცებენ, რომ მათსა და ასოციაციას შორის დადებული კონტრაქტის მიხედვით, საჩოგბურთო კალენდარში ნებისმიერი ცვლილების მიუხედავად, ჰამბურგში "მასტერსის" სერიის ტურნირის ჩატარებაა გათვალისწინებული. უფრო მეტიც, გერმანული პრესის ინფორმაციით, ტურნირის ორგანიზატორებმა 60 ჩოგბურთელის წერილობითი მხარდაჭერა მოიპოვეს. მათ შორის არიან **როჯერ ფედერერი, რაფაელ ნადალი** და ATP-ის ჩოგბურთელთა საბჭოს თავმჯდომარე - **ივან ლუბიჩიჩი**.

დღეს მოქმედი წესის თანახმად, ევროპაში სამი "მასტერსი" იმართება - მონაკოში, რომსა და ჰამბურგში. მაგრამ ATP-ში დაგეგმილი რეფორმების თანახმად, მათი რაოდენობა ორამდე შემცირდება. ერთი ზედმეტი სწორედ ჰამბურგი აღმოჩნდა.

ᲒᲝᲜᲡᲐᲚᲔᲡᲘ ᲫᲐᲚᲚᲛᲐ ᲓᲐᲙᲑᲘᲜᲐ

ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲘᲡ წლევანდელი ღია პირველობის ფინალისტი, ჩილელი **ფერნანდო გონსალესი** ცხოველებისადმი სიყვარულის გამო დაზარალდა.

ორშაბათს, ქალაქ სანტიაგოს ერთ-ერთ ქუჩაზე სეირნობისას, ჩოგბურთელმა შეამჩნია, რომ მაწანწალა ძაღლს მანქანამ გადაუარა. გონსალესს არც უფიქრია, ისე გადაწყვიტა ცხოველის უახლოეს ვეტერინარულ პუნქტში გადაყვანა. მაგრამ ძაღლი ვერ მიხვდა ფერნანდოს კეთილ განზრახვას და ჩოგბურთელს თითზე უკბინა.

გონსალესს სასწრაფოდ გაუკეთეს შესაბამისი აცრები. რაც შეეხება თითის დაზიანებას, ის უმნიშვნელოა და ჩილელს ჩოგბურთის თამაშში ხელს არ შეუშლის.

ᲙᲠᲘᲙᲔᲢᲘ

ᲙᲚᲘᲩᲙᲝ ᲛᲐᲡᲙᲐᲔᲕᲡ ᲐᲠ ᲨᲔᲮᲕᲓᲔᲑᲐ

უკრაინელ **ვიტალი კლიჩკოსა** და რუს **ოლეგ მასკაევს** შორის WBC-ის ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის მატჩი არ გაიმართება. როგორც ნიგერიელი მოკრივის - **სემ პიტერის** ბულგარელმა მენეჯერმა **ივაილო გოცევმა** განაცხადა, კლიჩკომ უარი თქვა პიტერისა და მასკაევის მენეჯერებთან მოლაპარაკებებზე. ასე რომ, WBC-ის მოქმედ ჩემპიონ ოლეგ მასკაევს, ტიტულის დაცვა სწორედ ნიგერიელ მოკრივესთან მოუწევს.

როგორც იცით, ბოლო ორი თვის განმავლობაში დაძაბული მოლაპარაკებები მიდიოდა იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ უნდა ყოფილიყო მასკაევის მორიგი მეტოქე. საბოლოოდ, აუცილებელი პრეტენდენტი პიტერი დათანხმდა, 2.5-მილიონიანი კომპენსაციის მიღებას, რათა რუსთან შეხვედრის უფლება WBC-ის საპატიო ჩემპიონ ვიტალი კლიჩკოსთვის დაეთმო. მაგრამ, ბოლო მომენტში უკრაინელმა მოკრივემ გადაიფიქრა მასკაევთან ბრძოლა. მიზეზი უცნობი გახლავთ.

ᲒᲠᲐᲓᲘᲪᲘᲐ ᲠᲘᲜᲒᲖᲔ

კვირას, ტაილანდის ერთ-ერთ საავადმყოფოში გარდაიცვალა ფილიპინელი მოკრივე **ლიტო სისნორიო**. ამ უკანასკნელის სიკვდილის მიზეზი, ბოლო ბრძოლისას თავის არეში მიღებული ტრავმები გახდა.

სისნორიო უმჩატეს წონაში WBC-ის ვერსიით ყოფილ მსოფლიო ჩემპიონს, 37 წლის **ჩატჩაი სასაკულს** ხვდებოდა. ეს ბრძოლა ფილიპინელმა მეოთხე რაუნდში ნოკაუტით წააგო.

რამდენიმე საათის შემდეგ, ეჭვი გაჩნდა, რომ სისნორიოს ტვინში სისხლის ჩაქცევა ჰქონდა. ის სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს, ოპერაციაც გაუკეთეს, მაგრამ მოკრივე ერთ დღეში გარდაიცვალა.

ᲰᲝᲙᲔᲘ

ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘᲡ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ ᲓᲐᲘᲗᲮᲝᲕᲐ

უცნაური გადაწყვეტილება მიიღო გუშინ, "ნიუ ჯერსი დევილზის" გენერალურმა მენეჯერმა **ლუ ლამორელომ**. რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე 3 ტურით ადრე, მან მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გაათავისუფლა **კლოდ ჟულიენი**.

გათავისუფლება მოხდა მას შემდეგ, რაც "დევილზმა" ბოლო 5 მატჩში ოთხ გამარჯვებას მიაღწია და ატლანტიკის დივიზიონის ლიდერი გახდა. გარდა ამისა, "ნიუ ჯერსის" უკვე კარგა ხანია განაღდებული აქვს ფლეი ოფის საგზური.

"ბოლო დროს ვგრძნობდი, რომ სწორი მიმართულებით არ მივდიოდით - როგორც სათამაშო, ისე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. ხალხი, რა თქმა უნდა, გაკვირვებულია. ისინი ხედავენ ცხრილში ჩვენს 102 ქულას, სინამდვილეში კი, არ იციან რა ხდება გუნდის შიდა სამზარეულოში. ამ გადაწყვეტილების გამო, მთლიანად ჩემს თავზე ვიღებ პასუხისმგებლობას", - ამბობს ლუ ლამორელო, რომელიც ფლეი ოფში თავად აპირებს თავისი გუნდის განვრთნას.

ᲜᲔᲨᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲖᲔ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ ᲣᲜᲓᲐ

"კოლამბუს ბლუ ჯეკეტსის" ფორვარდი **რიკ ნეში** მზად არის, მოსკოვში გასამართ მსოფლიო ჩემპიონატში მიიღოს მონაწილეობა. "კოლამბუსი" ფლეი ოფში ვერ ხვდება და ნეშიც კანადის ნაკრებში თამაშზე ფიქრობს.

"თუ ნაკრების ხელმძღვანელობამ მიწვევა გამომიგზავნა, მას სიამოვნებით მივიღებ. თუმცა, ფედერაციიდან ჯერ არავინ შემხმიანებია", - აცხადებს რიკ ნეში.

ᲡᲐᲛᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ ᲝᲗᲮᲘ ᲛᲡᲐᲯᲘ

ᲰᲝᲙᲔᲘᲡ საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა **რენე ფაზელმა** განაცხადა, რომ 2008 წლის მსოფლიო ჩემპიონატიდან მოყოლებული, ჰოკეის მატჩებს არა სამი, არამედ ოთხი მსაჯი მოემსახურება. ყინულზე იქნება ორი მთავარი და ორი დამხმარე მსაჯი.

"ეს ახალი სისტემა ჩვენ ახალგაზრდულ ტურნირებზე გამოვცადეთ და დადებითი შედეგი მივიღეთ. ასე რომ, გაისად, ოთხი მსაჯი მოემსახურება ევროპის ჩემპიონთა თასისა და ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატის შეხვედრებს. თუ ექსპერიმენტმა აქაც გაამართლა, მაშინ მსოფლიო პირველობაზეც მატჩებზე ოთხ-ოთხი მსაჯი იმუშავებს", - ამბობს რენე ფაზელი.

ᲡᲐᲚᲝ ᲕᲐᲜᲙᲣᲕᲔᲠᲨᲘ ᲠᲩᲔᲑᲐ

32 წლის ფინელმა მცველმა **სამი სალომ** ოთხი წლით გააგრძელა კონტრაქტი "ვანკუვერ კენაქსთან".

"სამი ელიტურ მცველებს შორის შედის, რომელიც შესანიშნავად ავსებს ჩვენი გუნდის შემადგენლობას. დარწმუნებულნი ვართ, რომ ის მომავალი ოთხი წლის განმავლობაში ისეთივე მაღალ დონეზე ითამაშებს, როგორც ამას ახლა აკეთებს", - ამბობს "ვანკუვერის" გენერალური მენეჯერი **დეივ ნონისი**.

ვარსკვლავი

მაიამიში ახალი ჩემპიონი დაიბადა?

ჯოკოვიჩი ყველა პარამეტრით ჯაბნის პროფესიული ტურის სხვა ახალგაზრდა ტალანტებს

მარტის საჩოგბურთო ბატალიებს ორი გმირი ჰყავდა - არგენტინელი **გილერმო კანიასი**, რომელმაც ზედიზედ ორჯერ მოუგო **როჯერ ფედერერს** და 19 წლის სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი**. ეს ვუნდერკინდი ორი მასტერსის ფინალში გავიდა და ერთ-ერთი თავის სასარგებლოდ დაასრულა.

ახალგაზრდა ჩოგბურთელი თავისი ასაკისთვის შეუფერებელ თვისებას ავლენს - ეს არის სტაბილურობა. სტაბილურობა შეიმჩნევა მის თამაშში როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი თვალსაზრისით. თუ თებერვალში, მარსელისა და როტერდამის ტურნირებზე, გამხდარმა სერბმა ორჯერ წააგო რუს **მიხაილ იუჟნისთან**, მარტში, ინდიან უელსისა და მაიამის მასტერსების ნახევარფინალებში, მან ასევე ორჯერ დაამარცხა მასსავით ვუნდერკინდად შერაცხული ბრიტანელი **ენდი მარეი**.

თუმცა, ამ მასტერსების ფინალებში ჯოკოვიჩმა განსხვავებული შედეგები აჩვენა. ორი კვირის წინათ, პირწმინდად წააგო გადამწყვეტი მატჩი ესპანელ **რაფაელ ნადალთან**, სამაგიეროდ, გასულ კვირას შანსი არ დაუტოვა გილერმო კანიასს. ასე რომ, "სონი ერიქსონის" ტურნირის 23-წლიან ისტორიაში, ჯოკოვიჩი ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი გახდა. მან გაიმეორა 1989 წელს, ლეგენდარული ჩეხის - **ივან ლენდლის** მიღწევა, რომელმაც ამ ტურნირში სეტის წაუგებლად იმარჯვა (სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მაშინ მატჩები სამ მოგებამდე იმართებოდა. თანაც, ლენდლმა ფინალი კორტზე გაუსვლელად მოიგო, რადგან მისმა მეტოქემ, ავსტრიელმა **ტომას მუსტერმა** ტრავმის გამო, ვერ შეძლო თამაში). მაიამიში სერბმა კიდევ ერთი ფენომენალური შედეგი აჩვენა - 6 შეხვედრის განმავლობაში, მხოლოდ ერთხელ (!) წააგო გეიმი საკუთარ მოწოდებაზე.

სენსაცია? არავითარ შემთხვევაში. სიურპრიზი? შესაძლოა, მაგრამ სპეციალისტთა უმრავლესობა დიდი ხანი ელოდა ჯოკოვიჩისგან ამ "გასრულას". და მან მაიამიში თავისი შანსი ბრწყინვალედ გამოიყენა - ისარგებლა იმით, რომ დაუმარცხებელი ჩემპიონი - **როჯერ ფედერერი** არგენტინელმა კანიასმა ადრეულ ეტაპზე გამოთიშა ტურნირს.

"დღეს, ჩოგბურთში ახალი ვარსკვლავი დაიბადა", - ხმამაღლა განაცხადა ფინალის შემდეგ მაიამის ტურნირის დამაარსებელმა **ბატჩ ბუხჰოლცმა**. თუმცა, ჯოკოვიჩის ნიჭი უკვე დიდი ხანია განხილვის საგნად იქცა. ორი წლის წინათ, როცა უიმბლდონზე ყველანი ბრიტანული ჩოგბურთის ამომავალი ვარსკვლავის - ენდი მარეის პერსპექტივებზე დაუღალავად საუბრობდნენ, საჩოგბურთო ექსპერტმა, ლეგენდარულმა ამერიკელმა **ჯონ მაკინროემ** ასეთი რამ თქვა: *"რა თქმა უნდა, შოტლანდიელი ძალიან ნიჭიერია, მაგრამ სინამდვილეში, მას ბევრი არაფერი უჩვენებია. ენდიმ მაგალითი ჯოკოვიჩისგან უნდა აიღოს, რომელიც მწვერვალისკენ თავად იკვლევს გზას და მას "უაილდ-ქარდები" არ სჭირდება"*.

ნოვაკ ჯოკოვიჩი

1987 წლის 22 მაისს დაბადებული ჯოკოვიჩი, ჯერჯერობით, ყველა პარამეტრით უსწრებს მარეის, რომელიც სერბზე ერთი კვირით უფროსია. მოპოვებული ტიტულების მხრივ, ჯოკოვიჩი წინ არის - 4:2 (თანაც, ნოვაკის ანგარიშზე ერთი "მასტერსის" ტიტული მოდის); ტურნირებზე მიღებული ჰონორარებითაც სერბი ბრიტანელს უსწრებს - 1 910 215 დოლარი 1 442 086 დოლარის წინააღმდეგ; ივივე სურათია "დიდი სლემის" ტურნირების მეოთხედფინალში გასვლების მხრივ - 1:0 (ნოვაკი 2006 წელს, "როლან გაროსზე" საუკეთესო რვა ჩოგბურთელს შორის მოხვდა); პირად შეხვედრებში კი, ანგარიშია 3:0 იმავე ჯოკოვიჩის სასარგებლოდ. გასული სეზონი ნოვაკმა მე-16 ჩოგნის რანგში დაასრულა, მარეი მე-17 ადგილზე გავიდა. ამჟამად, სერბი კლასიფიკაციაში მეშვიდე ადგილს იკავებს, ბრიტანელი - მე-11 პოზიციაზეა.

თუ მხედველობაში მივიღებთ ჯოკოვიჩის უნივერსალური თამაშის სტილს, შეიძლება ვივარაუდოდ, რომ ამ სეზონში უფრო დიდი წარმატებები მას ჯერ კიდევ წინ აქვს. გილერმო კანიასის გადამკიდე, დროებით ჩრდილში მოქცეულმა როჯერ ფედერერმა კვლავაც რომ დაიბრუნოს ATP-ის ტურზე კონტროლი, ჯოკოვიჩი წლის ბოლოს, სავარაუდოდ მაინც მოხვდება რვა საუკეთესო ჩოგბურთელს შორის, რაც მას მასტერსის თასზე თამაშის უფლებას მისცემს. ანუ, ერთი მოთამაშე, რომელიც შარშან წლის შემაჯამებელ ტურნირში თამაშობდა, რვა საუკეთესოდან ამოვარდება. ნოვაკისთვის ერთი რომელიმე ვარსკვლავის უკან ჩამოტოვებაც უკვე დიდი წარმატება იქნება. დანარჩენი კი, დროთა განმავლობაში მოვა.

ტრავმა

რუსეთი მარიას გარეშე

21-22 აპრილს, ფედერაციის თასის ესპანეთთან მეოთხედფინალში რუსეთის ნაკრების შემადგენლობაში დებიუტი უნდა ჰქონოდა მსოფლიო კლასიფიკაციის მეორე ჩოგან **მარია შარაპოვას**. მაგრამ, ამ უკანასკნელმა კიდევ ერთხელ თქვა უარი ნაკრებში თამაშზე.

შარაპოვას უარის ოფიციალური მიზეზი მხარის ტრავმა გახლავთ, რის გამოც, მარია მონაწილეობას ვერ მიიღებს ჩარლსტონის ტურნირში, რომლის საპრიზო ფონდია 1 340 000 დოლარი. ეს შეჯიბრი მომავალ ორშაბათს აიღებს სტარტს.

"არ მიყვარს საკუთარ ტრავმებზე ბევრი ლაპარაკი, მაგრამ მხარი და მარცხენა მუხლი ძალიან მაწუხებს. მხარი ჯერ კიდევ ჰონგ კონგის ტურნირის დროს ამტკივდა. იმედი მქონდა, ტკივილი მალე გამივლიდა. ექიმები მაფრთხილებდნენ, რომ დაზიანება სერიოზული იყო, მაგრამ ამას ყურადღება არ მივაქციე და დავისაჯე კიდეც. სამწუხაროდ, ტრავმა თავისით არ მოშუშდა. საბოლოოდ, ექიმები დამაიმედებელ პროგნოზებს აკეთებენ, მაგრამ დაახლოებით 5-6 კვირა მაინც მომიწევს იძულებითი დასვენება. განსაკუთრებით ის მეწყინა, რომ ფედერაციის თასზე ვერ ვითამაშებ. ძალიან მინდოდა მოსკოვში ჩასვლა და რუსეთის ნაკრების სახელით გამოსვლა", - ამბობს შარაპოვა.

რუსული პრესის შეფასებით, ტრავმა - რა თქმა უნდა, საპატიო მიზეზია, მაგრამ უკვე მერამდენედ ხდება, როცა ფედერაციის თასზე მოახლოებული მატჩების წინ, შარაპოვა ყოველთვის ნახულობს მიზეზს, რომ ნაკრებში არ ითამაშოს. სხვათა შორის, რუსეთში ლეგენდები დადის იმაზე, თუ რა რთული და დაძაბული ურთიერთობები აქვს მარიას რუსეთის ნაკრების სხვა წევრებთან.

ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩები

მილანი-ბაიერნი 2:2

მილანი: დიდა, მალდინი, ნესტა, ოდო, ამბროზინი, გატუზო, კაკა, იანკულოვსკი (87. კალაძე), პირლო, ზეედორფი (85. გურკუფი), ჯილარდინო (72. ინძაგი).

ბაიერნი: რენზინგი, ლამი, ლუსიო, სანიოლი (68. ლელი), ვან ბუიტენი, ჰარგრივსი, ოტლი, სალიჰამიჯიჩი, შვაინშტაიგერი, მაკაი (68. სანტა კრუსი), პოდოლსკი (68. პისარო).

გოლები: 1:0 პირლო (41), 1:1 ვან ბუიტენი (78), 2:1 კაკა (84-პენ), 2:2 ვან ბუიტენი (90+3).

მაყურებელი: 80 000

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: ბაიერნი
პირველი გაფრთხილება: ბაიერნი
პირველი კუთხური: მილანი
პირველი ჯარიმა: ბაიერნი

1	გაფრთხილება	2
14(4)	დარტყმა	14(4)
9	ჯარიმა	12
4	კუთხური	5
1	თამაშგარე	1
50%	ბურთის ფლობა	50%

ეინდჰოვენი-ლივერპული 0:3

ეინდჰოვენი: გომესი, და კოშტა, კრომკამპი (68. ფეჰერი), სალსიდო, კოკუ, კულინა, მენდესი (51. კლუივერტი), სიმონსი, ვაირინენი, ფარფანი (46. ქსიანგი), ტარდელი.

ლივერპული: რეინა, აგერი, აურელიო (75. მარკ გონსალესი), კარაგერი, ფინნენი, რიისე (66. ზენდენი), ალონსო, ჯერარდი, მასკერანო, კრაუჩი (85. პენანტი), კუიტი.

გოლები: 0:1 ჯერარდი (27), 0:2 რიისე (49), 0:3 კრაუჩი (63).

მაყურებელი: 30 000

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: ეინდჰოვენი
პირველი გაფრთხილება: ლივერპული
პირველი კუთხური: ლივერპული
პირველი ჯარიმა: ეინდჰოვენი

2	გაფრთხილება	2
9(1)	დარტყმა	12(5)
15	ჯარიმა	14
2	კუთხური	2
5	თამაშგარე	2
53%	ბურთის ფლობა	47%

4 აპრილი. ოთხშაბათი

რუსთავი 2

22:00 საფეხბურთო მიმოხილვა.
22:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. რომა-მანჩესტერი (LIVE).
01:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. ჩელსი-ვალენსია.

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. ეინდჰოვენი-ლივერპული.
14:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
15:05 იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:20 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
16:50 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:50 ტოქ-შოუ - 90 წუთი.
16:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:40 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:40 ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. მილანი-ბაიერნი.
22:35 ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. რომა-მანჩესტერი (LIVE).
00:35 ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. ჩელსი-ვალენსია.

SPORT 1 (უკრაინა)

07:00 ფეხბურთი. ბრაზილია. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი. სან პაულუ-პალმეირასი.
08:45 სპორტის ისტორია.
08:55 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალის მიმოხილვა.
09:55 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. მილანი-ბაიერნი.
11:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. ეინდჰოვენი-ლივერპული.
13:35 ფიტნესი.
14:00 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. პანათინაიკოსი-დინამო.
15:43 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
16:11 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. უნიკახა-ბარსელონა.
17:55 სპორტის სახეები.
18:20 სპორტინფორმი.
18:30 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ტამპა ბეი-კაროლინა.
20:15 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
20:55 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალის მიმოხილვა.
21:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალის წინ.
22:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. რომა-მანჩესტერი (LIVE).
00:45 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ტამპა ბეი-კაროლინა.
02:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. მილანი-ბაიერნი.
04:20 სპორტის ისტორია.
04:55 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალის მიმოხილვა.
05:25 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
06:00 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ანაჰაიმი-სან ხოსე (LIVE).

EUROSPORT

09:30 მულტისპორტი.
10:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ოთხთა ფინალი.
11:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. პორტუგალია.
12:00 ქიორლინგი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-შვეიცარია. ედმონტონი. კანადა.
14:30 სნუკერი. ჩინეთის ღია პირველობა. პეკინი.
16:30 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. მსოფლიო თასი.
17:30 ქიორლინგი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. აშშ-გერმანია. ედმონტონი. კანადა (LIVE).
20:30 აფროსნობა.
20:35 მულტისპორტი.
20:40 ცხენოსნობა. მსოფლიო თასი. ჰოლანდია.
20:45 გოლფი. US PGA-ს ტური.
21:45 გოლფი. ევროპის ტური.
22:20 აფროსნობა.
22:25 მულტისპორტი.
22:30 აფროსნობა.
22:45 ქიორლინგი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. საფრანგეთი-შვედეთი. ედმონტონი. კანადა (LIVE).
01:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლევერკუზენი-ლანსი.
02:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
02:15 აფროსნობა.

EUROSPORT-2

08:30 ახალი ამბები.
10:45 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. შახტარი-სევილია.
11:30 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლევერკუზენი-ლანსი.
12:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ოთხთა ფინალი.
13:00 ახალი ამბები.
15:15 ლაკროსი. ჩრდილოამერიკის ლიგა. რეგულარული ჩემპიონატი. როჩესტერი-ფილადელფია.
16:15 ფრისტაილ მოტოკროსი.
17:15 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. შახტარი-სევილია.
18:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლევერკუზენი-ლანსი.
19:00 ახალი ამბები.
19:30 ექსტრემალური სპორტი.
20:30 ახალი ამბები.
21:00 მულტისპორტი.
21:30 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. მსოფლიო თასი.
22:00 მულტისპორტი.
23:00 რესტლინგი.
00:30 მულტისპორტი.

ეროვნული სპორტი

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ინგლისი

ჩემპიონატი

ბარნლი-პლიმუთი	4:0
ქუინზ პარკი-პრესტონი	1:0

II ლიგა

როჩდეილი-სუინდონი	0:0
შრიუსბერი-ბარი	1:3

ჯინუფრენსი

ალდერშოტი-ექსეტერი	3:2
ფორესტ გრინ-გრეიმსი	0:0
გრავესენდი-პალიუალი	2:0
რაშდენი-უეიმუთი	4:1
სტ. ალბანი-ბორეჰამი	0:2
სტევენეიჯი-კიდერმინსტერი	1:2
ბაფორდი-ნორთიჩი	0:1

შოტლანდია

მოზერველი-კილმარნოკი	0:1

I დივიზიონი

ქუინი-ეიმინგი	1:1
როსი-პარტიკი	2:1

II დივიზიონი

ალბიონი-ქუინზბერეი	1:0
ბრეჩინი-ბორგონი	0:1
ფორფარი-პიტლეკელი	1:2
რეითი-ეირი	0:1
სტრანრაერ-ალეა	3:4

III დივიზიონი

ლინკოლნი-არბროუ	1:0
ქუინზ პარკი-ოსტ სტირლინგი	2:1

ავსტრია

II დივიზიონი

ავსტრია ლუ-პარტბერგი	3:1
ლეობენი-ლერნბენი	4:0

ავსტრიის თასი

ზალცბურგი-მატერსბურგი	2:3

ირლანდია

ბოჰემიანი-შემროკი	2:1

სლოვაკეთის თასი

არტმედია-ჟილინა	3:0

პოლონეთის თასი

ლეხი-კორონა	3:2
კრაკოვია-რადომიაკი	1:0

უნგრეთის თასი

დებრეცენი-უიფეხი	3:1

კალათბურთი

ევროლიგა

1/4 ფინალი. I მატჩები

ცსკა-მაკაბი	80:58
პანათინაიკოსი-დინამო	80:58
ბაიერნი-ოლიმპიაკოსი	84:59
უნიკახა-ბარსელონა	91:75

პოკერი

სლოვაკეთი

ბრეზნიკი-სლოვანი	1:3

შვეიცარია

ბერნი-ლავანი	3:2

ჩოგბურთი

WTA. აბელია ინდიანდი

აზარენკა-ოპრანდი	1:6, 1:6
ბენეშოვა-მორიგამი	6:1, 7:6
დეში-ნაკამურა	6:2, 6:1
ჰენგი-ბირნეროვა	6:2, 6:1
დუშევინა-ციბულკოვა	1:6, 3:6
სანტანჯელო-ჟენგი	3:6, 3:6
საფინა-კრაიჩეკი	6:4, 7:5
პეტროვა-კანეპი	6:4, 6:0
სრებოტნიკი-ვაკულენკო	2:6, 6:3, 6:2
სტოსური-რუანო პასკუალი	7:5, 6:1

კალათბურთი

კობი და ლებრონი

ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ თვის საუკეთესო მოთამაშეები დაასახელა. აღმოსავლეთ კონფერენციაში ყველას აჯობა "კლივლენდის" ფორვარდმა **ლებრონ ჯეიმსმა,** ხოლო დასავლეთში, ამ სეზონში მეორედ საუკეთესოდ "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" მცველი **კობი ბრაიანტი** დასახელდა.

მარტში, ბრაიანტი საშუალოდ მატჩში 40.4 ქულას აგროვებდა (ლიგაში საუკეთესო მაჩვენებელი). სწორედ მან შეიტანა ყველაზე დიდი წვლილი იმაში, რომ "ლეიკერსმა" 7-მატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა. შეგახსენებთ, რომ კობიმ გასულ თვეში ზედიზედ ოთხ მატჩში შეძლო 50 ან მეტი ქულის დაგროვება.

ლებრონ ჯეიმსის საშუალო მაჩვენებელი იყო - 30.3 ქულა ერთ შეხვედრაში. ამ კალათბურთელმა თვე ხუთმატჩიანი სერიით დაიწყო, რომლის დროსაც, ის თითო თამაშში 32-ზე მეტ ქულას აკეთებდა. მარტშივე, ლებრონმა ამ სეზონში თავისი პირადი რეკორდი დაამყარა - "დეტროიტის" წინააღმდეგ 41 ქულა დააგროვა. 17 მარტს, "იუტასთან" მატჩში, ჯეიმსის მონაგარმა 24 ქულა, 17 მოხსნა და 9 შედეგიანი პასი შეადგინა.

უეიდმა გუნდთან ვარჯიში დაიწყო

საბაგენტო "როიტერის" ინფორმაციით, "მაიამი ჰიტის" ლიდერმა **დუეინ უეიდმა,** 23 თებერვლიდან მოყოლებული პირველად ივარჯიშა გუნდთან ერთად.

თუმცა, მოქმედი ჩემპიონების ბანაკიდან იმასაც იტყობინებიან, რომ შარშანდელი ფინალური სერიის საუკეთესო მოთამაშეს, ჯერ არ შეუძლია სრული დატვირთვით ვარჯიში. "ჰიტის" მთავარი მწვრთნელის, **პატ რაილის** აზრით, უეიდი რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტურებში შეძლებს გუნდისთვის დახმარების განევას.

NBA-ის რეგულარული ჩემპიონატი 18 აპრილს დასრულდება.

ფილ ჯექსონი დიდების დარბაზშია

გუშინ, NBA-ის დიდების დარბაზში ახალი წევრები მიიღეს. მათ შორის სამი მწვრთნელია: **ფილ ჯექსონი,** რომელმაც "ჩიკაგო ბულსთან" და "ლოს ანჯელეს ლეიკერსთან" ცხრაჯერ მოიგო ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონის ტიტული; მადრიდის "რეალის" ყოფილი დამრიგებელი **პედრო ფერანდისი** და აგრეთვე, **მირკო ნოვოსელი,** რომელმაც იუგოსლავიის ნაკრებს 1980 წლის ოლიმპიური თამაშები მოაგებინა.

მილერი მომავალ სეზონში დაბრუნდება

"მემფის გრიზლისის" ფორვარდი **მაიკ მილერი** ამ სეზონში ვეღარ შეძლებს კალათბურთის თამაშს. მილერი ორივე მუხლში ტკივილს გრძნობს და ხანგრძლივი მკურნალობა ესაჭიროება.

ექიმების აზრით, მემფისელი მხოლოდ ახალი სეზონის სტარტისთვის თუ ჩადგება მწყობრში.

დალასმა უილისი 10 დღით გაიფორმა

"დალას მავერიკსმა" 10-დღიანი კონტრაქტი გააფორმა 44 წლის ვეტერან **კევინ უილისთან.** ასე რომ, ეს კალათბურთელი დღევანდელ NBA-ში ყველაზე ასაკოვანი მოთამაშე გახდა, ხოლო ასოციაციის ისტორიაში, ასაკის მხრივ მეორე კალათბურთელია.

უილისს NBA-ში 7 სხვადასხვა კლუბის შემადგენლობაში 20 სეზონი აქვს გატარებული. 2004-05 წლების სეზონში, მან 29 მატჩი ჩაატარა "ატლანტას" მაისურით.

ყველაზე ახალგაზრდა მენეჯერი

"პორტლენდ თრეილ ბლეიზერსს" ახალი გენერალური მენეჯერი ჰყავს. ეს გახლავთ 39 წლის **კევინ პრიტჩარდი,** რომელიც NBA-ის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ფუნქციონერი იქნება. უფრო ადრე, პრიტჩარდი კლუბის გენერალური მენეჯერის ასისტენტად მუშაობდა.

"პორტლენდის" ოფიციალური ვებ-გვერდის ცნობით, პრიტჩარდის მოვალეობებში შედის ყოველდღიური საკალათბურთო ოპერაციებისთვის დაკვირვება და მოთამაშეთა პირადი საქმეების მოგვარება.

კლივლენდი და ორლანდო ჩინეთში ითამაშებენ

NBA-ის კლუბები - "კლივლენდ კავალიერზი" და "ორლანდო მეჯიკი" ახალ სეზონს ჩინეთში დაიწყებენ. ისინი იქ 17 და 20 ოქტომბერს ორ საჩვენებელ შეხვედრას გამართავენ.

პირველი მატჩი შანხაიში გაიმართება, მეორე - მაკაოში. გარდა ამისა, "ორლანდო" 18 ოქტომბერს მაკაოში ჩინეთის ნაკრებსაც შეხვდება.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა NBA-ის კლუბები ჩინეთში ტურნეს აწყობენ. 2004 წელს, **იაო მინის** "ჰიუსტონმა" და "საკრამენტომ" შანხაისა და პეკინში გამართეს შეხვედრები.

მაციიაუსკასი მზადაა

"ოლიმპიაკოსის" მცველი **არვიდას მაციიაუსკასი** (193 სმ) მზად არის ევროლიგაში სათამაშოდ. ლიტველმა კალათბურთელმა შარშან, სექტემბერში მიიღო ფეხის ტრავმა და ამ სეზონში პირველად, მოედანზე გასულ უიქენდზე, საბერძნეთის ჩემპიონატის მატჩში გავიდა. მაციიაუსკასმა "ეგალეოს" წინააღმდეგ 14 წუთი ითამაშა და 7 ქულა დააგროვა.

როგორც იცით, "ოლიმპიაკოსი" ევროლიგის მეოთხედფინალშია გასული და ამ ეტაპზე ესპანეთის "ტაუგრესს" ხვდება.

მძლეოსნობა

ოტი მსოფლიოს უმიზნებს

46 წლის ლეგენდარული მძლეოსანი, შვიდი ოლიმპიური თამაშების მონაწილე **მერლინ ოტი** კარიერის დასრულებას არ აპირებს.

წარმოშობით იამაიკელ სპრინტერს, რომელიც ამჟამად სლოვენიის სახელით ასპარეზობს, წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე გამოსვლა აქვს განზრახული. 2007 წლის მსოფლიო პირველობა იაპონიის ქალაქ ოსაკაში გაიმართება.

ფორმულა 1

სილვერსტოუნი არ იყიდება

ბრიტანელ ავტომრბოლთა კლუბის პრეზიდენტმა **დეიმონ ჰილმა** განაცხადა, რომ "სილვერსტოუნის" ტრასა არ იყიდება.

რამდენიმე დღის წინათ, ბიზნესმენმა ოლივერ სპეიტმა ავტოდრომის ამჟამინდელ მფლობელებს ტრასის სანაცვლოდ 56 მილიონი შესთავაზა. გარდა ამისა, ავტომრბოლთა კლუბის თითოეულ წევრს, რომლებსაც "სილვერსტოუნის" აქციები გააჩნიათ, 20 მილიონი შეაძლია. მაგრამ ჰილმა ამ მსხვილ გარიგებაზე უარი განაცხადა.

"სილვერსტოუნის" გაყიდვას არ ვაპირებთ. ამ ტრასასთან დაკავშირებით სერიოზული მიზნები გვაქვს - მის განვითარებასა და მოდერნიზებას ვაპირებთ", - ამბობს მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი.

საუკეთესონი

ზედიზედ მესამედ

მსოფლიო სპორტის აკადემიამ მერვედ ჩაატარა გამოკითხვა სახელად "წლის საუკეთესო სპორტსმენი". ვაჟებში ეს საპატიო წოდება მესამედ მოიპოვა შვეიცარიელმა ჩოგბურთელმა **როჯერ ფედერერმა,** ქალებში კი საუკეთესოდ რუსი ჭოკით მხტომელი **ელენა ისინბაევა** დასახელდა. 25 წლის შვეიცარიელი პირველი სპორტსმენია, ვისაც მსოფლიო სპორტის აკადემიამ სპორტული სეზონის საუკეთესოს წოდება მიანიჭა.

წლის საუკეთესო გუნდის წოდება მიენიჭა იტალიის ეროვნულ საფეხბურთო ნაკრებს, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო. საერთოდ კი, ყველაზე მეტ ნომინაციაში საუკეთესოს წოდება ჩოგბურთელებს ერგოთ. მაგალითად, წლის დაბრუნების ჯილდო ამერიკელ **სერენა უილიამსს** ერგო, წლის გარღვევის ჯილდო კი ფრანგ **ამელი მორესმოს** გადაეცა, ვინც დიდი ხნის ლოდინის შემდეგ, როგორც იქნა, კარიერაში დიდი სლემის პირველი ტურნირი მოიგო და შემდეგ კიდევ ერთში გაიმარჯვა.

სპორტული სულისკვეთების სპეციალური ჯილდო გადაეცა საფეხბურთო კლუბ "ბარსელონას", რომელიც "იუნისეფის" საუკეთესო პარტნიორია. გერმანული ფეხბურთის ლეგენდა **ფრანც ბეკენბაუერი** კი სპორტული მიღწევებისთვის სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა.

წლის სპორტსმენად ფედერერის დასახელება არავის გაჰკვირვებია. უკვე სამი სეზონია, მას რეიტინგის მოწინავე საფეხური უკავია და დიდი სლემის ტურნირებს ერთიმეორის მიყოლებით იგებს. ამ ტურნირებიდან ერთადერთი, რომელიც შვეიცარიელ მაესტროს ჯერ არ "ნებდება", საფრანგეთის ღია პირველობაა. სამაგიეროდ, ავსტრალიისა და აშშ-ის ღია პირველობებზე, ასევე უიმბლდონზე მას კონკურენციას ძნელად თუ უწევს ვინმე.

უფრო მეტიც, სასლემო ტიტულების გარდა, ის არანაკლებ პრესტიჟულ, მასტერსის სერიის ტურნირებსაც იგებს. კერძოდ, გასულ სეზონში მან ოთხი ასეთი ტურნირი მოიგო, რომელთაგან ყველაზე პრესტიჟულები ინდიან ველსისა და მაიამის ტურნირებია. ერთ სეზონში მასტერსის ოთხი ტურნირი ფედერერმა ზედიზედ მეორედ მოიგო.

და კიდევ, რაც ჩოგბურთი პროფესიული სპორტი გახდა, ფედერერი ერთადერთია, ვინც ზედიზედ სამი სეზონის განმავლობაში, თითოეულში მინიმუმ ათ ტურნირს იგებს.

რაც შეეხება ისინბაევას, მან ახლახან მსოფლიოს მეოცე რეკორდი კი მიითვალა, მაგრამ ბოლო ორი სეზონია, აშკარად ვერ გამოდის იმ დონეზე, რომლითაც სახელი გაითქვა. მან მეოცე რეკორდი (4.91 მეტრი) უკრაინის ქალაქ დონეცკში, დახურულ არენაზე ასპარეზობისას დაამყარა. შარშან კი ევროპის ჩემპიონი გახდა. იმავე ჩემპიონატზე, მან ღია არენებისთვის მსოფლიო რეკორდის დამყარებაც სცადა, მაგრამ 5.02 მეტრი, ჯერჯერობით, მიუწვდომელი დარჩა. მოგვიანებით კი, ათენში მსოფლიო თასს დაეუფლა.

გასულ სეზონში ერთადერთი მარცხი ისინბაევამ სუპერ დიდი პრიზის სერიის სტოკჰოლმურ შეხვედრაზე იგემა. მაშინ მას ყველასთვის მოულოდნელად, პოლონელმა **მონიკა პირეკმა** აჯობა.

აღსანიშნავია, რომ რუსი მხტომელი აქამდე ორჯერ იყო ნომინირებული წლის საუკეთესო ქალი სპორტსმენის წოდებაზე, მაგრამ მას პირველად დაეუფლა.

"ორჯერ ახლოს ვიყავი მიზანთან და მეგონა, რომ საუკეთესოდ დამასახელებდნენ, მაგრამ ორივეჯერ ჩემზე წინ სხვა დააყენეს. ახლა კი ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ჯერიც დადგა და ოდინდელი ოცნება ამისრულდა", - განაცხადა ისინბაევამ.

უნარშეზღუდულ სპორტსმენთა შორის, წლის საუკეთესოს წოდება მიენიჭა გერმანელ **მარტინ ბრაქსენტჰალერს,** ვინც ტურინის პარალიმპიურ თამაშებზე სამთო თხილამურების სამ დისციპლინაში მოიპოვა ოქროს მედლები.

მერაბ ლორთქიფანიძე



ელენა ისინბაევა



როჯერ ფედერერი

ზემძიმე წონა

ბრძოლა კინაღამ ჩაიშალა

პროფესიულ რინგზე დაბრუნებულმა უკრაინელმა **ვიტალი კლიჩკომ** დაადასტურა უკრაინულ პრესაში გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ WBC-ს რუს ჩემპიონ **ოლეგ მასკაევთან** მისი შეხვედრა ჩაშლის პირას იყო მისული. ამის მიზეზი კი ის ყოფილა, რომ ჩემპიონის ბანაკს კომპრომისებზე წასვლა არ სურდა. ასევე გაჭირვეულდა სავალდებულო პრეტენდენტის წოდების მატარებელი ნიგერიელი **სემუელ პიტერიც.**

"ამ ხალხს მგონი, არასოდეს სმენიათ კომპრომისის შესახებ. აქამდე მასკაევს ყველაზე მეტი, 2.5 მილიონი დოლარი აქვს აღებული და ჩემთან შეხვედრისთვის ამაზე ორჯერ მეტს მოითხოვს. ამაზე წასვლა ჩვენ არ შეგვიძლია და ბრძოლა აუცილებლად ჩაიშლება. პიტერს კი ყველაზე მეტი, რინგზე 1.5 მილიონი აქვს მიღებული. ახლა კი, იმისთვის, რომ თავისი რიგი დროებით დამითმოს, სამ მილიონს სთავაზობენ, მას კი ეს ეცოტავება. ეს ხომ აბსურდია. თანაც, მას გარანტია მისცეს, რომ ჩვენი ბრძოლის შემდეგ, ჩემპიონს აუცილებლად შეხვდება", - გაოცებულია კლიჩკო, ვინც WBC-ს საპატიო ჩემპიონის წოდებას ფლობს და ამის წყალობით, დაბრუნებისთანავე ჩემპიონთა შეხვედრის უფლებაც აქვს.

უკრაინელის თქმით, ორივე ბანაკთან მოლაპარაკება გრძელდება და ის ალბათ, მალე დასრულდება. მართალია, მასკაევისა და პიტერის ბანაკები ჯერაც ჯიუტობენ, მაგრამ ვიტალი იმედოვნებს, რომ საბოლოოდ საკითხი მაინც მისთვის სასიკეთოდ გადაწყდება. ამასთან, არაა გამორიცხული, რომ საჩემპიონო ბრძოლა მოსკოვში 2 ივნისს აღარ გაიმართოს და მის ადგილად ამერიკის რომელიმე ქალაქი (სავარაუდოდ, ნიუ იორკი) გამოცდხადდეს.

ამავე წონაში კიდევ ერთი საჩემპიონო ბრძოლა, რომელშიც WBO-ის სარტყელს ამერიკელი **შენონ ბრიგსი** რუს **სულთან იბრაგიმოვთან** შეხვედრაში დაიცავს, 2 ივნისს, ატლანტიკ სიტიში დაინიშნა. არადა, ამ ბრძოლის ადგილადაც ადრე მოსკოვი იყო გამოცხადებული.



ვიტალი კლიჩკო

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად ჭათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
ფალვა გიგილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუგინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოზრაძე, ვასილ გალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
ბიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
ვანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდგორიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
გაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ეგანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ª,
0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოლის ყოველდღე, გარდა კვირისა